50 სულიერი

გაკვეთილი

გსურს წიგნის დაბეჭდვა ან ჩამოტვირთვა?

ეწვიეთ www.learnhisways.com სადაც იხილავთ

წინამდებარე მასალის ინგლისურ ასლს,

რომელიც ასევე ნათარგმნია რამოდენიმე ენაზე

© 2012 Life Resources

"ვისაც ვუყვარვარ, ის დაიცავს ჩემს სიტყვას და მამაჩემიც შეიყვარებს მას, ჩვენც მივალთ და მასში დავიდებთ ბინას“

იოანე 14:23

სარჩევი

შესავალი 7
ამ წიგნის შესახებ 8
ბიბლიის სწავლის პრინციპები და მითითებები ლიდერებისთვის 9
იესოს მიმდევრის გული 12
1. ჭეშმარიტი ბედნიერებისკენ მიმავალი გზა 13
2. ჭეშმარიტი ბედნიერებისკენ მიმავალი გზა 16
მოინანიეთ და იწამეთ 19
3. ნუ ენდობი საკუთარ სამართლიანობას 20
4. გჯეროდეს, რომ იესო მოკვდა შენი ცოდვებისთვის 23
5. გჯეროდეს, რომ იესო მოკვდა შენი ცოდვებისთვის 26
6. იწამე ქრისტეს აღდგომის და მიიღე საუკუნო სიცოცხლე 29
7. გავიგოთ თუ რატომ უნდა მომკვდარიყო იესო და რატომ უნდა გვწამდეს მისი 32
8. ზეციდა (უფლის სულით) შობა 35
9. უფლის სიტყვის მიღება კეთილი და წრფელი გულით 38
10. მონანიება და ზარალის ანაზღაურება 40
11. პატივი მიაგე ძეს ისევე როგორც მამას 43
12. პატივი მიაგე ძეს ისევე როგორც მამას 46
წყლით და სულიწმინდით ნათლობა 49
13. მოინათლე წყლით და მიიღე ახალი სიცოცხლე 50
14. მოინათლე წყლით და მიიღე ახალი სიცოცხლე 53
15. სულიწმინდით ავსება 57
16. სულიწმინდით ავსება 61
17. სულიწმინდა, როგორც დამხმარე 64
სიყვარული 67
18. გიყვარდეს მოყვასი შენი როგორც თავი შენი 68
19. გიყვარდეთ ერთმანეთი და იყავით ერთნი 70
20. გულით მიუტევეთ ერთმანეთს 72
21. გიყვარდეთ ერთმანეთი თავმდაბლური სიყვარულით 74
22. გიყვარდეს მტერი შენი 76
ლოცვა 80
23. ნუ ილოცებთ თვალთმაქცების და წარმართების მსგავსად 81
24. „თქვენ კი ასე ილოცეთ“ 83
25. მუდამ ილოცეთ და არ მოგბეზრდეთ 86

26. დრო დაუთმე შეიცნო უფალი....88
27. იყავით რწმენის ხალხი....90
გაცემა....93
28. როცა გასცემ, გახსოვდეს გულუხვად გამცემი ქვრივი....94
29. გიყვარდეს უფალი და არა ფული....97
30. დაიუნჯე ზეცაში....100
სუფთა გულით ემსახურე უფალს....103
31. გქონდეს სუფთა გული....104
32. მოერიდეთ ფარისეველთა საფუარს....106
33. აიღე ჯვარი და გაყევი იესოს....109
34. თაყვანი ეცი მამას სულით და ჭეშმარიტებით....111
35. დაიცავი და პატივი ეცი ქორწინებას....114
36. უფლის სიტყვით დაძლიო ცდუნება....117
37. ცოდვის დაძლევაში სიყვარულით დაეხმარეთ ერთმანეთს....119
38. ანათებდეს თქვენი ნათელი ადამიანთა წინაშე....121
ინაყოფიერე და იყავი მზად მისი მოსვლისთვის....124
39. დარჩი იესოში და მოისხი ნაყოფი....125
40. არ დამარხო, არამედ გამოიყენე ნიჭები....127
41. ემსახურე უფალს უქონელთა დახმარებით....129
42. მზად იყავით იესოს მეორედ მოსვლისთვის....131
43. მზად იყავით იესოს მეორედ მოსვლისთვის....134
ზიარება....137
44. მიიღე სიცოცხლის პური და საუკუნოდ იცოცხლებ....138
45. ზიარებისას გახსოვდეს იესოს სიკვდილი....141
46. გამოიკვლიე საკუთარი გული ზიარებისას....144
წადი და მოიმოწაფეთ ყველა ერი....147
47. წადით და მოიმოწაფეთ ყველა ერი....148
48. ახარე სახარება შენს ახლობლებს....150
49. ასწავლე ბავშვებს იესოს სიყვარული და მსახურება....152
50. იქადაგე გაბედულად ცათა სასუფეველზე და გჯეროდეს უფლის სასწაულების....154

შესავალი

ძვირფასო ძმებო და დებო ქრისტეში,

როდესაც იწამეთ იესოს, ამით ირწმუნეთ, რომ მან თქვენ ცოდვები მოგიტევათ და საუკუნო სიცოცხლე გაჩუქათ. ეს ფასდაუდებელი საჩუქარია, რომელსაც ვერავინ წაგართმევთ. ჩვენ, მორწმუნეები, მთელი ცხოვრება დავტკბებით იმ დიდებული მადლით, რომელიც ღმერთი გვაძლევს თავისი ძის ჯვარცმის და აღდგომის წყალობით.

თუმცაღა, იესოში ახალი სიცოცხლის დაწყება მხოლოდ სამოთხეში მოსახვედრად არ მოგეცათ. თქვენ გაბედულად გადადგით ნაბიჯი და უარი თქვით თქვენ ცოდვილ ცხოვრებაზე რათა უფლსითვის იცხოვროთ დღეს, ამ ბნელ სამყაროში. სწორედ ამისთვის დაგვიტოვა უფალმა ორი არაჩვეულებრივი საჩუქარი: უფლის სიტყვა/ბიბლია და მისი წმიდა სული. უფლის სიტყვა გვეხმარება გავიგოთ მისი ნება და სულიწმიდა კი გვეხმარება, რომ ვიცხოვროთ მისთვის. ჩვენ ვხდებით მისი ნათელი რათა სხვებმა შეძლონ დანახვა. გვებადება შეკითხვა: რა უნდა გავაკეთო ახლა რათა გავყვე იესოს? ის ჩვენი უფალია, ასე არ არის? მან ახალი სიცოცხლე გვიბოძა, ასე არ არის? აქედან გამომდინარე, როგორ შეგვიძლია ჩვენი სიცოცხლით პატივი ვცეთ უფალს დღეს?

თუ ნამდვილად გვსურს იესოსთვის ცხოვრება, მაშინ საკუთარ თავს უნდა დავუსვათ კითხვა:

- **ნამდვილად ვიცი იესოს სწავლებები და მცნებები?**
- **მზად ვარ ყურადღებით შევისწავლო ისინი? ვცხოვრობ ყოველდღიურად მისი პრინციპებით?**
- **მაქვს კი სურვილი, რომ სხვებსაც იგივე ვასწავლო უფლის დახმარებით?**

იყო იესოს მიმდევარი, ნიშნავს დაემორჩილო მის მცნებებს

ლუკა 6:46-ში იესო ამბობს: **„რატომ მომმართავთ „უფალო, უფალო“ და იმას არ აკეთებთ რასაც გეუბნებით?’**

21-ე საუკუნეში რამდენად შესაძლებელია ვერწუნოთ ღმერთს მისი სიტყვის ყურადღებით შესწავლის გარეშე? იესო სამ მიზეზს ასახელებს თუ რატომ უნდა ვისწავლოთ და გავყვეთ მის მცნებებს.

1) **„მოცემული მაქვს მე მთელი ხელმწიფება ზეცად და დედამიწაზე.“** (მათე 28:18). იესო ამ სიტყვებს სამარხიდან თავისი აღდგომის შემდეგ ამბობს. როცა ვემორჩილებით, ვიცით რომ ადამიანს კი არა, ღმერთს ვემორჩილებით. ჯვარცმამდე იესო ამბობს: **„სიტყვებს, მე რომ გეუბნებით, ჩემით კი არ ვამბობ, არამედ ჩემში მყოფი მამა აკეთებს საქმეებს.“** (იოანე 14:10)

2) **„ვისაც ვუყვარვარ, ის დაიცავს ჩემს სიტყვას და მამაჩემიც შეიყვარებს მას, ჩვენც მივალთ და მასში დავივანებთ.“** (იოანე 14:15) ძალიან ბევრი ამბობს, რომ უყვარს იესო, თუმცა არ იცავს მის სიტყვას. ამ მუხლით იესოს სურს დავინახოთ, რომ თუ ნამდვილად გვიყვარს იგი, მაშინ მისდამი მორჩილება იქნება ჩვენი ბუნებრივი მოთხოვნა. იესო ამბობს, რომ მორჩილების შეგედი იქნება უფალთან ურთიერთობის პატივი და სიხარული.

3) **„მე ვაზი ვარ, თქვენ კი-ლერწები. ვინც ჩემში რჩება და მე მასში, იგი გამოიღებს ბევრ ნაყოფს, რადგან უჩემოდ არაფრის გაკეთება არ შეგიძლიათ.“** (იოანე 15:5) როგორ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იესოში ვრჩებით თუ არ ვიცით და არ ვიცავთ მის მცნებებს? „იესოში დარჩენა“ ნიშნავს, რომ ჩვენ მისგან დამოუკიდებლად კი არ ვმოქმედებთ, არამედ თავი მივუძღვენით მას და მის გზებს. თუ ასე ვცხოვრობთ, მაშინ ჩვენი ცხოვრება დახუნძლული იქნება ბევრი და საუკეთესო ნაყოფით.

ამ წიგნის შესახებ

ამ წიგნში მოცემულია 50 გაკვეთილი იესოს ცხოვრებიდან და სწავლებიდან. იგი დაგეხმარებათ შეიცნოთ მისი გზები ან თქვენ დაეხმაროთ სხვებს უფლის გზების შეცნობაში. ამისთვის დაგჭირდებათ ახალი აღთქმა. აღნიშნული წიგნი შეგიძლიათ გამოიყენოთ ღმერთთან პირადი ურთიერთობისთვის. თუ შესაძლებელია, სხვასთან ერთად შეისწავლეთ იგი. აღნიშნული წიგნი განსაკუთრებულად გამოსადეგია საოჯახო

ბიბლიის შემსწავლელი ჯგუფებისთვის. საჯარო განხილვები, დისკუსიები და ლოცვა მნიშვნელოვანია სულიერი ზრდისთვის მოწრმუნეების მხარდამხარ. მსოფლიოს გარშემო მორწმუნეთა გაერთიანებული ჯგუფები ერთად სწავლობენ უფლის სიტყვას და მის მცნებებს. ყოველ კვირა ისინი თვალნათლივ ხედავენ თუ როგორ ცვლის იესო როგორც მათ საკუთარ, ასევე სხვა მორწმუნეების ცხოვრებას.

'ამიტომ ყველა, ვინც ისმენს ჩემს სიტყვას და აღასრულებს მათ, ის კეთილგონიერ კაცს ჰგავს, რომელმაც სახლი კედელზე აიშენა. და მოვიდა წვიმა, გადმოსკდნენ მდინარეები, ამოვარდნენ ქარები, ეკვეთნენ იმ სახლს; ის კი არ დაეცა, რადგან კლდეზე იყო დაფუძნებული.' მათე 7:24-25

დაე გაიზარდოს უფლის სამეფო თქვენი მორწმუნეობით და მოწმეობით, რათა სხვებმაც შეიგრძნონ უფლის გზების მშვენიერება.

ბიბლიის სწავლის პრინციპები და მითითებები ლიდერებისთვის

უფლის სიტყვის შესწავლა დიდი პრივილეგიაა! თუმცაღა უნდა გვესმოდეს თუ როგორ უნდა უფალს, რომ შევისწავლოთ მისი სიტყვა. თუ უფლის სიტყვას ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტივით ვუდგებით, რომელიც მხოლოდ ფაქტებს სწავლობს იმისთვის, რომ გამოცდა ჩააბაროს, მაშინ ჩვენ ყველაზე მნიშვნელოვანი რამ გვრჩება ყურადღების მიღმა. ბიბლიის შესწავლა ჩვენი გონებისთვის კი არა, ჩვენი გულებისთვისაა. უფალს სურს, რომ შევასრულოთ ის, რასაც ვისწავლით.

წინამდებარე სახელმძღვანელო იესო ქრისტეს ცხოვრებასა და სწავლებებზე შეიქმნა თქვენს დასახმარებლად, რათა <u>ჩაუღრმავდეთ</u> მის სიტყვას და <u>დაიცვათ</u> იგი. ამ მიზნის მისაღწევად გთავაზობთ სამ მნიშვნელოვან გზას:

1) თვალყური მიადევნეთ ისტორიას - ყოველ გაკვეთილში რამოდენიმეჯერ შეხვდებით მითითებას, რომ **„ყურადღებით წაიკითხე ესა თუ ის მუხლი“** რათა

აღმოაჩინოთ თუ რა მოხდა და რა ითქვა რეალურად. დროებით გვერდზე გადადე შენი შეხედულებები და იფიქრე: „რეალურად რას ამბობს იგი?“

2) იფიქრეთ მნიშვნელობაზე - იესოს თითეული სიტყვა მნიშვნელოვანია. შეხვდებით ისეთ შეკითხვებს, როგორიცაა **„რა სურს იესოს რომ ვისწავლოთ მისი ამ სიტყვით თუ ქმედებით“.** სანამ დავიცავთ მის მცნებას, ჯერ უნდა გავიგოთ მისი მნიშვნელობა.

3) გამოიყენე ცხოვრებაში - გაკვეთილის ბოლოს ისეთ შეკითხვებს წააწყდები, რომელიც დაგაფიქრებს იმაზე თუ როგორ გამოიყენოთ მისი სწავლება პრაქტიკულად თქვენ ცხოვრებაში. თქვენი სამყარო შეიცვლება თუ ამ გზით ივლით.

ჯგუფის ლიდერებს - გთავაზობთ რამოდენიმე პრინციპს, რომელიც დაგეხმარებათ ჯგუფის შეხვედრა გახადოთ საინტერესო ჯგუფის ყველა წევრისთვის.

- **როგორც ჯგუფის ლიდერმა, ჯგუფის შეხვედრამდე გაეცანით საკითხავს და შეკითხვებს.** ჯგუფს უკეთ დაეხმარებით თუ წინასწარ იქნებით მომზადებული.
- **ბიბლიის შესწავლის შეხვედრა დაიწყეთ ლოცვით და იმის რწმენით, რომ უფალი დაგეხმარებათ მისი სიტყვის გაგებასა და დაცვაში.**
- **შეხვედრის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია ბიბლიის ტექსტი.** ჯგუფის შეხვედრისას ტექსტი ერთხელ მაინც წაიკითხეთ.
- **ჯგუფის წევრები სანამ პასუხს გასცემენ შეკითხვას, ჯერ ყურადღების გადაიკითხონ საკითხავი მუხლი.** გაკვეთილის მიზანია სწორედ გავიგოთ თუ რეალურად რას ასწავლიდა იესო და არ გამოვთქვათ ჩვენი ვარაუდები იმაზე თუ რას ასწავლიდა იგი.
- **ჯგუფმა კითხვებზე პასუხი ერთმანეთის თანამიმდევრობთ უნდა გასცენ.** დაახლოებით 3-4 შეკითხვაა ყოველი სექციის ქვეშ. ყველა შეკითხვა არ ჩაიკითხოთ ერთი ჩაკითხვით, არამედ მომდევნო შეკითხვაზე გადადით მხოლოდ მაშინ, როცა წინა შეკითხვას უპასუხებთ.

- **გაკვეთილები გათვლილია გუნდის დისკუსიისთვის და არა იმისთვის, რომ ვინმემ იქადაგოს ან ასწავლოს.** თუ ჯგუფი დიდია, ყველა ვერ შეძლებს ყველა კითხვაზე პასუხის გაცემას დროის სიმცირის გამო, თუმცა ყველას მიეცით საშუალება მოკლედ გაგიზიაროთ თავისი შეხედულება რამოდენიმე კითხვაზე მაინც. ყველა ჩართეთ დისკუსიაში და არ მისცეთ ვინმეს დომინირების საშუალება.
- **შეძლებისდაგვარად დაჯექით წრეზე, რომ ჯგუფის ყველა წევრი ხედავდეს ერთმანეთს.** ასე შეხვედრას უფრო არაფორმალური სახე ექნება და საკლასო ოთახს არ დაემსგავსება, სადაც ლიდერი წინ დგას და მხოლოდ ის ლაპარაკობს. წრეზე ჯდომა კი დაეხმარება წევრებს თავისუფლად იგრძნონ თავი დისკუსიაში ჩაბმის დროს.
- **შეძლებისამებრ კარგი იქნება თუ ჯგუფის ყველა წევრს ექნება ბიბლიის შესასწავლი შეხვედრის გაკვეთილის საკუთარი ასლი და ბიბლია.** წაახალისეთ ჯგუფის წევრები, რომ გაკვეთილის ასლი წაიღონ სახლში და ახლა ოჯახის წევრებთან ან მეგობრებთან ერთად გააკეთონ შეხვედრა.

იესოს მიმდევრის გული

გახსნა თავისი ბაგე, ასწავლიდა მათ... (მათე 5:2)

თავისი მსახურების სამი წლის მანძილზე იესომ ბევრი რამ ასწავლა ხალხს, მაგრამ რა იყო მისი პირველი გაკვეთილი? რა სურდა, რომ გაგვეგო პრველ რიგში?

იესოს პირველი სწავლება შეგვიძლია ვიხილოთ მათეს სახარების მე5 თავში. ის თავის საუბარს იმისი ახსნით იწყებს თუ, ვინ არიან ყველაზე ბედნიერი ადამიანები მსოფლიოში. მან იცოდა, რომ ყველა ეძებს ბედნიერებას, მაგრამ მან ასევე იცოდა, რომ ყველა არასწორ ადგილას ეძებს ბედნიერებას. ხშირად ჩვენს ყურადღებას არასწორი რამეები იქცევენ.

ამ განყოფილების ორი გაკვეთილი დაგვეხმარება გულწრფელად შევხედოთ ჩვენს ცხოვრებას და ვიკითხოთ: „ვიცი, როგორ ვიპოვო ბედნიერება? ნამდვილად მჭირდება იგი?“

1. ჭეშმარიტი ბედნიერებისკენ მიმავალი გზა

ნაწილი 1

დისკუსიის დაწყება:

ჩვეულებრივ ამქვეყნად როგორი ტიპის ადამიანს მივიჩნევ ‘კურთხეულად’ ან ‘ბედნიერად’? ჩვეულებრივ როგორი ტიპის ადამიანების გვშურს?

წაიკითხეთ მათე 5:1-12

1. გადახედე ყველა მუხლს (3-12). რომელი მთავარი სიტყვა მეორდება ხშირად თითოეულ მუხლში?

2. იესოს სიტყვებიდან გამომდინარე, მე-3 მუხლში, ვინ არის ‘ნეტარი’(კურთხეული)?

   ‘სულით ღარიბი’ ნიშნავს ვაღიაროთ, რომ სულიერად ღარიბები ვართ... სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ ამაყი და ამპატრავანნი კი არ უნდა ვიყოთ, არამედ უნდა ვაღიაროთ, რომ უფალი გვჭირდება ჩვენს ცხოვრებაში.

3. რატომ არის ასეთი რთული, რომ სულიერად ღატაკები ვიყოთ?

   რატომ ამბობს იესო, რომ სულიერად ღარიბნი არიან ნეტარნი? (მუხლი 3)

4. რას მიიღებენ მგლოვიარენი? (მუხლი 4) ფიქრობთ, რომ სულიერად ღატაკნი გლოვობენ?

   ხშირად ვფიქრობთ, რომ მხოლოდ დაკრძალვის დროს გლოვობენ. თუმცაღა, იესოს მიმდევრებს, რომლებსაც სურთ უფლის სამეფოს ნახვა ამ სამყაროში, ბევრ სხვა რამეზეც უწევთ გლოვა. მაგალითად, თუ იესოს მიმდევრები ვართ, ჩვენ ვგლოვობთ ჩადენილ ცოდვებზე, რადგან ამით უპატიოს ვხდით უფლის სახელს და ტკივილს ვაყენებთ სხვებს. ჩვენ ასევე ვგლოვობთ ჩვენს ეგოიზმს ამ სამყაროში.

   გლოვობ შენი ჩადენილი ცოდვების გამო? რაზე გლოვობ შენს საუთარ სამშობლოზე ან მსოფლიოზე?

5. ვის ეკუთვნის სამყარო? (მუხლი 5)

   „თვინიერება“ ნიშნავს საკუთარი თავის კონტროლის უნარს, როცა სხვებს ზრუნვით და თავმდაბლობით ექცევი. თუ ჩვენ ვაღიარებთ რომ ღმერთი გვჭირდება, ეს როგორ დაგვეხმარება გავხდეთ „თვინიერნი“?

6. როგორ შეიძლება თვინიერს ეკუთვნოდეს სამყარო, როცა ეგოისტი და მოძალადე ადამიანი უფრო ხშირად აკონტროლებს მას?

   ეს მუხლი ეხმარება თვინიერ ადამიანს იყოს უფრო მომთმენი და სწამდეს, რომ უფალი თავის ნებას აღასრულებს?

7. წაიკითხე მე-6 მუხლი კიდევ ერთხელ.

   რას ნიშნავს იყო ‘სიმართლისათვის მშიერ-მწყურვალი’?

   როდისმე გიგრძვნია ღმერთის გაცნობის დაუოკებელი ‘წყურვილი’ და სურვილი რომ სამართლიანი ყოფილიყავი მის წინაშე?

   გჯერა, რომ უფალი შეასრულებს თავის სურვილს?

8. ამ მუხლში რას პირდება იესო მათ ვინც სიმართლისათვის მშიერ-მწყურვალია?

9. წაიკითხეთ იოანე 7:37-38

   იესო კვლავ საუბრობს მათზე, ვინც მწყურვალია. იგი ამბობს, რომ თუ გვწყურია ჩვენ შეგვიძლია მასთან მივიდეთ წყურვილის მოსაკლავად. ამას რა მნიშვნელობა აქვს შენთვის?

   იესო როგორ ხსნის 37-ე მუხლს, 38 და 39 მუხლების საშუალებით?

   შენ უკვე იკლავ წყურვილს იესოდან მომდინარე ცოცხალი წყლით? შეგიძლია ჯგუფში ისაუბრო ამაზე?

10. დღეს ნასწავლი მუხლებიდან რომელი შეგეხო განსაკუთრებით? შეგიძლია ჯგუფში ისაუბრო ამაზე?

11. ჯგუფმა ერთად შესთხოვეთ უფალს, რომ უფლის მოსაწონი ჩამოთვლილი ჩვევები დათესოს თქვენს გულში, რათა უფრო მეტად დაემსგავსოთ მას.

2. ჭეშმარიტი ბედნიერებისკენ მიმავალი გზა

ნაწილი 2

დისკუსიის დაწყება:

ბოლო შეხვედრაზე ჩვენ ვისაუბრეთ იესოს მიმდევრების ხასიათის ოთხ თვისებაზე (მათ 'ნეტარებანი' ეწოდებათ). შეგიძლიათ გაიხსენოთ ზეპირად? მათე სახარების მე-5 თავის პირველი 12 მუხლი იესოს ყველა მიმდევარს ასწავლის ხასიათის იმ სწორ თვისებებზე, რომელიც მის მიმდევრებს უნდა ჰქონდეთ უფალთან და ადამიანებთან ურთიერთობისას. ფიქრობ, რომ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ ეს თვისებები? რატომ კი ან არა?

წაიკითხეთ მათეს სახარება 5:1-12

1. როგორ განმარტავ წყალობას? (მუხლი 7) ვინმეს თუ გამოუჩენია შენს მიმართ წყალობა, რომელიც არ დაგიმსახურებია?
2. თუ მოწყალე ხარ, რას იღებ? (მუხლი 7) რატომ ფიქრობ, რომ როგორც სხვას ვექცევით, გავლენას ახდენს იმაზე თუ როგორ გვექცევა ღმერთი?

წაიკითხეთ მათეს სახარება 18:21-35. რა არის ამ ისტორიის მთავარი მესიჯი?

3. წაიკითხე მათე 5:8. ვინ იხილავს უფალს?
    - გიფიქრია როგორი იქნება უფალთან შეხვედრა?
    - მხოლოდ გულით სუფთანი რატომ იხილავენ უფალს შენი აზრით?
4. ფიქრობ, რომ შენ იხილავ უფალს? რატომ კი ან არა?
5. წაიკითხეთ მე-9 მუხლი. თუ მშვიდობის მყოფელები უფლის ძეებად იწოდებიან, რას მეტყველებს ეს თვით ღმერთზე?
6. ამ სამყაროს სჭირდება მშვიდობის მყოფელები? როგორ შეიძლება ვიყოთ მშვიდობისმყოფელები საკუთარ ოჯახში და სამშობლოში? შეგიძლია იფიქრო რამე კონკრეტულ სიტუაციაზე სადაც საჭიროა, რომ მშვიდობისმყოფელი იყო?
7. ხალხისთვის ყოველთვის მისაღებია ჩვენი მშვიდობისმყოფელობის მცდელობა?

8. მუხლები, რომელსაც ვსწავლობთ საუბრობს სამართლიანობაზე... ადამიანებზე რომელთა ქცევაც სამართლიანია უფლის წინაშე. შეგიძლია გაიხსენოთ 3-9 მუხლებში ჩამოთვლილი თვისებები?

9. კიდევ გადაკითხე 10-12 მუხლები. იესო ამბობს, რომ ეს ყველაფერი შესაძლოა გადახდეთ მათ ვინც უფლის წინაშე მართალია? ადამიანების გარკვეული ნაწილი რატომ არის მტრულად განწყობილი უფლის ხალხის მიმართ?

10. იესო პირდაპირ ელაპარაკება თავის მიმდევრებს მე-11 მუხლში. რას ეუბნება, რა შეიძლება მოუვიდეთ მათ? რატომ უნდა იხარონ და იმხიარულონ?

11. ადვილია იესოს მიმდევრობა? იესო ამბობს, რომ ისინი ნეტარნი არიან. ეს იმას ნიშნავს რომ მათ გაუმართლათ თუ იმას, რომ ისინი ნამვილად ბედნიერები არაინ. ეს ბედნიერება მათი მატერიალური კეთილდღეობიდან მოდის თუ სულიერი სიმდიდრიდან?

12. ამ სამყაროში ბედნიერების სათავე იგივეა რაც იესო ქრისტეს მიმდევრების ბედნიერების სათავე? ამ ადგილის შესწავლის შემდეგ გინდა განსხვავებული იყო სამყაროსგან? როგორ?

„ჰკითხეს: "როგორ მოვიქცეთ, რომ
ღმერთის საქმენი ვაკეთოთ?”
იესომ მიუგო: "ეს არის ღმერთის საქმე,
რომ ირწმუნოთ ის, ვინც მან მოავლინა”.
იოანე 6:28–29

მოინანიეთ და იწამეთ

მას შემდეგ, რაც გადაცემულ იქნა იოანე, იესო გალილეაში დაბრუნდა

და ქადაგებდა ღვთის სახარებას. ამბობდა: "აღსრულდა ჟამი და

მოახლოვდა ღმერთის სამეფო. მოინანიეთ და იწამეთ სახარება". მარკ 1:14,15

იესო ქრისტეს მიმდევრებმა იციან, რომ უნდა მოინანიონ. მაგრამ როგორ ვინანიებთ? რა სურს ღმერთს, რომ გავაკეთოთ? (ხანდახან ვერ ვიგებთ როგორ უნდა მოვინანიოთ?)

ანდა რას ნიშნავს „იწამეთ სახარება"?

ეს სიტყვები „მოინანიეთ" და „ირწმუნეთ" ხშირად გვხვდება ახალ აღთქმაში. იესოსთან ერთად სიარულს მონანიებით და რწმენით ვიწყებთ და მასთან ერთად ვაგრძელებთ სიარულს მთელი ცხოვრება ჩვენი მონანიებით და რწმენით.

ქვემოთ მოცემული გაკვეთილი დაგვეხმარება უკეთ გავიგოთ ეს ცნებები, რომელიც იესოს ყველა მოწაფისთვის წარმოადგენს საძირკველს.

3. ნუ ენდობი საკუთარ სამართლიანობას

"ღმერთი ამპარტავნებს ეწინააღმდეგება, თავმდაბლებს კი მადლს ანიჭებს".

(იაკობი 4:6)

დისკუსიის დაწყება:

ფიქრობ, რომ ღმერთი წონის შენს კარგ და ცუდ საქმეებს ისევე როგორც ხილს წონიან ბაზარში? ახსენი შენი მოსაზრება ჯგუფში

წაიკითხეთ ლუკა 18:9-14

1. ვის ეუბნება იესო ამ იგავს? (მუხლი 9)
2. ორი კაცი შევიდა ტაძარში სალოცავად. (მუხლი 10) მომდევნო სტროფის წაკითხვამდე, შეგიძლიათ თქვათ ვინ იყვნენ ფარისევლები და მებაჟეები?

ვინ იყვნენ იესოს დროის ფარისევლები და მებაჟეები?

ფარისევლები იუდაელი რელიგიის ლიდერები იყვნენ. ხალხი მათ პატივს სცემდა, მაგრამ იესო ამბობდა, რომ ისინი მხოლოდ რელიგიურ ნიღაბს ატარებდნენ, რეალურად კი მათი გული შორს იყო ღმერთისგან. იესომ ისინი განკიცხა მათი თვალთმაქცობის გამო და თავის მოწაფეებს უბრძანა მათ არ დამსგავსებოდნენ. მებაჟეები კი კორუმპირებული ხალხი იყო, რომლებიც ხალხს ატყუებდნენ. ებრაელებს ეზიზღებდათ მებაჟეები. ამ იგავში ეს ორი ადამიანი ტაძარში სალოცავად შედის

3. იესოს იგავის მიხედვით, ფარისეველი ძალიან თვითდაჯერებულია ლოცვის დროს. რას ეუბნება იგი ღმერთს? (მუხლი 11-12) შენი აზრით რატომ ფიქრობდა ფარისეველი, რომ მას სჭირდებოდა ღმერთისთვის შეეხსენებინა თავისი კარგი საქმეები?
4. უფლის წინაშე საკუთარი სამართლიანობით სიამაყის/თავმომწონეობის რამე ნიშნები თუ დაინახეთ ფარისევლის ლოცვაში (კიდევ ერთხელ გადახედეთ მე-11 მუხლს). თუ მოინანია რომელიმე მისი ცოდვა?

5. გადაიკითხე მებაჟის ლოცვა კიდევ ერთხელ (მუხლი 13). ფარისევლის მსგავსად თუ შეახსენა მან უფალს თავისი კეთილი საქმეები? რას ითხოვს ასე ძალიან იგი უფლისგან?

   მებაჟე თუა დარწმუენბული თავის სამართლიანობაში უფლის წინაშე?

6. იესოს სიტყვებიდან გამომდინარე უფლის თვალში ვინ წავიდა გამართლებული (ანდა მართალი) სახლში (მუხლი 14)?

   ბიბლია გვასწავლის, რომ ყველამ შესცოდა და მოკლებულნი არიან უფლის დიდებას (რომაელთა 3:23). ჩვენ ღმერთის წინაშე მართალნი ვერ ვიქნებით თუ დამოკიდებულები ვიქნებით საუთარ კარგ საქმეებზე ამ ფარისევლის მსგავსად. ჩვენ ყველანი უწმინდურნი ვართ და გვჭირდება უფლისგან განწმენდა. იმედი არსებობს იესოში. მან მცნებად დაგვიტოვა, რომ მოვინანიოთ და ვიწამოთ მისი.

7. იესოს ცად ამაღლებიდან მრავალი წლის შემდეგ მოციქული იოანე საუბრობს ცოდვების მონანიების და იესოს, როგორც ჩვენი ცოდვებისთვის გაღებული მსხვერპლის, რწმენის აუცილებლობაზე

წაიკითხეთ 1 იოანე 1:8-2:2

რამდენად გამხნევებთ ეს მუხლები, რომ გულწრფელად აღიაროთ თქვენი ცოდვები უფლის წინაშე? რას გვასწავლის ეს ადგილი (თქვენი სიტყვებით ახსენით)?

დაფიქრდი საკუთარ ცხოვრებაზე.

8. გჭირდება საკუთარი ცოდვების მონანიება?

   გრცხვენია ჩადენილის გამო?

   იესო ამბობს, რომ ცოდვა ეს მხოლოდ კრიმინალური აქტი კი არ არის (მაგ: მკვლელობა) ან სირცხვილი საზოგადოების თვალში (მაგ: მრუშობა). ის ამბობს, რომ ცოდვა ადამიანის გულიდან იწყება. თუ გულისთქმით შევხედეთ, ამით ჩვენ ვიმრუშეთ გულში. თუ ვილანძღებით, ამით ვკლავთ ადამიანებს. თუ გვეზიზღება და

ვწყევლით, ჩვენ სრულიად განსხვავებული ვართ ჩვენი ზეციერი მამისგან, რომელსაც უყვარს ადამიანები. იცი, რომ ღმერთისგან გჭირდება პატიება ყოველ ჩადენილ არასწორ საქციელზე?

9. ახალი აღთქმა გვასწავლის, რომ უფლის მადლი უფასოდ მიეცემა მათ, ვინც ირწმუნა იესო ქრისტესი, რადგან იესო ქრისტე მოკვდა, როგორც მსხვერპლად გაღებული კრავი, რომელიც შეეწირა სამყაროს ცოდვების გამოსყიდვისთვის. ფიქრობ, რომ მებაჟის მსგავსად გჭირდება უფლის წყალობა? ფრთხილად იყავი, რათა ფარისევლის მსგავსად არ მიენდო საკუთარ სიმართლეს თავის მოსატყუებლად. იცი, რომ გულწრფელობა და ცოდვების მონანიება უფლის წინაშე აუცილებელია პატიების მისაღებად?

შენიშვნა ჯგუფის ლიდერებისთვის

თავაზიანად და სიფრთხილით მოუწოდეთ ჯგუფს მონანიების ლოცვისკენ. დაარწმუნეთ ისინი, რომ იესო მოკვდა რათა მათ მიეღოთ ცოდვებზე პატიება. ასწავლეთ ქრისტეზე მინდობა, რომელმაც საკუთარ თავზე აიღო მათი ცოდვები

4. გჯეროდეს, რომ იესო მოკვდა შენი ცოდვებისთვის

ნაწილი 1

შესავალი: წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია გავეცნოთ იესო ქრისტეს სწავლებებს და მცნებებს. იესო თავის მიმდევრებს ასწავლიდა, რომ მისი ერწმუნათ. რატომ? დღეს და მომავალ შეხვედრაზე ჩვენ წავიკითხავთ მის სიკვდილზე, რომელიც დაახლოებით 2 ათასი წლის წინ მოხდა. მილიონობით ადამიანს სჯერა, რომ ის არის სამყაროს მხსნელი. თუ გვსურს, რომ მას ვერწმუნოთ, ჩვენ უნდა გავიგოთ მისი სიკვდილის მიზეზი. ახალი აღთქმა ამბობს, რომ ის დაემორჩილა თავის მამას და მოევლინა ამ სამყაროს, რათა თავი შეეწირა ჩვენი ცოდვების გამოსასყიდად.

დისკუსიის დაწყება:

> როდისმე თუ მიგიცია პირობა ღმერთისთვის ან საკუთარი თავისთვის, რომ ამა თუ იმ კონკრეტულ რამეს აღარ გააკეთებდი, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ისევ იგივე გაგიკეთებია? რა უნდა გავაკეთოთ მაშინ როცა აღმოვაჩენთ, რომ სუსტები ვართ?

წაიკითხეთ მარკოზი 14:27-31

1. რას ამბობს იესო 27-ე მუხლში, რა მოხდება მისი სიკვდილის დროს?

   > შემდეგ, 28-ე მუხლში, წინასწარმეტყველებს თუ რა მოხდება მისი სიკვდილის შემდეგ. რა იწინასწარმეტყველა?

2. 29-ე მუხლში პეტრე ამტკიცებს, რომ ის არ ცდუნდება. რას პასუხობს მას იესო? (მუხლი 30)

   > პეტრე იმდენად იყო დარწმუნებული თავის სიმტკიცეში, რომ ფიქრობდა შეძლებდა იესოსთან ერთად სიკვდილს (მუხლი 31). პეტრეს ადგილას თავს თუ იგრძნობდით დამცირებულად იესოს პასუხის შემდეგ, თითქოსდა მას გასცემდით?

წაიკითხეთ მარკოზი 14:32-42

3. როცა იესომ პეტრე, იაკობი და იოანე თან გაიყოლა სალოცავად, რა უთხრა საკუთარ შინაგან განცდებზე? (მუხლი 33-34)

4. მოწაფეებს ეძინათ მთელი იმ პერიოდის მანძილზე, როცა იესოს სული სიკვდილამდე იყო დამწუხრებული და ლოცულობდა. რატომ იყო იესოსთვის ასე მნიშვნელოვანი, რომ მათ „ეფხიზლათ და ელოცათ?“ (მუხლი 37-38)

5. იესო კვლავ სალოცავად გაბრუნდა და უკან დაბრუნებულს ჩაძინებული დახვდა მოწაფეები. მესამე ჯერზე რას ეუბნება იესო მოწაფეებს? (მუხლი 41-42)

   როცა შავბნელი დღეები გვიდგას, ხშირად სურს ჩვენს სულს ლოცვა, მაგრამ ფიზიკურად სუსტები ვართ. ლოცვისთვის როგორ ვიპოვოთ ძალა ღმერთში რომ არ ვცდუნდე?

წაიკითხეთ მარკოზი 14:43-65

6. როგორ გასცა იუდამ იესო? (მუხლი 44-46) რა მოხდა იესოს შეპყრობისას? (მუხლი 50)

   იესომ თავის მოწაფეებს უთხრა, რომ ერთ-ერთი მათგანი გასცემდა (მარკოზი 14:18-21) და რომ ყველანი გაიფანტებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი იცოდა, შენი აზრით რას გრძნობდა იმ დროს, როცა ეს მოხდა?

7. იუდეველ რელიგიურ წინამძღვრებს შურდათ იესოსი. მათ არ მოსწონდათ მისი სწავლება, რომელიც ამხელდა მათ თვალთმაქცობას. როგორი ხალხი შეკრიბეს იესოს ცილისწამებისთვის? (მუხლი 55-59)

8. რას ეკითხება იესოს მღვდელმთავარი? (მუხლი 61), როგორია იესოს პასუხი? (მუხლი 62)

   იესოს პასუხის შემდეგ, რა თქვეს და რა გადაწყვიტეს მათ? (მუხლი 63,64)

წაიკითხეთ მარკოზი 14:66-72

9. პეტრეს მიერ იესოს მესამედ უარყოფა უფრო მძაფრი იყო. როგორ? (მუხლი 71). როცა პეტრეს გაახსენდა იესოს წინასწარმეტყველება მის მიერ უარყოფის შესახებ, რა მოიმოქმედა?

   რა თქმა უნდა მას ასევე ახსოვდა იესოს სიტყვები, რომელიც მან თავის მოწაფეებს უთხრა. მან თქვა: „ყველა, ვინც მე მაღიარებს ადამიანთა წინაშე იმას მეც ვაღიარებ ჩემი ზეციერი მამის წინაშე. ვინც უარმყოფს მე ადამიანთა წინაშე, მას მეც უარვყოფ ჩემი ზეციერი მამის წინაშე.“ (მათე 10:32-33)

   როგორ უნდა გავიზარდოთ წრმენაში ისე, რომ არ შეგვრცხვეს იმის აღიარების, რომ იესოს მიმდევრები ვართ?

   მომდევნო გაკვეთილზე გავაგრძელებთ ამ ისტორიას.

   ილოცეთ ერთმანეთისთვის, რათა გაიზარდოთ რწმენაში და არ შეგრცხვეთ იესო ქრისტესი.

5. გჯეროდეს, რომ იესო მოკვდა შენი ცოდვებისთვის

ნაწილი 2

დისკუსიის დაწყება:

წინა შეხვედრაზე ვისაუბრეთ იმაზე თუ რა მოხდა იესოს შეპყრობის ღამეს. გახსოვთ როგორ მოიქცნენ მოწაფეები, როცა იესომ სთხოვა, რომ დარჩენლიყვნენ და ელოცათ მასთან ერთად? როგორ მოიქცა იუდა? როგორ მოიქცა პეტრე?

მოდით გავაგრძელოთ ისტორიის კითხვა

წაიკითხეთ მარკოზი 15:1-15

1. რას აკეთებდა პილატე პასექის დროს (მუხლი 6)
2. ვინ იყო ბარაბა? (მუხლი 7) ვინ წააქეზა ხალხი ბარაბას გათავისუფლება მოეთხოვათ პილატესთვის? (მუხლი 11)
3. რა მიზეზით სურდათ მღვდელმთავრებს იესოს გადაცემა პილატესთვის? (მუხლი 9-10)
4. როცა პილატემ ჰკითხა ხალხს, თუ როგორ მოქცეოდა იესოს, რას ყვიროდა ხალხი (მუხლები 13-15)
5. აღწერე როგორ ამცირებდნენ და სცემდნენ იესოს (მუხლი 16-20)
6. ჯვარცმის მიზნით სად წაიყვანეს იესო? (მუხლი 22)

   დასალევად რა მიაწოდეს იესოს ჯარისკაცებმა? (მუხლი 23)

   რას ფიქრობ, რატომ თქვა იესომ მის მიღებაზე უარი?
7. ვისთან ერთად აცვეს ჯვარს იესო? (მუხლები 27-28)
8. როგორ ამცირებდა ხალხი ჯვარცმულ იესოს? (მუხლი 29-32)

მოდით ვიფიქროთ რატომ გაიგეს იესოს ნათქვამი არასწორად და სინამდვილეში რატომ ეცვა ჯვარს:

ა. წავიკითხოთ იოანე 2:18-22 და გავიგოთ თუ რეალურად რას გულისხმობიგულისხმა იესომ როცა თქვა, რომ „დაანგრიეთ ეს ტაძარი და სამ დღეში აღვადგენ მე.“

ბ. დაცინვისას ამბობდნენ, რომ საკუთარი ხსნა არ შეეძლო მაშინ, როცა სხვებს იხსნიდაო. მოდით ვნახოთ თუ რატომ არ იხსნა საკუთარი თავი იესომ ჯვარცმისგან.

მათე 20:17-19: რა იწინასწარმეტყველა იესომ საკუთარ თავზე?

მარკოზი 10:44-45: რა მიზნით მოვიდა იესო ამ სამყაროში?

იოანე 10:14-18: რას ამბობს იესო, რისი ძალაუფლება აქვს მას? (მუხლები17-18)

იოანე 12:23-33: იესო თავის სიკვდილს წინასწარმეტყველებს 23და24 მუხლებში. ის ამბობს, რომ მისი სული შფოთავს, თუმცაღა ძალიან უჩვეულოდ ლოცულობს იგი 27 და 28 მუხლებში. რას სთხოვს იგი თავის ზეციერ მამას?

წაიკითხეთ მარკოზი 15:33-41

9. რა მოხდა იერუსალიმის ახლო მდებარე ტაძარში, როცა იესო მოკვდა? (მუხ: 37-38)

იმისთვის, რომ გავიგოთ რა მოხდა, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ებრაული კულტურა და ისტორია. ტაძარი ებრაელებისთვის იყო ის ადგილი სადაც მღვდელი შესაწირად მიყვანილ ცხოველს წირავდა ადამიანის ცოდვებისთვის. წელიწადში ერთხელ, მღვდელმთავარს, ხალხის ცოდვების გამოსასყიდი კრავის სისხლი შეჰქონდა ტაძრის იმ ოთახში, რომელსაც ‘წმიდათა წმინდა’ ეწოდებოდა და ტაძრის სხვა ადგილისგან უზარმაზარი მძიმე ფარდით იყო გამოყოფილი. მღვდლის გარდა არავის ჰქონდა იმ ადგილას შესვლის უფლება, სადაც უფალთა უფლის სული სუფევდა. ფარდა ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ ადამიანი დაშორებულია ღმერთს. ჯვარზე იესომ, როგორც უფლის კრავმა, თავისი სიცოცხლე შესწირა ჩვენი ცოდვების გამოსასყიდად. როგორც კი მან სული

განუტევა, ფარდა შუაზე, ზევიდან ქვევით, ორად გაიხა, ისე თითქოს ღმერთმა თვითონ გახსნა ფარდა, რათა ადამიანებისთვის ეჩვენებინა, რომ ახლა ისინი შერიგებულნი არიან ღმერთთან იესო ქრისტეს მსხვერპლის წყალობით. მონანიება და რწმენა გარანტიას გვაძლევს იმისა, რომ ჩვენი ცოდვები ნაპატიებია და ახლა განწმენდილნი ვართ.

წაიკითხეთ მარკოზი 15:42-47

10. რა დაემართა იესოს სხეულს?

თუმცა ეს არ არის ისტორიის დასასრული. მომდევნო შეხვედრაზე ვისაუბრებთ იმ არაჩვეულებრივ მოვლენებზე, რომელიც იესოს სიკვდილის და დაკრძალვის შემდეგ მოხდა.

როგორ იმოქმედა შენზე იესო ქრისტეს, მესიის ჯვარცმის ისტორიამ? გაუზიარე ჯგუფს შენი ფიქრები და ემოციები. რა გავლენას ახდენს ეს ისტორია იმ რწმენაზე, რომ მას თქვენ ვუყვარვართ?

მადლობა გადაუხადეთ უფალს მისი დიდებული სიყვარულისთვის და ჩვენი ცოდვებისათვის გაღებული მსხვერპლისთვის.

6. იწამე ქრისტეს აღდგომის და მიიღე საუკუნო სიცოცხლე

დისკუსიის დაწყება:

ბოლო ორ შეხვედრაზე ვისაუბრეთ ჩვენი ცოდვების გამო იესოს ჯვარცმაზე. ყველაზე კარგად რა გახსოვთ ამ ისტორიიდან? ეცადეთ გაიხსენოთ რაც შეიძლება ბევრი დეტალი.

მესამე დღე დადგა იესოს სიკვდილის შემდეგ - კვირა დილა, გარიჟრაჟი. მოდით წავიკითხოთ რა მოხდა ამ დღეს

წაიკითხეთ იოანე 20:1-18

1. რამ გააოცა და აღაშფოთა მარიამ მაგდალელი სამარხთან მისვლის შემდეგ? (მუხ 1-2). ვისთან გაიქცა მაშინვე ეს ამბავი რომ შეეტყობინებინა?

2. კვლავ გადაიკითხე 3-9 მუხლები. რა რეაქცია ჰქონდათ პეტრეს და იოანეს (იესოს საყვარელ მოწაფეს)? აღწერე მათი საქციელი.

   მე-8 მუხლის თანახმად, როცა იოანემ ცარიელი დაინახა სამარხი, როგორ მოიქცა? ამ მომენტისთვის მიხვდნენ თუ არა პეტრე და იოანე თუ რა მოხდა რეალურად?

3. წაიკითხეთ 10-13 მუხლები. როცა სამარხში შეიხედა, რა დაინახა მარიამმა?

   > წარმოიდგინე ის მწუხარება, რომელმაც მარიამი მოიცვა. მას სჯეროდა, რომ იესო იყო მესია. მას უყვარდა და ემსახურებოდა მას. მარიამი იესოს მტაჯველი სიკვდილის თვითმხილველი იყო. ახლა კი ცარიელ სამარხთან დგას, სადაც მისი სხეულიც კი აღარ არის ადგილზე.

4. ახლა წაიკითხეთ მუხლები 14-18. ვინ დადგა მარიამის გვერდით? როდის მიხვდა ვინ იყო იგი? და როცა იცნო, რა განცდა დაეუფლებოდა?

   წარმოიდგინე მარიამის მწუხარება როგორ შეიცვლებოდა სიხარულით და აღფრთოვანებით. შეუძლებელი რამ მოხდა!

5. თავისი მსახურების მანძილზე იესომ რამოდენიმე ადამიანი აღადგინა სიკვდილისგან. როცა მისი უახლოესი მეგობარი, ლაზარე მოკვდა, მან ასეთი რამ უთხრა მის მგლოვიარე დებს: **„მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე! ჩემი მორწმუნე, კიდეც რომ მოკვდეს, იცოცხლებს! ყველა, ვინც ცოცხლობს ჩემში და სწამს ჩემი, უკუნისამდე არ მოკვდება.“** (**იოანე** 11:25-26) ამ მუხლებიდან გამომდინარე, რას ნიშნავს აღდგომა შენთვის და ჩემთვის?

6. **წაიკითხეთ 19-20 მუხლები.** კიდევ ვის გამოეცხადა იესო აღდგომის შემდეგ? როგორ დაუმტკიცა მათ, რომ სწორედ ის იესო იყო, რომელიც ჯვარზე გააკრეს? რა რეაქცია ჰქონდათ ამაზე მოწაფეებს? წარმოგიდგენიათ რამდენად გაიხარებდნენ ამით?

7. **წაიკითხე 24-29 მუხლები.** რა რეაქცია ჰქონდა თომას, როცა მოწაფეებმა უთხრეს, რომ უფალი იხილეს? (მუხ 25)?

   რა რეაქცია ჰქონდა თომას, როცა იესო მასაც გამოეცხადა? (მუხ 28) რას ამბობს იესო, ვინ არიან ნეტარნი 29 მუხლში?

8. საიდან ვიცი, რომ იესო აღდგა მკვდრეთით? იგი სხვებსაც გამოეცხადა? წაიკითხეთ 1კორინთელთა 15:3-7. წერილის ავტორის (პავლეს) თანახმად ჩამოთვალეთ ისინი ვისაც გამოეცხადა იესო აღდგომის შემდეგ.

   წაიკითხეთ საქმეთა 1:1-3. აღდგომიდან ცად ამაღლებამდე რამდენი ხანი დაყო იესომ მიწაზე? ამ ხნის მანძილზე რა აჩვენა იესომ თავის მოწაფეებს? (მუხ 3)

9. თქვენი აზრით, მოწაფეები დარწმუნებული იყვნენ, რომ იესო ცოცხალი იყო? ისტორიკოსები ირწმუნებიან, რომ 12 მოწაფიდან ათი მათგანი მათი რწმენის გამო მოკლეს. ნუთუ სიცრუის გამო მოკვდებოდნენ?

10. დავბრუნდით იოანეს მე2 თავს და წაიკითხეთ 30-31 მუხლები. რატომ ამახვილებს ყურადღებას იოანე იესოს ამ დედამიწაზე ყოფნაზე? (მუხ 31)

რისი გწამთ? გწამს, რომ იესო ამ ქვეყნად მოვიდა და მოკვდა, როგორც ღმერთისთვის შეწირული მსხვერპლი თქვენი ცოდვებისთვის? გჯერა რომ იგი აღდგა და სიკვდილი დაამარცხა? თუ ასეა, უთხარი მას ეს. წარმოიდგინე რა ძვირფასი გრძნობაა, რომ სიკვდილის აღარ გვეშინია!

კიდევ ერთხელ წაიკითხეთ იოანე 11:25-26. მადლობა გადაუხადეთ და განადიდეთ იესო იმ დიდებული საჩუქრისთვის, რასავ საუკუნო სიცოცხლე ჰქვია.

7. გავიგოთ თუ რატომ უნდა მომკვდარიყო იესო და რატომ უნდა გვწამდეს მისი

დისკუსიის დაწყება:

ცხოვრებაში თუ გქონია ისეთი პერიოდი როცა იმედი სრულიად გქონდათ გადაწურული? რამ დაგიცვა, რომ უარეს მდგომარეობაში არ ჩავარდნილიყავით?

ეს ისტორია იესოს მკვდრეთით აღდგომის დღეს მოხდა.

წაიკითხეთ ლუკა 24:13-53

1. კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ 13-16 მუხლები. როცა მოწაფეები გზაზე მიდიან და საუბრობენ, ვინ დაემგზავრა მათ? იცნობდნენ მას?
2. წაიკითხეთ 17-24 მუხლები. რაზე საუბრობდნენ მგზავრები?

   წაიკითხეთ იესოს პასუხი 25-26 მუხლებში. იესო გაკვირვებულია, რომ ისინი ვერ მიხვდნენ რატომ უნდა მომკვდარიყო იგი. როგორ უხსნის იესო 27-ე მუხლში?
3. რას უწოდებს იესო საკუთარ თავს 26-ე მუხლში?

რას ნიშნავდა „მესია“ ებრაელებისთვის

ებრაელი წინასწარმეტყველები იესომდე ასობით წლების უკან წინასწარმეტყველებდნენ, რომ მესია მოვიდოდა. წინასწარმეტყველები ამბობდნენ, რომ მესია ღმერთისგან იქნებოდა გამოგზავნილი და ის იქნებოდა მხსნელი. ებრაელები ვარაუდობდნენ, რომ იგი მეომარი იქნებოდა, რომელიც ებრაელებს მათი დამპყრობლისგან დაიხსნიდა. ახლა კი იესო უხსნის, რომ იგი *იყო* მესია და რომ მათი უდიდესი მტერი რომი კი არ არის, არამედ ცოდვა, რომლის მარწუხებშიც არიან ისინი მოქცეულნი. მათ ისეთი მესია სჭირდებოდათ, რომელიც მათ ცოდვის ტყვეობისგან გაანთავისუფლებდა.
როდესაც იესომ აუხსნა, რომ მესია უნდა მომკვდარიყო, მოწაფეებისთვის გასაგები გახდა, რომ მისი სიკვდილი არაფრის მომტანი ტრაგედია არ იყო. ღმერთი ყველაფერს აკონტროლებდა, რომელმაც ბოროტი ადამიანების ბნელი გეგმები

გამოიყენა თავისი გეგმის აღსასრულებლად. ღმერთმა, ამ მოვლენამდე ასობით წლის უკან თავის წინასწარმეტყველებს აცნობა, რომ მესია მოკვდებოდა როგორც მხსნელი. თვით იესომაც რამოდენიმეჯერ უთხრა თავის მოწაფეებს, რომ მას ჯვარცმა ელოდა მაგრამ აღდგებოდა, მაგრამ მათი გონება დაბინდული იყო და არ ესმოდათ.

4. ესაია მნიშვნელოვანი წინასწარმეტყველი იყო, რომელიც იესომდე დაახლოებით 600 წლით ადრე ცხოვრობდა. **წაიკითხეთ ესაია 52:12-15 და 53:1-12**

   ესაიას წინასწარმეტყველება აღსრულდა იესოს სიკვდილით, აღდგომით და ამაღლებით.

5. დაუბრუნდით ლუკას 24-ე თავს და წაიკითხეთ 28-35 მუხლები ხელახლა. როდის მიხვდნენ ისინი, რომ ეს იესო იყო? (მუხლ 31) მისმა საუბარმა რა გავლენა მოახდინა მათზე? (მუხლ 32)

6. რა მოიმოქმედეს მაშინვე? როცა იერუსალიმში დაბრუნდნენ რა ახალი ამბავი ესმათ მოწაფეებს? (მუხლ 34) წარმოიდგინეთ მათთვის უმძიმესი დღე რა უცბად შეიცვალა მათთვის ყველაზე დიდებულ დღედ!

7. რა ხდება 36-ე მუხლში? რამ შეაძრწუნათ მოწაფეები? (მუხლი 37).

   მოწაფეები გლოვობდნენ იესოს სიკვდილს და ახლა ის მათ წინ დგას. შენ რა რეაქცია გექნებოდა ერთ-ერთი მათგანი რომ ყოფილიყავი?

8. იესოს უნდა დაერწმუნებინა ისინი, რომ მოჩვენება არ იყო. როგორ მოახერხა ეს? (მუხლ 38-42)

მოწაფეები მხოლოდ შეშინებულები კი არ იყვნენ, არამედ დაბნეულებიც. იესო მოკვდა მაგრამ ახლა ცოცხალია. გაოცებულები იქნებოდნენ რატომ მოხდა ეს საშინელება.

9. როცა იესომ შეძლო მათი დარწმუნება, რომ მოჩვენებას არ ხედავდნენ, როგორ აუხსნა იესომ თავისი სიკვდილი მოწაფეებს? (მუხლ 44-47)

ყურადღება მიაქციეთ, რომ იესომ როგორც ამ ორ მოწაფეს, ასევე დანარჩენებსაც ისევე აუხსნა თუ როგორ აღსრულდებოდა ძველი აღთქმის წინასწარეტყველებები მისი სიკვდილით და აღდგომით. მისი მსხვერპლი ჩვენი ცოდვების გამოსასყიდად დასაწყისიდანვე იყო უფლის გეგმა.

10. იესოს სიტყვების მიხედვით რა უნდა იქადაგებოდეს ყველა ხალხში? (მუხლ 47) ვისი სახელით (ავტორიტეტით) უნდა იქადაგებოდეს?

11. შეამჩნიეთ, რას ამბობს იესო, რომ მის მიერ გაღებული ცოდვების მისატევებელი მსხვერპლი ყველა ხალხისთვს იყო და არა მხოლოდ ებრაელებისთვის. (ჩაიკითხეთ 47-ე მუხლი ხელახლა)

    გჯერა, რომ იესო მოკვდა და აღდგა შენთვისაც? გჯერა, რომ შენი ცოდვებიც მიტევებულია თუ უარს ამბობ ძველ ცხოვრებაზე? როცა იესოს სთხოვ, რომ განგწმინდოს ძველი შეცდომებისგან, გჯერა რომ ის ახალ სიცოცხლეს გთავაზობს?

12. რა ხდება წაკითხული თავის ბოლოს? (მუხლ 51) როგორ იქცევიან მოწაფეები იესოს ცად ამაღლების შემდეგ?

13. გადაშალეთ და წაიკითხეთ ფილიპელთა 2:9-11. სად არის იესო ახლა? ეს მუხლები ამბობს, რომ საბოლოოდ ყველა მოიყრის მუხლს და თაყვანს სცემს მას. ახლა თუ მოიყრის მის წინაშე მუხლს და თაყვანს სცემ მას როგორც შენს მხსნელს და უფალს?

    თუ აქამდე არ გადაგიდგამს ეს ნაბიჯი, მაშინ უთხარი იესოს, რომ გჯერა რომ მას შეუძლია შენი ცოდვებისგან განთავისუფლება და ახალი სიცოცხლის ბოძება. მადლობა გადაუხადე მას იმ საოცარი საჩუქრისთვის, რომელსაც სიყვარული ჰქვია!

8. ზეციდა (უფლის სულით) შობა

დისკუსიის დაწყება:

რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი იმ საქმეებიდან, რომელსაც ჩვენ ვაკეთებთ ცხოვრებაში?

წაიკითხეთ იოანე 3:1-21

1. ვინ იყო ნიკოდემოსი? (მუხლ 1) იესოსთან სასაუბროდ ღამით მივიდა (მუხლ 2) როგორც ჩანს მარტო. რისთვის? შესაძლოა რამე მიზეზი ყოფილიყო?

2. რა უთხრა ნიკოდემოსმა იესოს? (მუხლი 2)

   როგორი იყო იესოს პასუხი? (მუხლი 3)

3. ნიკოდემოსი იესოს პასუხმა დააბნია, რომელიც ამბობდა, რომ ადამიანი ხელახლა/მეორედ უნდა იშვას.

   წაიკითხეთ მუხლები 4-8 კიდევ ერთხელ. შენი სიტყვებით თქვი იესო როგორ უხსნის ამას ნიკოდენუსს?

4. ნიკოდემუსი ჯერ კიდევ გაოცებულია ამ ახალი იდეით (მუხლი 9)

   იესო როგორ პასუხობს მის დაბნეულობას? (მუხლ 10)

   იესო ხელახლა შობას „მიწიერს“ ეძახის (მუხლ 12)

   სულიერად შობა როგორ შეიძლება იყოს მიწიერი?

5. წაიკითხეთ 13-15 მუხლები. გსმენიათ ან იცით, როგორ აღამაღლა მოსემ გველი უდაბნოში? (ეს ისტორია შეგიძლიათ წაიკითხოთ რიცხვთა 21:4-9-ში).

   იესო გარკვეულ პარალელს ავლებს მოსეს მიერ გველის ამაღლების ისტორიასთან. რა შედარებას აკეთებს იესო (რისი თქმა უნდა იესოს ამ შედარებით)?

6. მე-16 და მე17 მუხლები მოკლედ და გარკვევით უსვამს ხაზს იმას თუ რისი თქმა უნდა ღმერთს ჩვენთვის ბიბლიის საშუალებით. შეგიძლია შენი სიტყვებით თქვა, თუ რას გვეუბნება ჩვენ ეს მუხლები?

   მოდით ეხლა ნაბიჯ-ნაბიჯ შევისწავლოთ ეს ადგილი:

   - რა მოტივაციით აგზავნის ღმერთი თავის მხოლოდშობილ ძეს ამ დედამიწაზე?
   - ღმერთმა თავისი ძე გარკვეული მიზნით გამოგზავნა. რა მიზნით გამოგზავნა?
   - ვის შეუძლია ძისგან მიიღოს საუკუნო სიცოცხლე?
   - რა მიზნით <u>**არ**</u> მოავლინა ღმერთმა თავისი ძე?

ხელახლა წაიკითხეთ მუხლები 18-21

7. რას ნიშნავს 'სინათლე' 19-21 მუხლებში? იფიქრე საკუთარ ცხოვრებაზე. როგორ დამალულხარ უფლის ნათლისგან?

მე-19 მუხლი ამბობს, რომ „სინათლე მოვიდა წუთისოფელში". ბევრი ადამიანი გაურბის ქრისტეს ნათელს. ისინი უარს ამბობენს იესოს სულით განწმენდასა და ახალ სიცოცხლეზე. მაგრამ მათ არ იციან, რომ ისინი უფლის სიყვარულისგან გარბიან. თუ ისინი შეჩერდებიან და მობრუნდებიან ქრისტესკენ, მაშინ ისინი ხელახლა დაიბადებიან, როგორც ამას იესო უხსნის ნიკოდემუსს. ამას ეწოდება მონანიება და რწმენა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი სრულიად ახალ სიცოცხლეს დაეწაფებიან, რომელიც სულიწმინდისგან მოდის. ისინი პატიებას და მადლს მიიღებენ.

ხელახლა წაიკითხეთ იოანე 12:44-50

8. რატომ მოვიდა იესო წუთისოფელში? (მუხლ 46)

   როცა ვერწმუნებით იესოს, ამით რას გამოვხატავთ? (მუხლ 44-45)

   ვინსგან აქვს იესოს მიღებული მცნება, რომ ილაპარაკოს (მუხლ 49-50)

9. იესო აქ საუბრობს იმაზე, რომ თუ გვსურს ვიხილოთ უფლის სამეფო, მაშინ ხელახლა უნდა ვიშვათ. უფალმა თავისი დიდებული სიყვარულით ყველას დაგვიდო მცნება, რომ ზურგი ვაქციოთ ცოდვილ ცხოვრებას, მივუბრუნდეთ იესოს, რომელიც თავისი მსხვერპლის წყალობით გვპატიობს ცოდვებს. ამის შემდეგ სულიწმინდა შემოდის ჩვენს ცხოვრებაში და ანახლებს მას.

   საკუთარ თავზე თუ გამოგიცდიათ ხელახლა შობა? გსურს იშვა ზეციდან?

9. უფლის სიტყვის მიღება კეთილი და წრფელი გულით

იგავი თესლსა და მთესველზე

დისკუსიის დაწყება:

რატომ არის უფალი უხილავი შენი აზრით? ყველას ღიად რატომ არ აჩვენებს საკუთარ თავს და საკუთარ ჭეშმარიტებას?

წაიკითხეთ მათე 13:1-17

1. იესო ნავზე ავიდა ისე ასწავლიდა? რატომ? (მუხლ 2)
2. კიდევ ერთხელ წაიკითხე 4-9 მუხლები. მთესველი თესლს თესავს. დაასახელე ის ოთხი სახის ნიადაგი, სადაც თესლი ეცემა. რა ემართება თესლს თითოეულ ამ ნიადაგზე მოხვედრისას?
3. რისი სწავლა უნდოდა იესოს ამ იგავით, შენ რას ფიქრობ?
4. 13-15 მუხლების თანახმად, რატომ ელაპარაკება იესო იგავებით?
5. თუ ადამიანები ნამდვილად ეცდებიან, რომ უფალის ჭეშმარიტება შეიცნონ გულით, თვალით და ყურით, მაშინ რა მოხდება? (მუხლ 15)

ახლა წავიკითხოთ იგავის ახსნა: მათე 13:18-23

6. რას აღვიშნავს თესლი ამ იგავში? (მუხლ 19)

   იესო, ბოროტის მიერ მოტაცებულ გულში ჩათესილ სიტყვას ადარებს ფრინველების მიერ აკენკილ თესლს. როცა ჩვენ გვესმის უფლის სიტყვა, რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ სატანამ არ მოგვტაცოს იგი? რატომაა ეს მნიშვნელოვანი?

7. მე-6 მუხლში, მზე აჭკნობს აღმოცენებულს. მზე რას აღნიშნავს? (მუხლ 21) რატომ ხმება მცენარე?

   რამდენად ღრმადაა შენი ფესვები იესოში?

რა უნდა გააკეთო, რათა ფესვები უფრო ღრმად გაიზარდოს?

8. ეკლები რას უშვრება მცენარეს? (მუხლ 7), რას აღნიშნავს იგი? (მუხლ 22)

9. იესო ამბობს, რომ საზრუნავი დევნის უფლის სიტყვას ადამიანისგან. როგორ? გაქვს ისეთი საზრუნავი/სადარდებელი, რომელიც ხელს გიშლის უფლის ნდობაში? როგორ შეგიძლია დაძლიო იგი, რათა არ განიდევნოს უფლის რწმენა შენგან? (ფილიპელთა 4:6-7)

10. იესო 22-ე მუხლში ამბობს, რომ სიმდიდრე საცდურია. როგორ შეუძლია სიმდიდრეს ჩვენი 'ცდუნება, მოტყუება'? მხოლოდ მდიდრები უსმენენ ამ ტყუილს? შენ თუ უსმენ ამ ტყუილს?

11. როგორია „კარგი ნიადაგი?" (მუხლი 23), იგივე იგავი გვხვდება მარკოზის მე-4 და ლუკას მე-8 თავში. როგორც ჩანს იესო ამ იგავს ხშირად იყენებდა თავისი მოგზაურობის დროს. მარკოზი და ლუკა „კარგ ნიადაგს" სხვა მნიშვნელოვან ინგრედიენტებსაც უმატებენ, რომლებია ისინი? (წაიკითხეთ მარკზი 4:20 და ლუკა 8:15). გსურს ამ ნიადაგზე იზრდებოდე?

12. იესოსთვის რას ნიშნავს „ნაყოფის გამოღება"? ბევრი ამბობს რომ ქრისტიანია, მაგრამ ეს მათ ცხოვრების სტილში არ ჩანს. ჩვენი რწმენა ნამდვილია, თუ არასდროს გამოვიღებთ უფლის მოსაწონ ნაყოფს?

13. რომელი ნიადაგი განასახიერებს შენს რწმენას? რატომ? რა გიშლის ხელს სულიერ ზრდაში? რა უნდა მოიმოქმედო ამის გამოსასწორებლად? ამ საკითხისთვის ილოცე ახლა.

10.მონანიება და ზარალის ანაზღაურება

დისკუსიის დაწყება:

გაიხსენე როდის გაიგე პირველად იესოს შესახებ. რამ მიგიზიდა/დაგაინტერესა ყველაზე ძალიან მის შესახებ.

წაიკითხეთ ლუკა 19:1-9

1. რას ვიგებთ ზაქეზე, სანამ იგი იესოს შეხვდებოდა 2-4 მუხლებში?
2. მე3 მუხლი ამბობს, რომ ზაქეს ძალიან სურდა იესოს ნახვა. შესაძლოა მას გაგებული ჰქონდა დიდებულ ადამიანზე, რომელიც სასწაულებს ახდენდა და ჭეშმარიტებას ასწავლიდა. თქვენ თუ შეხვედრილხართ ისეთ ადამიანს, რომელსაც მოსმენილი ჰქონდა ესოზე და ძალიან სურდა უფრო მეტი გაეგო მასზე? როგორ შეგიძლია ასეთ ადამიანს დაეხმარო იესოს უკეთ გაცნობაში?
3. ფიქრობ რომ ზაქე ელოდებოდა, რომ იესო მოისურვებდა მის სახლში სტუმრობას? რატომ კი ან არა?

შენიშვნა: მებაჟეები ებრაელები იყვნენ, რომლებიც რომაელებს ემსახურებოდნენ, და რომლებიც თავის მხრივ, ებრაელებს აკონტროლებდნენ. ებრაელები მათ 'ცოდვილებს' ეძახდნენ, რადგან ისინი მდიდრდებოდნენ იმით, რომ იმაზე მეტს ახდევინებდნენ ებრაელებს, ვიდრე ამას რომაელები ითხოვდნენ. ზედმეტად შეგროვილ თნხას კი თვითონ იჯიბავდნენ. მებაჟეები სძულდათ დანარჩენ ებრაელებს.

4. როგორ რისკავდა იესო თვის რეპუტაციას, როცა ზაქეს სახლში შედიოდა?

   რას ამბობდა ხალხი, როცა იესო ზაქეს სახლში შევიდა?
5. ჭორაობა სატანის ხელში უძლიერესი იარაღია, რომელიც შიშს თესავს ჩვენს გულებში.

ხალხის ჭორაობამ თუ შეუშალა ხელი იესოს, რომ ზაქეს სახლში შესულიყო? აშინებდა თუ არა იესოს, რას იფიქრებდა ან იტყოდა ხალხი? გაჭირვებული ხალხს დახმარებაში გიშლის თუ არა ხელს ის თუ რას იტყვის სხვა?

6. ებრაელები იესოს უყურებდნენ, როგორც წმინდა მასწავლებელს. ისინი ფიქრობდნენ, რომ ის ცოდვილის სახლში არ შევიდოდა. რა იყო ის არასწორი შეხედულება რომელიც მათ ჰქონდათ ღმერთსა და ცოდვილ ადამიანებზე? (**იხ რას ამბობს მოციქული პავლე ამის თაობაზე 1 ტიმოთე 1:15-ში**)

7. ზაქე ეძებდა იესოს, მაგრამ აღმოაჩინა, რომ იესოც ეძებდა ზაქეს. როდესაც ქრისტეზე ესაუბრები სხვას, რამდენად გეხმარება იმის გააზრება, რომ იესო კვლავ ეძებს ადამიანებს?

   როგორ შეიძლება ემსგავსებოდე იესოს დაკარგული ადამიანების მოძებნისას - მათ შორის მათი, ვისაც საზოგადოება ზემოდან უყურებს?

8. მოდით ეხლა წავიკითხოთ რას ამბობს ზაქე მე-8 მუხლში. როგორ აჩვენებს, რომ მან ნამვილად ზურგი აქცია ცოდვას და სურს ახალი ცხოვრებით ცხოვრება?

   რა იყო მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი - ქონება თუ უფალთან სწორი ურთიერთობა?

შენიშვნა: ძველი აღთქმის კანონების თანახმად, თუ ერთი ადამიანი, სხვა ადამიანს თანხას გამოსძალავდა ან მოპარავდა, მომპარავს მისთვის სრულად უნდა აენაზღაურებინა მოპარული და ზემოდან დაემატებინა მოპარული თანხის 20%. ამას ეწოდება ზარალის ანაზღაურება.

9. რატომ მოგვცა უფალმა ეს მცნება შენი აზრით? რა მოხდებოდა საზოგადოებაში, თუ ყველა თავისი ჩადენილი შეცდომების საზღაურს გადაიხდიდა?

   ზარალის ანაზღაურება რამდენად დაეხმარება ცოდვილს შეცვლაში? ფიქრობ, რომ ეს დაეხმარება ადამაინებს დამსხვრეული ურთიერთობების აღდგენაში? როგორ?

   რას იფიქრებდნენ და იგრძნობდნენ ისინი, ვისაც ზაქე თანხას დაუბრუნებდა?

10. წაიკითხე 9-10 მუხლები. რას ამბობს იესო? ზაქეს სახლის ხსნა როგორ მოხდა?

11. ხანდახან ვფიქრობთ, რომ მონანიება მხოლოდ ცოდვილისა და ღმერთის საქმეა. მაგრამ ეს ისტორია ნათლად აჩვენებს, რომ მონანიება ასევე ხდება ცოდვილსა და იმ ხალხს შორის, რომელსაც მან მიაყენა ტკივილი. თუ ნამდვილად ვინანიებთ საკუთარ ცოდვას, მაშინ ყველაფერს გავაკეთებთ მის გამოსასწორებლად.

    ვინმესთვის გული თუ გიტკენიათ წარსულში თქვენი ჩადენილი ცოდვის გამო? ვინმესთვის თანხა ან სხვა რამ თუ გამოგირთმევიათ არასწორად? რამე თუ გაგიფუჭებიათ, რისთვისაც უნდა გადაიხადოთ?თუ ასეა, როგორ შეგიძლიათ აჩვენოთ მათ, რომ თქვენ გულწრფელად წუხხართ თქვენს მიერ ჩადენილი ცოდვის/შეცდომის გამო? ილოცე და სთხოვე უფალს გაჩვენოს გზა თუ როგორ შეგიძლია შენ ამ ზარალის ანაზღაურება.

11.პატივი მიაგე ძეს ისევე როგორც მამას

რას ამბობს იესო საკუთარ თავზე
რას ამბობენ მასზე სხვები? (ნაწილი 1)

დისკუსიის დაწყება:

დარწმუნებული ხარ, რომ სწორი გზაა იესო ქრისტეს რწმენა? ვინმემ რომ გკითხოთ რატომ გწამთ იესოსი, რას ეტყვით?

წაიკითხეთ იოანე 5:1-15

1. აღწერე ის არაჩვეულებრივი სასწაული, რომელიც იესომ მოახდინა 1-9 მუხლებში. იუდაელ წინამძღვრებს გაუხარდათ ადამიანის განკურნება? რამ გააბრაზა ისინი? (წაიკითხე მუხლი 16)

წაიკითხეთ 16-30 მუხლები

2. კიდევ ჩაიკითხე 17-18 მუხლები. რატომ ცდილობდნენ ებრაელები იესოს მოკვლას?

3. წაიკითხე 19-23 მუხლები. რას ამბობს იესო, საიდან აქვს მას სასწაულების მოხდენის უნარი (ავტორიტეტი)? (მუხლ 19)

4. რა არის ის ორი რამ, რაც იესოს მიღებული აქვს მამისგან? (მუხლ 21-22), რატომ აძლევს მამა იესოს ამის გაკეთების ავტორიტეტს? (მუხლ 23)

5. მიაგებ პატივს შენს ზეციერ მამას? გჯერა, რომ მის ძეს, იესოსაც უნდა მიაგო პატივი? შეგვიძლია გულწრფელად ვცეთ თაყვანი ღმერთს მისი ძის თაყვანისცემის გარეშე? (მუხლ 23)

უფალი არ განგვსჯის თუ იესოს გარშემო ჩვენი ეჭვები და კითხვები გულწრფელია და გულწრფელად ვეძებთ პასუხს. სწორედ ამ მიზნით უხსნიდა ამდენ რამეს იესო თავის მოწაფეებს. ის ცდილობდა დახმარებოდა ურწმუნო და თვალთმაქც ფარისევლებსაც კი, რომ მისი ერწმუნათ. გაკვეთილის

განმავლობაში ჩვენ გავიგებთ თუ რატომ უნდა გვწამდეს იესოსი ისევე, როგორც გვწამს მამა ღმერთის.

6. წაიკითხე მუხლები 24-30. რა მოუვათ მათ, ვინც ისმენს იესოს სიტყვებს და სწამს მისი მომავლინებლის? (მუხლ 24-26)

   26-27 მუხლებში იესო იმეორებს იმ ორ რამეს, რომელიც მამამ გადასცა ძეს. რა არის ისინი?

   ჯერ-ჯერობით სამი რამეა, რასაც იესო ამბობს თავის თავზე ურწმუნო ებრაელებისთვის: 1) ღმერთი მისი მამაა და იგი უფლის თანასწორია 2) მას აქვს სიცოცხლე თავისთავში, რათა მისცეს იგი მის მორწმუნეებს და 3) მას აქვს ხელმწიფება განიკითხოს ყველა ხალხი.

   იესოს მოწმედ მოჰყავს სხვა წყაროები იმის დასასაბუთებლად თუ ვინ არის ის ნამდვილად.

წაიკითხეთ 31-35 მუხლები

7. ებრაელთა უმეტესობა იოანე ნათლისმცემელს დიდებულ წინასწარმეტყველად მიიჩნევდა. მან ბევრი ებრაელი უფლის გზას დაუბრუნა თავისი ქადაგებებით. რას ამბობს იესო იოანეს მოწმეობაზე? (მუხლ 33)

8. მოდით ვნახოთ რას ამოწმებდა იოანე იესოზე. გადაშალეთ და წაიკითხეთ იოანე 1:29-34. რას უწოდებს იოანე იესოს 29-ე მუხლში?

   იესო იოანეს შემდეგ დაიბადა. რას ამბობს იოანე 30-ე მუხლში?

9. წაიკითხეთ 32-34 მუხლები. რა უთხრა უფალმა იოანეს იესოზე? (მუხლ 33) საბოლოოდ რას ამბობს და ამოწმებს იოანე იესოზე? (მუხლ 34)

10. ამ ორი საკითხავის შესწავლის შემდეგ, რას იტყვი, ვინ არის იესო? თუ გულწრფელად ეძებ პასუხს იესოს პირონებაზე, მაშინ გაუმხილე ეს ღმერთს ლოცვაში. სთხოვე რომ დაგეხმაროს ჭეშმარიტების გაგებაში.

    მომდევნო შეხვედრაზე გავაგრძელებთ იოანეს მე-15 თავის შესწავლას, სადაც ვისაუბრებთ იმაზე თუ ვინ დაამოწმა კიდევ იესოზე.

12.პატივი მიაგე ძეს ისევე როგორც მამას

რას ამბობს იესო საკუთარ თავზე
რას ამბობენ მასზე სხვები? (ნაწილი 2)

დისკუსიის დაწყება:

წინა შეხვედრაზე ჩვენ შევისწავლეთ იოანეს 5:1-35 და იოანე 1:29-34. გადაიკითხეთ ეს ადგილები ხელახლა. მე-5 თავში რას ეუბნება იესო ხალხს თავის თავზე, თუ ვინ არის ის? იოანეს 1 თავში რას ამბობს იოანე ნათლისმცემელი იესოს შესახებ?

წაიკითხეთ იოანე 5:36-47

1. 36-40 მუხლებში იესო საუბრობს სამ მოწმობაზე. 36-3 მუხლის თანახმად, რა ამოწმებს იესოს შესახებ, რომელიც იოანეზე აღმატებულია?

2. ჩამოთვალეთ იესოს მიერ მოხდენილი სასწაულები, რომელიც ბიბლიაში წაიკითხეთ. ეს სასწაულები როგორ ამოწმებენ იმაზე, რომ ის ნამდვილად უფლის ძეა? დაფიქრდი: ხალხს შეეძლო ეთქვა, რომ იოანე უმეცარი ან გიჟი იყო და ამიტომ თქვა, რომ იესო უფლის ძეა, მაგრამ ისინი როგორ შეძლებდნენ იმ საოცარი სასწაულების უარყოფას, რომელიც ნათელი იყო, რომ უფლისგან მოდიოდა?

3. კიდევ რა მოწმობს იესოზე? (იხ. 37 და 39 მუხლები და მათე 3:16-17).

შენიშვნა: ძველი აღთქმის ბევრი ისტორია და წინასწარმეტყველება მიანიშნებდა იესოზე. სწორედ ამიტომ ახალი აღთქმის ავტორებს ხშირად ციტატა მოაქვთ ძველი აღთქმიდან „როგორც ... წინასწარმეტყველი ამბობდა..“, იესო ამბობს, რომ ის ამ წინასწარმეტყველების აღსასრულებლად არის მოსული. ებრაელები ამბობდნენ, რომ მათ წერილს სჯერდათ, მაგრამ რას უარყოფდნენ? (მუხლი 40)

4. წაიკითხეთ 41-47 მუხლები. რა აბრკოლებდათ ებრაელებს, რომ იესოსი ერწმუნათ? (მუხლ 42&44)

   რა არის შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი - ხალხისგან იღებდე დიდებას თუ ღმერთისგან?

5. გადახედე იმ ადგილებს, რომელიც მოწმობენ იესოს შესახებ:

   - იესოს მოწმობა საკუთარ თავზე (იოანე 5:17, 19-23)
   - იოანე ნათლისმცემლის მოწმობა (იოანე 1:29 & 34)
   - იესოს მიერ მოხდენილი სასწაულები (იოანე 5:36)
   - მამა ღმერთი (იოაე 5:37 და მათე 3:16-17)
   - წმინდა წერილი: ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები (იოანე 5:39)

   ეს გაკვეთილი რამდენად დაგეხმარა უკეთ გაგეგო თუ ვინ არის იესო სინამდვილეში?

6. რა გჯერა იესოზე? გჯერა რომ ის უფლის ძეა, რომელიც ამ ქვეყანას მოევლინა რათა თავსი სიცოცხლე გაეღო ჩვენი ცოდვენის მისატევებლად? ილოცე დაგეხმაროს ეჭვების დაძლევაში, უთხარი მას, რომ გსურს შენი ცხოვრებით ისეთივე პატივი მიაგო ძეს, როგორც მამას.

   ქვემოთ ნახავთ იმ მუხლების ჩამონათვალს სადაც იესო საკუთარ თავზე საუბრობს. განმარტოებისას ან ჯგუფთან ერთდ წაიკითხე და იფიქრე ამ მუხებზე , რას ამბობენ ისინი მესიაზე და გახსოვდეს, რომ მას სურს რომ ვირწმუნოთ მისი. ეს არ არის ის რწმენა რომელსაც მხოლოდ გონება სჭირდება, არამედ ეს არის ისეთი რწმენა, როცა ჩვენს ცხოვრებას სრულიად ვანდობთ მას, ჩვენს მხსნელსა და უფალს. კარგი იქნება თუ დაიზეპირებთ რამოდენიმე მათგანს.

   იოანე 10:37-38, იოანე 7:37-39; იოანე 8:48:59; იოანე 14:6-10; იოანე 6:48-51

   იოანე 8:12; იოანე 11:25-26

მე წყლით გნათლავთ მოსანანიებლად; ჩემ შემდეგ მომავალი კი ჩემზე ძლიერია, ვისი სანდლის ტარების ღირსიც არა ვარ! ის მოგნათლავთ თქვენ სულიწმიდითა და ცეცხლით". მათე 3:11

წყლით და სულიწმინდით ნათლობა

„ხოლო პეტრემ უთხრა მათ: "მოინანიეთ და ყოველი თქვენგანი მოინათლოს იესო ქრისტეს სახელით ცოდვების მისატევებლად, და მიიღებთ სულიწმიდის ნიჭს.“ საქმეები 2:38

მსოფლიოში ყოველ წელს მილიონობით ქრისტეს მორწმუნე ინათლება. იესომ მცნებად დაგვიდო, რომ ყველა მორწმუნე უნდა მოინათლოს წყლით.

მაგრამ რატომ? რას ნიშნავს წყლით ნათლობა?

ამ ნაწილში ჩვენ შევეხებით წყლით ნათლობასა და სულიწმინდით ნათლობას. ყველა მორწმუნეს უნდა ესმოდეს რა ხდება, როცა იესოს ირწმუნებენ.

ახალი აღთქმა მორწმუნეებს ასწავლის ყველაფერს, რათა უცოდინარნი არ დარჩნენ. იესოს სურს გავიგოთ ახალი სიცოცხლის ძალა, რომელშიც ის შეგვიძღვება. შეუძლებელია არ შეიცვალო!

13.მოინათლე წყლით და მიიღე ახალი სიცოცხლე

ნაწილი 1: იოანეს მიერ სინანულის ნათლისცემა

დისკუსიის დაწყება:

იესომ ნათლობა მცნებად დაუტოვა თავის მიმდევრებს. როდისმე გინახავს ნათლობა? რას ფიქრობ?

შესავალი: ნათლობა ეკლესის ცხოვრების ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია. ამ გზით ახალი მორწმუნე ამოწმებს, რომ ის ტოვებს ძველ ცოდვილ ცხოვრებას და იწყებს ახალ ცხოვრებას ქრისტესთან ერთად. ახალი აღთქმა პირველად მაშინ საუბროს ნათლობაზე, როცა იოანე ნათლისმცემელი იმათ ნათლავდა, ვინც მოინანია და ზურგი აქცია ცოდვას. იესოს სიკვდილის და ამაღლების შემდეგ, ვინც ირწმუნა მისი სახელი, მოინათლა მამის, ძის და სულიწმინდის სახელით. პირველ ნაწილში ჩვენ ვისაუბრებთ იოანეს ნათლობაზე. მეორე ნაწილში კი ვისაუბრებთ ნათლობაზე, როგორც იესოს მცნებაზე და მოციქულ პავლეს მითითებებზე. ორივე კი დაგვეხმარება გავიგოთ ნათლობის სიმბოლიზმი და მისი სულიერი მნიშვნელობა.

წაიკითხეთ **ლუკა 3:1-20**

1. მე-4 მუხლში წერია, რომ იოანე ნათლისმცემელმა მოამზადა გზა იესოსთვის. როგორ? (მუხლ 3). 'სინანულით ნათლისცემა ცოდვათა მისატევებლად' რას ნიშნავს შენთვის?

2. **მარკოზი** 1:4-5 ამბობს, რომ ყველა ვინც იოანესთან მიდიოდა, ინათლებოდნენ და აღიარებდნენ საკუთარ ცოდვებს. ბევრ ადამიანს ადამის და ევას მსგავსად, ურჩევნია დამალოს საკუთარი ცოდვები ვიდრე აღიაროს და მოინანიოს. რატომ არის ცოდვების მონანიება საჭირო, შენი აზრით?

3. იოანე თავის ქადაგებებში პირდაპირი იყო თუ რბილი? რას უწოდებდა იგი ხალხს? (ლუკა 3:7), რა მოევლინებოდა მათ იოანეს სიტყვების მიხედვით? (მუხლ 7)

   ბევრი ადამიანი ელის, რომ უფლის რისხვა გვიახლოვდება?

შენი აზრით, რაზე უნდა მრისხანებდეს უფალი ასე?

4. ისრაელიანები აბრაამის შთამომავალნი იყვნენ და ამით ძალიან ამაყობდნენ. მათი აზრით ებრაელად ყოფნა უკვე ამართლებდა მათ უფლის თვალში. რას ეუბნება ამაზე იოანე? (მუხლ 8). იოანეს თუ დავუჯერებთ, მათი ეროვნება იყო თუ არა უკვე იმის გარანტი, რომ უფლისთვის განსაკუთრებულები იყვნენ?

   ჩვენი ეროვნება ან რელიგია გვამართლებს უფლის თვალში? ახსენი

5. იოანე საუბრობს ხეზე, რომელსაც სასურველი ნაყოფი არ გამოაქვს. რა ელის ასეთ ხეს? (მუხლ 9)

6. 10-14 მუხლებში, რა დარიგებას აძლევს იოანე მათ, ვისაც აინტერესებს თუ როგორ გამოიღოს კეთილი ნაყოფი? როგორი იქნებოდა ჩვენი საზოგადოება თუ მოსახლეობა ისეთ კეთილ ნაყოფს გამოიღებდა, რომელზეც იოანე საუბრობს ამ მუხლებში?

7. წაიკითხეთ მე15 მუხლი. ხალხი ფიქრობდა, რომ შესაძლოა სწორედ იოანე ყოფილიყო მესია. მესია ის მხსნელი იყო, რომელსაც ებრაელი ხალხი ასე ელოდა. წინასწარმეტყველების დახმარებით უფალი პირდებოდა ხალხს, რომ მათ მოუვლენდა მხსნელს და მესიას.

   ხელახლა წაიკითხეთ მე-16 მუხლი. იოანე ამბობს, რომ მასზე ძლიერი მოვიდოდა და ის სხვანაირი ნათლობით მონათლავდა. ვისზე საუბრობდა? რა სახის ნათლობით მონათლავდა იგი ხალხს? იცით ვის გულისხმობდა იოანე? (მომდევნო გაკვეთილში, უფრო ღრმად ვისაუბრებთ სულიწმიდით ნათლობაზე).

8. წაიკითხეთ 17-18 მუხლები. რას გულისხმობს იოანე ‘ხორბალში’? რა იგულისხმება ‘ბზაში’? როგორ წარმოდგენას იძლევა სამსჯავროზე მე-17 მუხლი?

   რა ჭრილში იგულისხმება იოანეს სწავლება „ხარებად“ მე-18 მუხლში?

9. მოდით კვლავ დავუბრუნდეთ მარკოზის 1:4-5. უამრავი ხალხი მიდიოდა იოანეს მოსასმენად და ბევრიც მოინათლა. ეს ნათლობა იყო ხილული ნიშანი იმისა, რომ

ისინი ინანიებდნენ და სწამდათ, რომ უფალი მათ პატიობდა, ეს იყო მათთვის ახალი ცხოვრების დასაწყისი.

თუმცა იოანეს ნათლობა მხოლოდ და მხოლოდ დასაწყისი იყო. ზუსტად იგივე დროს იესო შეუდგა თავის სამწლიან მსახურებას, რომელიც მისი სიკვდილით, აღდგომით და ცათა სასუფეველში დაბრუნებით დასრულდა, რომელიც გახდა ჩვენი იმ რწმენის ნიშანი, რომ იესოა ჩვენი ცოდვებისთვის შეწირული მსხვერპლი. ამ განყოფილების მეორე ნაწილში უფრო ჩავუღრმავდებით მას.

მონათლულხარ? თუ არა, ხარ თუ არა მზად გადადგა იესოს ნდობისკენ ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი? ჩვენს მომდევნო შეხვედრამდე ილოცე ამ საკითხზე.

14.მოინათლე წყლით და მიიღე ახალი სიცოცხლე

ნაწილი 2: იესოს სახელით ნათლობა

დისკუსიის დაწყება:

წინა შეხვედრიდან რა გახსოვს იოანე ნათლისმცემელზე? როგორ მოამზადა მან გზა მესიისთვის?

ამ გაკვეთილში ჩვენ ვისაუბრებთ იმაზე თუ რატომ უნდა მოვინათლოთ და რას ნიშნავს ეს.

რატომ უნდა მოვინათლო?

მან ვინც ირწმუნა იესო ქრისტეს სახელი, უნდა მოინათლოს რადგან ეს მცნება დაგვიტოვა იესომ.

წაიკითხეთ მათე 28:18:20

1. ამაღლებამდე აი ეს უთხრა იესომ თავის მოწაფეებს.

   წაიკითხეთ 19-20 მუხლები. რის შესრულება დაავალა იესომ მოწაფეებს? დამოწაფების შემდეგ რა უნდა გაეკეთებინათ? (წაიკითხე ჯერ 19 და მერე მე-20 მუხლები)

   ვისი სახელით უნდა მოენათლათ დამოწაფების შემდეგ?

წაიკითხეთ საქმეთა 2:37-41

2. ორმაცდამეათე დღის ფესტივალზე, რომელიც ებრაელებისთვის მნიშვნელოვანი დღესასწაული იყო (ლევ 23:16), პეტრე იესოზე ელაპარაკებოდა ხალხს. რას ასწავლის მათ პეტრე, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ისინი? (მუხლ 38) რამდენი ადამიანი შეემატა იმ დღეს ეკლესიას?

   ბევრი ფიქრობს, რომ ისინი ჯერ რწმენაში უნდა გაძლიერდნენ ვიდრე მოინათლებიან. საქმეების ამ მუხლების მიხედვით, რამდენხანში მოინათლა ხალხი?

ნათლობა არ არის იმის ნიშანი, რომ ჩვენ რწმენაში გავიზარდეთ ან რომ სრულყოფილნი ვართ და ამის შემდეგ არასდროს შევცოდავთ. არამედ ეს არის ნიშანი იმისა, რომ ჩვენ ახალ ცხოვრებას შევუდექით ახლა. ჩვენ მოწმეების წინაშე ვამბობთ, რომ „დღეს გადავწყვიტე რომ საკუთარი თავისთვის აღარ ვიცხოვრო. მე მწამს, რომ იესომ მაპატია ჩემი ცოდვები. ის არის ჩემი უფალი და მხსნელი. ამ დღიდან მოყოლებული მე თაყვანს ვცემ და ვემორჩილები მას.“ ნათლობა არის გარეგანი ნიშანი იმისა, რომ ჩვენ იესოს სახელით ღმერთთან ახალი ურთიერთობების აშენება დავიწყეთ.

რას ნიშნავს ნათლობა?

წაიკითხეთ რომაელთა 6:1-14

3. პავლე მორწმუნე რომაელებს მიმართავს. მას სურს, რომ მათ ესმოდეთ რა ხდება ნათლობით.

   ყურადღებით წაიკითხე 3-4 მუხლები. რა კავშირი აქვს ჩვენს ნათლობასთან იესოს სიკვდილს და აღდგომას?

4. ნათლობის დროს წყალში ჩასვლა რა სიმბოლოს ატარებს? რომელი სიმბოლოს მატარებელია წყლიდან ამოსვლა?

   ნათლობა არის ხილული მაგალითი იმისა რაც ხდება ჩვენს სულში, სადაც უფლის სული მუშაობს.

5. წაიკითხეთ 5-7 მუხლები. რა არის ის ორი რამ, რითაც ვერთიანებით ქრისტესთან ნათლობით? (მუხლი 5)

6. მე-6 მუხლის მიხედვით რა ეცვა ჯვარს ქრისტესთან ერთად? ეს როგორ გვათავისუფლებს ჩვენ ახალი ცხოვრების დაწყებისთვის?

7. წაიკითხეთ 8-11 მუხლები. რას ახარებს პავლე მათ, ვისაც სურს ცოდვისგან განთავისუფლება? რას ნიშნავს რომ ჩვენ ვართ „ღვთისათვის ცოცხლები ქრისტე იესოში?

8. ეს იმას ნიშნავს, რომ ვინაიდან უკვე მოვინათლეთ და ქრისტეში ვართ, უკვე აღარასდროს ვცდუნდებით? წაიკითხეთ 11-14 მუხლები.

ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ აქ ლაპარაკი არ არის იმაზე, რომ ცოდვა აღარ მოგვეკარება. ჩვენ **ყოველდღიურად** უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება, რომ გავყვეთ უფალს და არა ცოდვას. ამ გზით ცოდვის ძალა მცირდება და სულიწმინდა გვეხმარება. (თუ გსურთ, რომ უფრო მეტი გაიგოთ ამის შესახებ, მაშინ მთლიანად წაიკითხეთ რომაელთა მე-6, მე-7 და მე-8 თავები)

წაიკითხე ეფესელთა 4:4-6

9. როგორ გვაერთიანებს ნათლობა იესო ქრისტეს ყველა მიმდევართან მთელი მსოფლიოს მაშტაბით?

   დღევანდელ დღესაც, მსოფლიოში ახალი მორწმუნეები თავისი რწმენის და ქრისტეს მიმართ მორჩილების გამოსახატად ინათლებიან. ამით ისინი ამბობენ, რომ მთლიანად ენდობიან იესოს მიერ ცოდვათა პატიებისთვის გაღებულ მსხვერპლს და მზად არიან შეუერთდნენ ქრისტეს მიმდევრების ერთობას.

10. უკვე მოინათლე იესოს მცნების თანახმად? ამ გაკვეთილიდან გამომდინარე, იცი რომ ნათლობა ქრისტესთან ერთად ახალი ცხოვრების დაწყების ნიშანია? ეს არის ისეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც მთელი ცხოვრება გემახსოვრება, რადგან ამ დღეს შენ საჯაროდ აცხადებ, რომ შენ ამ დღიდან ეკუთვნი ქრისტეს.

    თუ ჯერ არ მონათლულხარ, ესაუბრე რომელიმე ლიდერს ანდა ზრდასრულ მორწმუნეს, რომელიც შეძლებს შენს კითხვებზე პასუხის გაცემას და ჩაინიშნე ნათლობის დღე. ილოცე რომ უფალმა მოამზადოს შენი გული ნათლობისთვის.

დამატებითი შესწავლისთვის

საქმეების წიგნში ვკითხულობთ, რომ იესოს მოწაფეები ნათლავდნენ ყველას, ვინ ირწმუნებდა იესოს სახელს. შეგიძლიათ წაიკითხოთ ეს ადგილები მოგვიანებით ან ცალკე:

მოციქულთა საქმეები 8:12,

მოციქულთა საქმეები 8: 26-38;

მოციქულთა საქმეები 9:17-19;

მოციქულთა საქმეები 10:44-48;

მოციქულთა საქმეები 16:14-15,

მოციქულთა საქმეები 16:22-34;

მოციქულთა საქმეები 18:7-8;

მოციქულთა საქმეები 19:4-7

15.სულიწმინდით ავსება

ნაწილი 1: უფლის დიდებაში სიარული

დისკუსიის დაწყება

ბევრი ფიქრობს, რომ ღმერთი ძალიან შორს არის ადამიანისგან. შენი აზრით, სანამ იესო ქრისტეს ირწმუნებდით, ღმერთი შორს იყო შენგან თუ ახლოს? გაგვიზიარე იმ დროს ღმერთზე შენი შეხედულებები.

ისტორია, რომელზეც დღეს ვისაუბრებთ, მოხდა იესოს ამაღლების შემდეგ. ერთად წაიკითხეთ ეს ისტორია, რომელიც აღწერილია საქმეების წიგნში.

წაიკითხეთ საქმეების 1:1-14 და მე-2 თავი მთლიანად

1. აღდგომის შემდეგ რამდენი ხანი ეჩვენებოდა იესო თავის მოწაფეებს? (მუხლ 3)

   და რაზე ესაუბრებოდა იესო ამ ხნის განმავლობაში?

2. რას უნდა დალოდებოდნენ მოციქულები იერუსალიმში? (მუხლ 4-5)

   შენი აზრით, რატომ აძლევს უფალი ასეთ ძვირფას საჩუქარს მის მორწმუნეებს?

3. როცა სულიწმინდა მოვა, რას მიიღებენ მოციქულები? (მუხლ 8)

   იესო მათ ეუბნება, რომ ისინი დაამოწმებენ მის შესახებ. სად წავლენ ისინი იესოს დასამოწმებლად? (მუხლ 8)

4. სულიწმინდა სანამ მოვიდოდა, რას აკეთებდნენ მოწაფეები? (მუხლ 14)

მოციქულთა საქმეები 2

5. სულიწმინდის მოსვლისას რა ესმათ მოწაფეებს? (მუხლ 2) და რა ეჩვენათ? (მუხლი 3). გახსენებთ ეს თუ არა იოანე ნათლისმცემელის ნათქვამს სულიწმინდით ნათლობაზე? (ლუკა 3:15-16)

6. რა დღეს მოხდა ეს მოვლენა? (მუხლ 1) ვინ მოიყარა თავი ამ დღეს იერუსალიმში? (მუხლ 5).

ორმოცდამეათე დღე იყო ებრაელთა დღესასწაული. იერუსალიმში თავს იყრიდნენ ებრაელები მსოფლიოს მრავალი კუთხიდან რათა ეზეიმათ და მსხვერპლი შეეწირათ უფლისთვის.

7. რომელ „უცხო“ ენებზე ალაპარაკდნენ მოწაფეები? (მუხლ 6-11) და რაზე საუბრობდნენ ისინი? (მუხლ 11)

   რა გრძნობა დაგეუფლებოდა თუ მაგალითად სხვა ქვეყანაში ყოფნისას მოისმენდი აფრიკელები როგორ სცემენ თაყვანს და განადიდებენ ღმერთს ქართულად?

   ხალხმა სერიოზულად მიიღო ის რაც ხდებოდა? (მუხლ 13)

8. რა უთხრა მათ პეტრემ, ვინც არ ირწმუნა? (მუხლ 14-16)

9. წაიკითხე 17-18 მუხლები. იოელ წინასწარმეტყველი იესომდე ასობით წლების უკან ცხოვრობდა.

   როცა სულიწმინდა მოდის, უფლისგან ზებუნებრივი საჩუქარი გვეძლევა და ბევრი დაფარული რამ ნათელი ხდება. შენი აზრით, რატომ სურს ღმერთს, რომ მისი სულით სავსე ადამიანებს ჰქონდეთ ხილვები, გამოცხადებები და შეეძლოთ წინასწარმეტყველება?

10. პეტრე ცდილობს ხალხს აუხსნას ყველაფერი იესოზე. 22-24 ში რას ეუბნება მათ იესოზე?

    წაიკითხეთ 32-22 მუხლები. პეტრე საუბრობს, რომ რაც მოხდა, სულიწმინდის ძალით მოხდა. ვისი ხელმწიფებით გადმოდის სულიწმინდა ადამიანზე? (მუხლი 33)

11. რას ამბობს პეტრე, რა დონეზე აამაღლა ღმერთმა იესო? (მუხლი 36)

    წაიკითხეთ მუხლი 37. წარმოიდგინეთ რა შოკი ექნებოდათ ებრაელებს, როცა გაიგებდნენ, რომ მათ მესია აცვეს ჯვარს. შენ რომ მათ შორის ყოფილიყავი, რას იგრძნობდი?

პეტრე იმედს აძლევს ხალხს 38-ე მუხლში. რა უნდა მოიმოქმედოს ხალხმა? (მუხლ 38)

კიდევ ვის შეუძლია სულიწმინდის მიღება? (მუხლ 39)

ფიქრობ, რომ ეს აღთქმა ყველა მორწმუნეზე ვრცელდება დღესაც?

ახსენი, იესო ქრისტეს მიმდევრებისთვის რატომ არის საჭირო 38-ე მუხლში დაწერილი აღთქმის დაჯერება.

12. რა შედეგი მოჰყვა სულთმოფენობას ორმოცდამეათე დღეს? (მუხლ 40-41)

წარმოიდგინე: იესოს გაცემის დღეს პეტრე სავსე იყო შიშით და სამჯერ უარყო, რომ მას იცნობდა. აღდგომის შემდეგ იესომ მადლი და სიკეთე გამოიჩინა მის მიმართ. მან იგი მის მსახურად დააყენა.
ახლა, იესოს ცად ამაღლების შემდეგ, პეტრე სულიწმინდით მოინათლა და იგი ღიად და გაბედულად ამოწმედა იესოზე იერუსალიმის ქუჩებში. არ ფიქრობ, რომ სულიწმინდამ იგი აავსო ძალით და გაბედულებით, რათა დაემოწმებინა იესოს შესახებ?

13. წარმოიდგინეთ რა მოხდებოდა იმ საზოგადოებაში სადაც 3000 ადამიანი გულწრფელად მოინანიებდა ცოდვებს, ერწმუნებოდა მხსნელს და აივსებოდა სულიწმინდით. ფიქრობ, რომ დიდი ცვლილებები მოხდებოდა ოჯახებში, სკოლებში და ბიზნეს სამყაროში?

   დღესაც, როცა ადამიანები ზურგს აქცევენ ცოდვას და უფლის სიწმინდით ივსებიან, როგორ შეიძლება ამან შეცვალოს მათი ურთიერთობები ადამიანების მიმართ?

   ფიქრობ, რომ შენ და ყველა მორწმუნეს სჭირდება, რომ ყოველდღიურად ივსებოდეს სულიწმინდით? ილოცებ ამაზე.

   მადლობა გადაუხადე უფალს იმ საჩუქრისთვის, რომელიც უფალმა აჩუქა და აავსო ყველა მორწმუნე, მისი სულიწმინდისთვის. მოიწვიე იგი შენს ცხოვრებაში. სთხოვე

მას, რომ ყოველდღურად განაახლოს შენი ურთიერთობა იესოსთან. თუ არასდროს გიქცევია ზურგი შენი ცოდვებისთვის და არ გირწმუნია იესოსი, როგორც შენი მხსნელის და უფლის, იქნებ ახლაა ის მომენტი, როცა უკვე უნდა გადადგა ეს ნაბიჯი?

16.სულიწმინდით ავსება

ნაწილი 2: დაეწაფე ცოცხალი წყლის მდინარეებს

შესავალი: ახალი აღთქმა გვასწავლის, რომ ის ვინც ირწმუნებს იესო ქრისტეს, იგი სულიწმინდის დახმარებით ახლიდან იშვება ახალ ცხოვრებაში. ბოლო შეხვედრაზე ვისაუბრეთ უფლის იმ აღთქმაზე, რომ უფალი აგვავსებდა სულიწმინდას. ამ გაკვეთილში ვისაუბრებთ ჩვენს პასუხისმგებლობაზე, რომ განუწყვეტლივ ვივსებოდეთ სულიწმინდით.

დისკუსიის დასაწყისი:

ხშირად მოგრიდებიათ მეგობრისთვის, რამე სერიოზული რამ გეთხოვათ? რატომ გვეშინია დახმარების თხოვნა?

წაიკითხეთ ლუკა 11:5-13

1. დღის რა მონაკვეთში მიდის ეს პიროვნება მეგობართან დახმარების სათხოვად? (მუხლი 5). ამ დროს ვინმეს კარზე მისვლა ნორმალურია?
2. რას სთხოვს მეგობარს? (მუხლ 5), რისთვის ითხოვს? (მუხლ 6)
3. იესო ამბობს, რომ მან პური მეგობრობის გამო კი არ მისცა, არამედ... რატომ? (მუხლ 8)
4. რისი თქმა უნდოდა იესოს ამ იგავით? (მუხლ 9) რას გულისხმობს იესო, როცა ამბობს: ითხოვეთ, ეძებეთ და დააკაკუნეთ?

რა ხდება, როცა ადამიანი ითხოვს, ეძებს ან აკაკუნებს? (მუხლ 10) რატომ გვეშინია რამე ვთხოვოთ ჩვენს ზეციერ მამას?

როდისმე გაბედულად თუ გითხოვია უფლისთვის პრობლემების დროს დახმარება?

5. რა სახის საჩუქრებს გვთავაზობს ჩვენი მშობელი მამა ამ ქვეყანაზე? (მუხლ 11-12) როგორ აღწერს იესო ჩვენი მამების ბუნებას? (მუხლ 13)

მე13 მუხლი კიდევ წაიკითხეთ ნელა. რატომ სურს იესოს რომ ვიცოდეთ, რომ ღმერთი ზრუნავს ჩვენზე უფრო მეტად ვიდრე ამქვეყნად ჩვენთვის ყველაზე საუკეთესო მშობელი მამა?

6. რა სიკეთეს გასცემს მამა ღმერთი თავისი შვილებისთვის? (მუხლ 13)

არის თუ არა სულიწმინდა შენთვის ფასდაუდებელი საჩუქარი? რატომ?

ახლა ერთად წაიკითხეთ იოანე 4:4-15

7. ჭასთან იესომ ქალს წყალი სთხოვა. ხელახლა ჩახედეთ მე-10 მუხლს. ქალს რომ სცოდნოდა ვინ იყო იესო, როგორ მოიქცეოდა?

8. იესოს მიერ მიცემული წყალი რად გადაიქცევა ადამიანში? (მუხლი 14) რატომ ჩერდება ადამიანი წყაროსთან წყლის დასალევად? როგორ გავს გრილი წყაროს წყალი სულიწმინდას?

წაიკითხეთ იოანე 7:37-39

9. იესო ისევ იყენებს ამ მაგალითს. 39-ე მუხლი გარკვევით ამბობს იმას, თუ რას გულისხმობს იესო. და რა არის ეს?

   თუ ადამიანს სწყურია, როგორ იქცევა იგი? (მუხლ 37)

   გწყურია იესოსთან ერთად ყოველდღე სიარული? გსურს იპოვო მუდმივი იმედის, სიხარულის წყარო? შესაძლოა ჯგუფიდან ვინმეს სურს გაგვიზიაროს თავისი სურვილი?

წაიკითხეთ ეფესელთა 5:15-20

10. წაიკითხეთ მე-18 მუხლი. რა მიზნით შეიძლება ადამიანი დათვრეს? რატომ სურს უფალს, რომ ჩვენ სულიწმინდით ვიყოთ სავსე და არა ალკოჰოლით ან ნარკოტიკით მაგალითად იმისთვის, რომ ბედნიერები ვიყოთ?

11. პავლე მორწმუნეებს ელაპარაკება, რომლებიც უკვე მოინათლნენ სულიწმინდით, თუმცაღა მათ ეუბნება, რომ „აღივსენით სულიწმინდით“ (მუხლ 18). შესაძლებელია, რომ ქრისტეს მორწმუნეებმა ისე ვიცხოვროთ, რომ ჩვენი ცხოვრება არ იყოს სავსე და ჩვენგან არ მოედინებოდეს სიცოცხლის მდინარეები? როგორ ვიცხოვროთ ისე, რომ ჩვენი ცხოვრება მუდამ ივსებოდეს სულიწმინდით?

12. 19-20 მუხლები საუბრობს გალობაზე, თაყვანისცემასა და მადლიერებით სავსე გულზე. თაყვანისცემა და უფლის მიმართ მადლიერება როგორ გვეხმარება, რომ მუდამ სავსე ვიყოთ სულიწმინდით?

ჯგუფმა ერთად ილოცეთ, რომ მუდამ სავსე იყოს თქვენი ცხოვრება სულიწმინდით.

17.სულიწმინდა, როგორც დამხმარე

დისკუსიის დასაწყისი:

ოდესმე თუ გაგჩენია სურვილი, რომ იესოს დროს გეცხოვრა, გენახა და პირისპირ გესაუბრა მასთან? როგორ წარმოგიდგენია ეს ყველაფერი?

წაიკითხეთ იოანე 14:15-18

1. თუ გვეყვარება და დავიცავთ იესოს მცნებებს, რას გააკეთებს ჩვენთვის? (მუხლ 16)

   რომელი ორი სახელით მოიხსენიება სულიწმინდა? სულიწმინდის ეს ორი სახელი რას ამბობს, რას გააკეთებს ის ჩვენთვის?

2. რატომ არ შეუძლია წუთისოფელს სულიწმინდის მიღება? რითი განსხვავდებოდნენ მოწაფეები სხვებისგან?

   იესო ამბობს, რომ სულიწმინდა უკვე მათთანაა ეხლა (ვიდრე ჯვარს გააკრავდნენ და აღდგებოდა). რა შეიცვლებოდა მისი ამაღლების შემდეგ? (მუხლ 17)

3. წაიკითხეთ მე-18 მუხლი. როგორ გამხნევებთ და გაძლიერებთ ეს მუხლი თქვენ?

წაიკითხეთ იოანე 14:25-26

4. 26-ე მუხლი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იმაზე თუ როგორ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი მამა, ძე და სულიწმინდა. ვინ აგზავნის სულიწმინდას, ვისი სახელით აგზავნის მას? რას აკეთებს სულიწმინდა ამ მუხლის მიხედვით?

   არასდროს გაგჩენიათ კითხვა, როგორ დაიმახსოვრეს ამდენი რამ იესოს მოწაფეებმა? როგორ დაეხმარა მათ სულიწმინდა? (მუხლი 26)

   გჯერა რომ სულიწმინდა შენც დაგეხმარება რათა უკეთ გაიგო და ჩასწვდე უფლის ჭეშმარიტებას?

წაიკითხეთ იოანე 16:5-15

5. წაიკითხეთ 5-7 მუხლები. რატომ დამწუხრდნენ მოწაფეები?

   რატომ ამბობს იესო, რომ მათთვის აჯობებს თუ ის წავა? (მუხლ 7)

6. წაიკითხეთ 8-11 მუხლები, რა არის ის სამი რამე რომელსაც სულიწმინდა ამხელს თავისი მოსვლისას?

იფიქრეთ იმაზე, თუ რატომ ჯობია სულიწმინდა იყოს ჩვენთან ვიდრე იესო თავის ხორციელ სხეულში. იესო ლიმიტირებული იყო ადგილსა და დროში. როგორ შეადარებდით ამას სულიწმინდასთან?

7. მე-12 მუხლის მიხედვით, რატომ არ ეუბნება იესო ყველაფერს თავის მოწაფეებს, რისი თქმაც უნდა?

8. ჩახედეთ მე-13 მუხლს. როგორ გაიგებდნენ ისინი ჭეშმარიტებაზე იესოს წასვლის შემდეგ? როგორ დაიცავს ეს მათ სიცრუის სულისგან?

   კიდევ რას მოიმოქმედებს სულიწმინდა (ჭეშმარიტების სული)? (მუხლ 13-14)

9. შეამჩნიეთ, რომ მამა ღმერთი, ძე და სულიწმინდა, ისევ ერთად არის ნახსენები 14-15 მუხლებში? ისაუბრეთ თუ როგორ თანამშრომლობენ ისინი ერთმანეთთან?

   როგორ არის სული დამოკიდებული მამასა და ძეზე? როგორ განადიდებს იგი მათ? მამა როგორ განადიდებს ძეს? (მუხლ 15), როგორ ვხდებით ჩვენ ამ ერთობის ნაწილი? (მუხლ 14-15)

   ფიქრობ რომ უფალი ელის, რომ ჩვენც ასეთივე ურთიერთობები გვქონდეს სხვებთან? შესაძლებელია რომ ჩვენი ურთიერთობები გაუმჯობესდება თუ ყოველდღე დამოკიდებული ვიქნებით სულიწმინდაზე?

   გადაუხადე მადლობა ღმერთს სულიწმინდისთვის, რომელიც უფასოდ მოგვეცა მის მორწმუნეებს. იფიქრეთ იმაზე თუ რას ნიშნავს, როცა უფლის სული ცხოვრობს ჩვენში! ყოველდღე ვთხოვთ მას რომ იყოს ჩვენი წინამძღოლი, დამხმარე, ნუგეშისმცემელი და ჩვენი ცხოვრების წყარო? თუ არა, მაშინ დაიწყე დღევანდელი დღიდან.

„ჩვენ გვიყვარს იმიტომ, რომ
პირველად მან შეგვიყვარა.თუ
ვინმე ამბობს, ღმერთი მიყვარსო,
თავისი ძმა კი ეჯავრება, იგი ცრუა;
ვინაიდან, ვისაც არ უყვარს თავისი
ძმა, რომელსაც ხედავს, არ შეუძლია
უყვარდეს ღმერთი, რომელსაც ვერ
ხედავს! და ასეთი მცნება გვაქვს
მისგან, რომ ღვთის მოყვარულს
თავისი ძმაც უყვარდეს!“

1 იოანე 4:19-21

სიყვარული

უპასუხა: "გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით და მთელი შენი გონებით. ეს არის პირველი და უდიდესი მცნება. და მეორე, ამის მსგავსი: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი. ამ ორ მცნებაზე ჰკიდია მთელი რჯული და წინასწარმეტყველნი". მათე 22:37-40

ისტორიის დასაწყისში მამაკაცი და დედაკაცი სიყვარულის სიმღერას მღეროდნენ. ხშირად ჩვენ სიყვარულს რომანტიული თვალებით ვუყურებთ, ანდა სიყვარული ისეთი გვგონია, რომელიც გვაქვს ოჯახის წევრების ანდა მეგობრების მიმართ.

იესომ სრულიად სხვა სიყვარული გვასწავლა. პირველ რიგში ღმერთი უნდა იყოს ჩვენი სიყვარულის ცენტრში, რაც იმას ნიშნავს, რომ ღმერთი არის პირველ ადგილზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ არ უნდა გვრცხვენოდეს მისი და უნდა გვიყვარდეს მთელი ჩვენი არსებით: გულით, ძალით და გონებით.

მეორე: იესომ გვასწავლა, რომ გვიყვარდეს მოყვასი როგორც საკუთარი თავი. ჭეშმარიტი სიყვარული ზრუნავს ყველაზე - მტერზეც კი. უფალმა შექმნა ყველა ადამიანი და მას თითეული მათგანი თანაბრად უყვარს. სიყვარული ნიშნავს თავმდაბლად მსახურებას, ხიდების შენებას და არა ნგრევას.

იესომ თქვა, რომ თუ ამ სიყვარულით გვეყვარება ერთმანეთი, მაშნ სამყარო მიხვდება, რომ ჩვენ მისი შვილები ვართ.

მომდევნო გაკვეთილებმა 'სიყვარულზე' შესაძლოა შეცვალოს თქვენი ცხოვრება და თქვენი სამყარო. უფლის სიტყვაზე თუ დავრჩებით, ჩვენი გულები აივსება უფლის სიყვარულით. თქვენ შეიცნობთ ცხოვრების აზრს.

შენიშვნა: მოდევნო გაკვეთილების ცენტრში იქნება იესოს მცნების მეორე ნაწილი, (გიყვარდეს მოყვასი როგორ თავი შენი). მცნების პირველი ნაწილი (გიყვარდეს უფალი მთელი შენი არსებით) ვერ ჩაეტეოდა რამოდენიმე გაკვეთილში. იესოს ყველა მცნება, მისი წმინდა ცხოვრების და სიკვდილის გვასწავლის რას ნიშნავს გიყვარდეს უფალი მთელი შენი გულით, ძალით და გონებით. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ წიგნის თითოეული გაკვეთილი გვაყენებს უფლის სიყვარულისკენ მიმავალ სწორ გზაზე.

18.გიყვარდეს მოყვასი შენი როგორც თავი შენი

იგავი კეთილ სამარიტელზე

დისკუსიის დასაწყისი:

დაფიქრებულხარ, რატომ არის სამყარო ასეთი სასტიკი? რატომ არ ვზრუნავთ ადამიანები ერთმანეთზე ისე როგორც საჭიროა?

წაიკითხეთ ლუკა 10:25-37

1. რჯულის მცოდნემ როგორ შეაჯამა რჯული? (მუხლ 27)
2. იესო დაეთანხმა მის პასუხს? იესოს სიტყვებიდან გამომდინარე, ამ რჯულის დამცველი რას მიიღებს? (მუხლ 28)
3. ტექსტიდან გამომდინარე, რა მიზეზით დაუსვა რჯულის მცოდნემ იესოს შეკითხვა „ვინ არის ჩემი მოყვასი?“ (მუხლ 29)
4. ისტორიის მიხედვით, რა პოზიცია ეკავა იმ ორ ადამიანს, რომლებმაც დაშავებულს გვერდი აუქცია დახმარების გარეშე? (მუხლ 31-32)

ებრაელი მღვდელი (მუხლ 31) და ლევიანნი (მუხლ 32 - სინაგოგებში მღვდლებს ეხმარებოდნენ) ის ხალხი იყო, რომლებმაც რჯული კარგად იცოდნენ. მათ მრავალჯერ ჰქონდათ გადაკითხული მოსეს რჯული, რომელიც ასწავლიდა, რომ საკუთარი თავივით ჰყვარებოდათ მოყვასი. თუმცა მათ უარყვეს რჯული და მომაკვდავი თანამემამულის დახმარებაზე უარი თქვეს. თუმცაღა სამარიტელი, რომელიც ებრაელთა მტრად ითვლებოდა, თანაგრძნობას იჩენს დაშავებული ებრაელის მიმართ.

ამ იგავით იესო ცდილობს გვასწავლოს, რომ გვიყვარდეს ყველა ადამიანი და არა მხოლოდ ოჯახის წევრები, მეგობრები და თანამემამულეები.

5. ვინ იყო ჭეშმარიტი მოყვასი? (მუხლ 36-37) რა მსხვერპლი გაიღო სამარიტელმა (ფინანსები, დრო და ალბათ რეპუტაციაც) მომაკვდავი ებრაელის დასახმარებლად? ისაუბრეთ 34-35 მუხლებზე.

6. რა მითითები მისცა იესომ რულის მცოდნეს იგავის შემდეგ? (მუხლ 36-37)
7. **გადაშალე მათეს მე-5 თავი და წაიკითხე 43-48 მუხლები.** რას გვასწავლის ეს მუხლები ღმერთზე? ვინ არიან **„ზეციერი მამის ძენი?** (მუხლ 44-45)
8. როგორ შეიძლება გამოვიყენოთ ეს მცნება დღევანდელ რეალობაში? ითქვიქრე ყოველდღიურად რა მსხვერპლის გაღება მოგიწევს იმისთვის, რომ უფლისნაირი სიყვარული აჩვენო სხვებს?
   იესო მხოლოდ ქუჩაში სიკვდილამდე ნაცემი ადამიანების დახმარებაზე საუბრობს? კიდევ რა სიტუაციაში შეგვიძლია დახმარების ხელი გავუწოდოთ მოყვასს რათა ვაჩვენოთ უფლის სიყვარული?
9. **წაიკითხე მათე 7:12**. ამ მუხლს ხშირად **„ოქროს წესს“** ეძახიან. კარგი იქნება თუ დაიმახსოვრებთ ამ მუხლს.
   კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ეს მუხლი და ითქვიქრეთ თუ რას გვასწავლის ის. რამდენად შეიცვლებოდა სამყარო თუ ყველა ამ პრინციპით ვიცხოვრებდით? როგორ შეიცვლებოდა ყველაფერი თუ ჩვენ ისევე გვეყვარებოდა მოყვასი, როგორც ამას იესო კეთილი სამარიტელის იგავით გვასწავლის?
   ილოცე საკუთარი თავისთვის და ყველა ქრისტეს მიმდევრისთვის, რომ ჭეშმარიტად მისი ნათელი ვიყოთ ამ სამყაროში უფლისმიერი სიყვარულის გამოვლენის წყალობით.

19.გიყვარდეთ ერთმანეთი და იყავით ერთნი

დისკუსიის დასაწყისი:

იესომ თქვა: **„ახალ მცნებას გაძლევთ, გიყვარდეთ ერთმანეთი! როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, თქვენც ისე გიყვარდეთ ერთმანეთი“ (იოანე 13:34)**

დაფიქრდით ამ ნათქვამზე. როგორ აჩვენებს იესო უდიდესი სიყვარულის მაგალითს, რომელიც აქამდე მათ არასდროს ენახათ?

ისაუბრეთ იმ მაგალითებზე, რომლითაც იესო თავის სიყვარულს უჩვენებს მათ. (იოანე 10:14; იოანე 13:12-15). როგორ გვეხმარება ისინი სხვების მიმართ სიყვარულის გამოვლინებაში?

წაიკითხეთ იოანე 17:20-23

1. იოანეს მე-17 თავში იესო ლოცულობს ჯვარცმამდე ერთი დღით ადრე. 20-23 მუხლებში იგი ლოცულობს ყველასთვის, ვინც მის სახელს ირწმუნებს მომავალში. მათ შორის ჩვენთვისაც! ყველაზე ძალიან რა სურს მას მისი მორწმუნეებისთვის?
2. კიდევ ერთხელ წაიკითხე 21-ე მუხლი. ერთობის რა მაგალითი მოჰყავს იესოს რომელიც სურს რომ იხილოს მის მორწმუნეებს შორის? (იესო იგივე სიტყვებს იმეორებს 22 და 23 მუხლებში)
   ერთობის რა თვისებები გვჭირდება, რომელიც მამა ღმერთს და იესოს შორის არის? (იოანე 5:20; იოანე 8:29, 49-50)
3. 21 და 23 მუხლებში იესო ერთობის აუცილებლობის ორ მნიშვნელოვან მიზეზს ასახელებს. რა არის ეს ორი მიზეზი?
   მორწმუნეთა მსგავსი ერთობა რატომ შეიძლება იყოს იმის მოწმობა, რომ იესო მამა ღმერთმა „წარმოგზავნა“?
4. მოდით ახლა შევხედოთ თავდაბლობის უძვირფასეს მაგალითს, რომელიც მორწმუნეების ერთობას უწყობს ხელს.
   წაიკითხეთ იოანე 3:22-30. იოანეს მოწაფეები მასთან რა შეკითხვით მივიდნენ? (მუხლ 26)

5. რას გულისხმობს იოანე 27-ე მუხლში? დღევანდელ ჩვენს რეალობაში, ჩვენს ცხოვრებასა და მსახურებაში რას ნიშნავს ეს ჩვენთვის?
   უფლის სამეფოს ჭეშმარიტი მსახურება ჩვენგან მოდის თუ უფლისგან უნდა იყოს ბოძებული? ახსენი
6. დაკვირვებით წაიკითხე 28-29 მუხლები. ვინ არის პატარძალი? ვინ არის ნეფე?ვის ეკუთვნის პატარძალი?
   რატომ ამბობს იოანე, რომ ის სავსეა სიხარულით ამჟამად?
7. წაიკითხე 30-ე მუხლი. იოანეს ადარდებს საკუთარი სამეფოს მშენებლობა? მაგ მას სურს, რომ ადამიანები მხოლოდ მას სცემდნენ თაყვანს და მხოლოდ მას მიჰყვებოდნენ? თუ მას სურს უფლის სამეფოს შენება, სადაც ადამიანები განადიდებენ და მიყვებიან იესოს? ისაუბრეთ იმაზე თუ მსგავსი თავდაბლობა როგორ ეხმარება უფლის სამეფოს შენებას?
   ხანდახან რატომ გვშურს, როცა სხვისი მსახურება იზრდება მაშინ, როცა ჩვენ მსახურებაში ამდენი პრობლემებია? იოანეს თავდაბლობის ეს მაგალითი როგორ დაგვეხმარება ერთობის სხვა მორწმუნეებთან ერთობის აშენებაში?
8. **წაიკითხეთ 2 კორინთელთა 12:20**. პავლე როცა ამ წერილს წერდა კორინთელებისთვის, ის გეგმავდა მათ მონახულებას. ის წუხდა, რომ მათ შორის ნახავდა შუღლს და ცილისწამებას. კიდევ რა ცოდვის ნახვის ეშინოდა პავლეს მათ შორის? მსგავსი ჩვევები რამდენად უშლის ხელს ერთობას?
9. დაფიქრდი საკუთარ ცხოვრებაზე. რა წვლილი მიგიძღვის ერთობისთვის ხელის შეშლაში? აღიარე უფლის წინაშე და სთხოვე განწმენდა. სთხოვე რომ აგავსოს სიყვარულით და სხვებთან ერთობის სურვილით.
   ილოცე ჭეშმარიტი სიყვარულისთვის და ერთობისთვის შენს ჯგუფში და ამ დედამიწაზე ქრისტეს სხეულში.

აჰა, რა კარგია და რა საამური, როდესაც ერთად ცხოვრობენ ძმები!

რადგან იქ დაადგინა უფალმა კურთხევა - მარადიული სიცოცხლე!

ფსალმუნი 132: 1,3(ბ)

20.გულით მიუტევეთ ერთმანეთს

დისკუსიის დასაწყისი:

რა რეაქცია აქვთ ადამიანებს შეურაცყოფაზე ან მათ წინაშე ჩადენილ დანაშაულზე? შენ რას ფიქრობ ამაზე?

წაიკითე მათე 18:21-35

1. წაიკითხე 21-22 მუხლები. იესო იმას გულისხმობდა, რომ უნდა დავითვალოთ თუ რამდენჯერ მივუტევეთ? რას გულისხმობს იესო?
2. თუ იმას ვითვლით, თუ რამდენჯერ მივუტევეთ, ეს რას ამბობს ჩვენზე? თუ გულწრფელები ვიქნებით საკუთარ თავთან, ნამდვილად გვინდა რომ ვაპატიოთ? ან ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ვიცით ასე უნდა მოვიქცეთ?
3. მეფის რამდენი ემართა მონას? (მუხლ 24)
4. მეფეს ვალის დასაბრუნებლად სურდა მისი და მისი ოჯახის გაყიდვა. როგორ მოიქცა მონა? (მუხლ 26)
   ფიქრობ, რომ როდესმე შეძლებდა იგი ამ ვალის დაფარვას?
   რა რეაქცია ჰქონდა მეფეს მის თხოვნაზე? (მუხლ 27)
5. როგორ მოიქცა მონა, როცა მას ვალები ეპატია და გაუშვეს? (მუხლ 28)
   რამდენი ემართა მისი თანამონას?
6. როცა მეფემ ამის შესახებ გაიგო, როგორ მოიქცა? (მუხლ 32-34)
   ფიქრობ, რომ მეფე სწორად მოიქცა? რატომ?
7. რას ამბობს იესო ამ იგავის ბოლოს? (მუხლ 35)
   იესო სერიოზულ განცხადებას აკეთებს აქ. ახალი აღთქმის სხვა ისტორიებში იესო იგივე პრინციპებს ასწავლის. **გადაშალე მათე 5:7 და წაიკითხე.** რას გვასწავლის ეს ადგილი?
   ახლა წაიკითხე მათე 6:9-15. იესო თავის მოწაფეებს ასწავლის როგორ ილოცონ. რას ამბობს იესო პატიებაზე აქ?
   რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი უფლისთვის, რომ ჩვენ შეგვეძლოს პატიება?

8. იგავის ცენტრალური ადგილი არის 33-ე მუხლი, წაიკითხეთ ხელახლა. ჩვენ შევძლებთ ჭეშმარიტად პატიებას თუ არ გვჯერა, რომ ღმერთმა ნამდვილად გვაპატია ცოდვები. გჯერა რომ უფალმა იმდენად შეგიყვარა, რომ თავისი მხოლოდშობილი ძე შესწირა ჩვენი ცოდვების გამოსასყიდად?
9. ისევე, როგორც ღმერთი გვპატიებს ცოდვებს ქრისტეს სისხლით, ასევეა როცა მეფე ვალს პატიებს თავის მონას. ჩვენ ვერასდროს გადავიხდით ჩვენი ცოდვების საზღაურს რომელიც სრულიად გვეპატია. მონის მსგავსად ჩვენც თავისუფლები ვართ. ვალის (ცოდვის) ტვირთი მოგვეხსნა.
   უფალმა გვაპატია და მას სურს, რომ ჩვენც მას მივბაძოთ. თუ ის მოწყალეა ჩვენს მიმართ, მოელის თუ არა რომ ჩვენს ასევე მოვექცევით სხვას? (მუხლ 33)
10. თუ გვჯერა ქრისტეს საშუალებით უფლის პატიების და თუ ჩვენც ასევე მოწყალებით მოვექცევით სხვას, მათ შორის ჩვენს მეუღლეს და ოჯახის სხვა წევრებს, რა შეიცვლება ჩვენს ოჯახში და საზოგადოებაში?
    გახსენდება ვინმე, ვისთვისაც არ გიპატიებია? თუ რთულია შენთვის პატიება, გაიხსენე რომ უფალმა უფრო დიდი ვალი გაპატია. უფალს სთხოვე დაგეხმარს იმ ადამიანების პატიებაში, რომლებმაც დააშავეს შენს წინაშე. ლოცვაში უთხარი უფალს რომ პატიობ ამ ადამიანს ახლა. თუ დახმარება გჭირდება, სთხოვე შენს ლიდერს ან მსახურს, რომ ილოცოს შენთან ერთად.

21.გიყვარდეთ ერთმანეთი თავმდაბლური სიყვარულით

დისკუსიის დასაწყისი:

გინახავს მსახური, რომელიც თავმდაბლურ საქმეს აკეთებს, მაგ: იატაკს წმენდს ან ჭურჭელს რეცხავს?

კულტურის მიმოხლვა: იესოს დროს სანდლებით დადიოდნენ და ფეხები მუდამ მტვრიანი და ჭუჭყიანი ჰქონდათ. ოჯახებს, ვისაც მსახურები ჰყავდათ, მონის მოვალეობა იყო სტუმრების ფეხის ბანა, როგორც კი კარის ზღურბლს გადააბიჯებდნენ. როგრც ჩანს პასექის ღამეს მოწაფეებთან ერთად არცერთი მსახური არ იყო. აშკარაა არცერთ მოწაფეს აზრად არ მოსვლია სხვებისთვის დაებანა ფეხები. იესო თავის თავზე იღებს ყველაზე დაუფასებელი მონის მოვალეობას.

წაიკითხეთ იოანე 13:1-17

1. როდის ხდება ეს მოვლენა? რა ხდებოდა იესოს თავში? (მუხლ 1) რა მოტივაცია ამოძრავებდა მას როცა ამის გაკეთებას ცდილობდა?
2. წაიკითხე მე-2 მუხლი. ეშმაკის რა ხრიკი იყო უკვე ამოქმედებული?
3. წაიკითხე 3-5 მუხლები. რა სამ რამეში იყო იესო დარწმუნებული? (მუხლ 3) რის გაკეთება გადაწყვიტა იესომ? (მუხლ 4-5)

   ფიქრობ, რომ იესოს სჭირდებოდა ვინმესთვის დაემტკიცებინა თუ ვინ იყო იგი?
4. წაიკითხე 6-8 მუხლები. რას ეუბნება პეტრე ასე მტკიცედ იესოს მე-8 მუხლში?

   რატომ არ სურდა პეტრეს, რომ იესოს მისთვის დაებანა ფეხები?

   რთულია შენთვის მიიღო სხვისი თავმდაბლური მსახურება?
5. რამ შეაცვლევინა აზრი პეტრეს მე-9 მუხლში? (მუხლ 8)
6. 10-11 მუხლებში ჩანს, რომ იესომ იუდასაც კი დაბანა ფეხები. **თვალი გადაავლე მათე 5:43-45.** მტრის სიყვარულის რა მაგალითს იძლევა ეს საკითხავი?

7. წაიკითხე 12-17 მუხლები. იესო ეკითხება თავის მოწაფეებს თუ მიხვდნენ იმას რაც მან მოიმოქმედა? რა უნდა რომ ამით ასწავლოს იესომ?

8. მე-13 მუხლში რას ამბობს იესო თუ ვინ არის ის მათთვის?

   14-15 მუხლებში რას ამბობს იესო, რატომ გააკეთა ის რაც გააკეთა?

   „მოძღვრისგან“ ან „უფლისგან“ ვინმე ელის, რომ ის მონის საქმეს გააკეთებს?

9. იესო თავის მოწაფეებს (და ჩვენ) აჩვენებს, რადენად განვსხვავდებით წუთისოფლისგან. იესოს მაგალითი მხოლოდ ფეხების ბანაზეა თუ ფიქრობ, რომ იგი ზოგადად საუბრობს სხვების მომსახურებაზე? ახსენი შენი პასუხი.

ქრისტიანული ისტორიის მანძილზე ქრისტიანებს ხშირად თავისთავზე აუღიათ ისეთი საქმე, რომლის შესრულება არავის სურდა. ევროპაში შავი ჭირის დროს, ქრისტიანებს გადაჰყავდათ ავადმყოფები, რადგან არავის სურდა ამის გაკეთება, ამის გამო ხშირად თვითონაც იღუპებოდნენ გადამდები დაავადების გამო. ამის გამო ბევრმა ირწმუნა ქრისტე მათი სამაგალითო სიყვარულის გამო. 1980 წელს კამბოდიიდან და ვიეტნამიდან უამრავი ლტოლვილი თავს იყრიდა ტაილანდის ბანაკებში. ქრისტიანი მოხალისეები სიბინძურისგან წმენდნენ და საცხოვრებლად ვარგისს ხდიდნენ ამ ბანაკებს. უამრავი წარმართი გაოცებული იყო მათი მოპყრობით.

10. რას გასწავლის იესოს მაგალითი? წაიკითხე 16-17 მუხლები ხელახლა. შენს მასწავლებელზე დიდი ხარ? როგორ სურს იესოს რომ შენ ემსახურო სხვას? მზად ხარ რომ შეასრულო დამამცირებელი და ჭუჭყიანი სამუშაო იმისთვის, რომ მოემსახურო სხვას?

    როცა ამ კვირას შენს საქმეს შეუდგები, გახსოვდეს იესოს თავმდაბალი მსახურების მაგალითი. იფიქრე როგორ შეგიძლია შენც მიბაძო მას.

22.გიყვარდეს მტერი შენი

დისკუსიის დასაწყისი:

გაიხსენე სიტუაცია როცა ვინმემ შური იძია და ამან უფრო მეტი რისხვა და სიმწარე გამოიწვია. სიტუაცია უფრო გამწვავდა და გაუარესდა?

წაიკითხე მათე 5:38-48

ალბათ იესოს სწავლიდან ეს ყველაზე რთული შესასრულებელია. არავისთვის არის ადვილი ამ სიტყვების შესრულება და მორჩილება?

> კულტურული მიმოხილვა. ხელახლა წაიკითხე 23-ე მუხლი. გამონათქვამი **„თვალი თვალის წილ და კბილი კბილის წილ“** აღებულია ლევიანთა 24:19-20-დან. **„თუ ვინმე მოყვასს დაასახიჩრებს, ისევე მოექცნენ, როგორც თვითონ მოიქცა. მოტეხილობა მოტეხილობის წილ, თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ: როგორც ის დაასახიჩრებს ადამიანს, ისევე მოექეცით მას.“** აღნიშნული წესი სასამართლოს ეხმარებოდა სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში. სასჯელი უნდა ყოფილიყო დანაშაულის შესაბამისი. ეს მოსამართლეს ასწავლიდა რომ გადაწყვეტილება მიეღო თანაბრად და სამართლიანად. უფლის სიტყვა გვასწავლის, რომ სახელმწიფოს ვალდებულებაა დამნაშავის დასჯა, თუმცა მოსამართლე ყველა ადამიანს თანასწორად უნდა მოექცეს.
> თუმცა იესოს დროს ამ კანონს ადამიანები იყენებდნენ ჩადენილი დანაშაულისთვის შურის საძიებლად.

1. რას ამბობს იესო 39-42 მუხლებში, როგორ უნდა ვუპასუხოთ მათ ვინც დანაშაულს ჩადის ჩვენს წინაშე? როგორ შეაჯამებდი იესოს ამ სიტყვებს?
2. ზოგი ადამიანი ფიქრობს, რომ ეს სიტყვები იმას ნიშნავს, რომ თუ ვინმე გვირტყამს, უნდა ვიდგეთ და უფლება მივცეთ გვცემოს. ფიქრობ რომ სწორედ ამას გულისხმობდა იესო? რას გულისხმბდა იგი შენი აზრით?

როგორი უნდა იყოს ჩვენი გულის განწყობა იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც შეცდომას უშვებენ ჩვენს წინაშე? (მუხლ 39ა)

3. წაიკითხე 43-48 მუხლები. იესოს მითითებები 44-ე მუხლში როგორ ეწინააღმდეგება იმას, თუ რას გვეუბნებიან ხოლმე? (მუხლ 43)

4. როგორ ეპყრობა ღმერთი კეთილ და ბოროტ ადამიანებს? (მუხლ 45)

   ჩვენი მტრის სიყვარული როგორ გვაქცევს ღმერთის ჭეშმარიტ შვილად?

5. წაიკითხე 46-48 მუხლები. როგორ შეიძლება განვსხვავდებოდეთ წარმართებისგან და მებაჟეებისგან? ვინ გვაძლევა ამის მაგალითს? (მუხლ 48)

6. **წაიკითხე რომაელთა 12:17-21.** თუ ვინმე სცოდავს ჩვენს წინაშე, ეს გვაძლევს იმის უფლებას, რომ ჩვენც ასევე მოვექცეთ მათ?

   მე-17 მუხლის თანახმად, ქრისტეს მიმდევრებმა როდისმე უნდა მიაგონ ბოროტის წილ ბოროტი?

7. მე-18 მუხლის მიხედვით რა არის ჩვენი, როგორც მშვიდობისმყოფელების, მოვალეობა?

8. ვისი მოვალეობაა შურისძიება მე-19 მუხლის მიხედვით? რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ ჩვენ თვითონ არ ვიძიოთ შური, არამედ ღმერთს მივანდოთ იგი?

   დაფიქრდი: ჩვენთვის, ადმიანებისთვის, რამდენად რთულია მთლიანი სურათის წარმოდგენა? შეგვიძლია სხვა ადამიანის მოტივაციის დანახვა?

   შურს თუ იძიებ, რა იქნება იმ ადამიანის რეაქცია? როგორ შეიძლება დასრულდეს იგი?

   გჯერა, რომ უფალი სამართლიანია და რომ მას შეუძლია ყველაფერი დაალაგოს თვის ადგილას?

9. 20-21 მუხლების მიხედვით რა უნდა გავაკეთოთ შურისძიების მაგივრად? თუ შურს ვიძიებთ, ვინ დარჩება გამარჯვებული-ბოროტი თუ კეთილი? როგორ შეგვიძლია ვძლიოთ ბოროტი?

10. თუ ვინმე სცოდავს შენს წინაშე, შურისძიების სურვილი რჩება შენს გულში?

    ხელახლა წაიკითხე იესოს მითითებები მათე 5:46-48. როგორ შეიცვლებოდა სამყარო, თუ ადამიანები დაემორჩილებოდნენ იესოს სწავლებას?

    ილოცე. გყავს 'მტრები', რომლებმაც შესცოდეს შენს წინაშე? სთხოვე დახმარება იესოს, რომ აირჩიო გიყვარდეს და აპატიო მათ შურისძიენის მაგივრად.

„ამიტომ გეუბნებით, ყველაფერს,

რასაც ლოცვაში ითხოვთ,

გწამდეთ, რომ მიიღებთ,

და მოგეცემათ.“

მარკოზი 11:24

ლოცვა

თქვენ კი ასე ილოცეთ... მათე 6:9

ხალხი ლოცულობს მსოფლიოს გარშემო. ზოგიერთები ლოცულობენ და ხოტბას ასხამენ სულებს, რომლისაც ეშინიათ. ყველა რელიგიაშია ლოცვითი რიტუალი. ათეისტებიც ხშირად ამოიძახებე ხოლმე გაჭირვების ჟამს „ღმერთო, თუ სადმე არსებობ, დამეხმარე!“ ადამიანმა იცის, რომ მისი შესაძლებლობები შეზღუდულია და რომ მას სჭირდება ვინმესგან ან რამისგან დახმარება , რომელიც მის მიღმაა. თუმცა უმეტესმა ჩვენთაგანმა იცის, რომ ჩვენ არ გვესმის ლოცვის და ჩვენ არ ვლოცულობს სწორად.

მოწაფეები ხედავდნენ, რომ იესო თავდაჯერებულად და ავტორიტეტით ლოცულობდა. ისინი ასევე ხედავდნენ, რომ ის ხშირად მარტო მიდიოდა რომ მამასთან ერთად განცალკევებულიყო. ისინი ყოველდღიურად ხედავდნენ რამდენად ძლიერი იყო მისი სული. იესო იცნობდა მამას და იცოდა, რომ მისი ლოცვა შესმენილი იყო. ამიტომ მოწაფეები მიდიან და სთხოვენ, რომ ლოცვა ისწავლონ მისგან. ისიც ასწავლის! მან ბევრი მნიშვნელოვანი რამ ასწავლა თავის მოწაფეებს ლოცვის შესახებ.

იესოს მორწმუნეებმა თავდაჯერებულად უნდა ილოცონ. მაგრამ ჩვენ, როგორც იესოს მოწაფეებმა ლოცვა მისგან უნდა ვისწავლოთ. მოდი ვისწავლოთ მისი სიტყვებიდან და მაგალითიდან.

გაკვეთილების მომდევნო სერი ამაში დაგვეხმარება. დაე გავხდეთ ქრისტეს მიმდევარი მლოცველი ადამიანები.

23.ნუ ილოცებთ თვალთმაქცების და წარმართების მსგავსად

დისკუსიის დასაწყისი:

რთულ პერიოდში გქონიათ თუ არა განცდა, რომ ღმერთს არ ესმოდა თქვენი ლოცვა? როგორ ვილოცოთ რწმენით ისე რომ ღმერთმა გაიგოს ჩვენი ლოცვა და გვიპასუხოს თავისი სიყვარულით, თავისი სიბრძნით და თავის დროს?

წაიკითეთ მათე 6:1-8

1. იესო გვეუბნება, რომ თვალთმაქცებივით არ ვილოცოთ. რას აკეთებდნენ ისინი იმისთანას რისგანაც უნდა დავიცვათ თავი? (მუხლ 5)
2. თვალთმაქცი ადამიანები ხალხისგან ეძებენ განდიდებას. როგორ აფერხებს ეს მათ ლოცვას და ურთიერთობას ღმერთთან?
3. ლოცვის დროს როგორ უნდა განვსხვავდებოდეთ თვალთმაქცებსგან? (მუხლ 6)
4. იესო ამბობს, რომ მისმა მორწმუნეებმა მხოლოდ განმარტოებით უნდა ილოცონ ოთახებში და არასდროს სხვებთან ერთად?
   გაიხსენეთ, რომ იესო თავისი მოწაფეების წინაშეც ლოცულობდა. მოწაფეებიც არაერთხელ ლოცულობდნენ ერთად. რა უნდა რომ უთხრას იესომ თავის მოწაფეებს მე-5 და მე-6 მუხლებში?
5. თვალთმაქცები (რელიგიური ხალხი, რომელიც თავს აჩვენებს, თითქოს იცნობს ღმერთს) აღწერილები არიან მე-5 და მე-6 მუხლში, მათი მიზანი იყო ადამიანების ყურადღების ცენტრში მოქცეულიყვნენ ლოცვის დროს. ახლა სხვა ტიპის ხალხს შევხედოთ მე-7 მუხლში. ვინ არიან ისინი?
6. როგორ იქცევიან წარმართნი ლოცვის დროს? (მუხლ 7)
   რა პრობლემაა თუ ლოცვის დროს გავიმეორებთ სიტყვებს უფლის ყურადღების მოსაპყრობას?
7. წარმართები ლოცვას იყენებდნენ, როგორც მაგიას. ფიქრობდნენ, რომ თუ ისინი გარკვეულ სიტყვებს მრავალჯერ გაიმეორებდნენ, ამით მოახდენდნენ ღმერთის მანიპულირებას და გააკეთებინებდნენ მათთვის სასურველ რამეს. ლოცვას არანაირი კავშირი არ მაქვს მსგავს მიდგომასთან ახალი აღთქმის მიხედვით. იესო

გვასწავლის, რომ ღმერთი ჩვენი მამაა, რომ მას ესმის ჩვენი ლოცვები და ხედავს ჩვენს საჭიროებებს.

რა პრობლემაა თუ ვეცდებით ღმერთის მანიპულირებას ლოცვის დროს?

8. ზოგი ადამიანი ისე ლოცულობს თითქოს სურს სიტუაციაზე ძალაუფლების მოპოვება. ისიც ისე ჟღერს, როგორც მაგია, როცა სიტყვები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ღმერთი. ქრისტეს მიმდევრების ლოცვა ამისგან სრულიად განსხვავდება. იესოს მიერ ნასწავლი ლოცვა არ ცდილობს აკონტროლოს სიტუაცია ან ხალხი. თუმცა უნდა ვილოცოთ გაბედულად და იმ რწმენით, რომ უფლის ნება აღსრულდება ამ დედამიწაზე. ლოცვის დროს უნდა მივენდოთ მოსიყვარულე ღმერთს რომელიც ყოვლისშემძლეა და რომელმაც დაამარცხა სატანა სიკვდილზე გამარჯვებით და იესო ქრისტეს აღდგომით.

ზოგი ადამიანი ორნამენტებს კიდებს, რათა ბოროტი თვალისგან დაიცვან სახლები, ბიზნესები ან ავტომანქანა. რითი განსხვავდება ლოცვა მსგავსი სახის ორნამენტებისგან?

მომდევნო გაკვეთილზე ჩვენ ვისაუბრებთ ლოცვაზე, რომელიც იესომ თავის მოწაფეებს ასწავლა.

9. გაკვეთილის დასასრულს ილოცე, რომ მომდევნო თვის მანძილზე ისწავლო, როგორ ილოცო უფლის მოსაწონად.

24.„თქვენ კი ასე ილოცეთ“

დისკუსიის დასაწყისი:

ერთხელაც მოწაფეებმა იესოს სთხოვეს, რომ მათთვის ლოცვა ესწავლებინა. უმეტეს ჩვენთაგანსაც გვჭირდება ამ სფერში დახმარება. რატომ არის ლოცვა რთული?

წაიკითხეთ მათე 6:9-15

1. როგორ მიმართავს იესო უფალს? (მუხლ 9)
   იესო ისე ლოცულობს თითქოსდა ღმერთთან აქვს ურთიერთობა. ის ღმერთს მუდამ „მამას“ ეძახის.
   როგორ აძლიერებს ჩვენს ლოცვას იმის გაცნობიერება, რომ ღმერთი ჩვენი ზეციერი მამაა, რომელსაც ნამდვილად ვუყვარვართ?
2. იესო თავის ლოცვას იწყებს ძალიან მშობლიური მიმართვით- „მამა“! მისი სიტყვები დიდ პატივისცემას გამოხატავს. რას ამბობს იგი (მუხლ 9)?

მოსემ უფლისგან მიიღო 10 მცნება დაახლოებით 1500 წლის უკან იესომდე. მესამე მცნება, რომელიც თორაში გვხდება, შემდეგნაირად ჟღერს: **„არ წარმოთქვა უფლის, შენი ღმერთის სახელი ფუჭად, რადგან უფალი ფუჭად არ დატოვებს მას, ვინც მის სახელს ფუჭად ახსენებს.“ (გამოსვლა 20:7)**

   შენი ცხოვრებით რამდენად განდიდებულია უფალი? როგორ შეიძლება შევცვალოთ ჩვენი საუბრის მანერა და ქმედებები ისე, რომ პატივი მივაგოთ უფალს?
3. ხელახლა წაკითხეთ მე-10 მუხლი. რას ნიშნავს უფლის მეფობის მოსვლა ქვეყანასა ზედა?

შეგვიძლია მონაწილეობა მივიღოთ უფლის სამეფოს შენებაში? უფლის სამეფო ამ დედამიწაზე იზრდება მაშინვე როგორც კი ადამიანი გადაწყვეტს, რომ თავისი გული და ცხოვრება მიუძღვნას უფალს. როცა ვლოცულობთ უფლის ნების აღსრულებაზე ამ ქვეყნად, ჩვენ მხოლოდ იმაზე არ ვლოცულობთ, რომ სამყარო შეიცვალოს, არამედ ვაღიარებთ, რომ გვსურს უფალმა შეცვალოს ჩვენი

სამყაროც. ჩვენ გვესმის, რომ თუ უფალს არ მივცემთ იმის უფლებას, რომ იმეფოს ჩვენს გულებში, მაშინ ჩვენ თვითონ ვიმეფებთ ჩვენს პატარა ეგოისტურ სამყაროში. თუმცა სინამდვილეში ჩვენ მეფეები კი არა მონები ვხდებით. ვაღიარებთ ამას თუ არა, ჩვენ ჩვენი გულის გასაღებს ვთავაზობთ სატანას. როცა ადამიანი ფიქრობს, რომ თვითონ მართავს საკუთარ ცხოვრებას, სინამდვილეში ის კარს უღებს სიბნელეს და ბოროტი აკონტროლებს მას. როცა ვლოცულობთ უფლის მეფობის გამყარებაზე, ამით ჩვენ უფალს ვთხოვთ რომ შეცვალოს ჩვენი გული და თავმდაბალი მსახურები გაგვხადოს მისი სამეფოს შენებაში ამ დედამიწაზე.

კიდევ წაიკითხეთ და ისაუბრეთ იმაზე რა შეიძლება მოხდეს, თუ თქვენ უფრო ხშირად ილოცებთ, რომ უფლის სუფევა მოვიდეს თქვენს ცხოვრებაში, ოჯახებში და საზოგადოებაში.

4. ხელახლა წაიკითხეთ მე-11 მუხლი. ბევრი ისე ატარებს ცხოვრებას, თითქოს ღმერთი სულ არ არსებობდეს. ისინი ცდილობენ, რომ ყოველი პრობლემა უფლის გარეშე მოაგვარონ. რამდენად გახარებთ ის ფაქტი, რომ ღმერთს სურს, რომ მას მიანდო შენი ყოველდღიური საჭიროება (მაგალითად „პური“).
5. ქრისტეს ამაღლებიდან მრავალი წლის შემდეგ, მისმა მოციქულმა პეტრემ ასეთი რამ თქვა **„ყოველი თქვენი საზრუნავი მას მიანდეთ, რადგან ის ზრუნავს თქვენზე.“** (1 პეტრე 5:7) რას ნიშნავს ეს მუხლი შენთვის?
6. წაიკითხე მე-12, მე-14 და მე-15 მუხლები.

   იესოს სიტყვები არც ისე ადვილი მოსასმენია. ადამიანებისთვის საკმაოდ რთულია პატიება. ჩვენ ყველას ძალიან კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ პატიება არის ის რაც ჩვენ ყველამ უნდა ვისწავლოთ.

   როცა ლოცვისას ჩვენი ცოდვებისთვის პატიებას ვითხოვთ, რატომ უნდა იესოს რომ ჩვენც ასევე მოვექცეთ სხვებს?

   რამოდენიმე წუთი ყველამ ჩუმად იფიქრეთ: „ვის უნდა ვაპატიო დღეს“?
7. რატომ უნდა ვილოცოთ იმისთვის, რომ განსაცდელში არ ჩავვარდეთ? (მუხლ 13)

ახალი აღთქმა გვასწავლის, რომ **„ღმერთი ამპარტავნებს ეწინააღმდეგება, თავმდაბლებს კი მადლს ანიჭებს.“** (1 პეტრე 5:5)

უფლის წინაშე გულწრფელი დახმარების თხოვნა ცდუნების დამარცხებაში როგორ გვეხმარება?

8. ლოცვის ბოლო ნაწილი ამტკიცებს, რომ უფლისაა სამუდამო მეფობა, ძალა და დიდება. (მუხლ 13)

   აძლიერებს თუ არა შენს რწმენას ეს სიტყვები? რატომ?

9. ზოგიერთი ადამიანი ამ სიტყვებით ისე ლოცულობს, თითქოს მას წარმატების მოტანა, დაცვა და მათი კურთხევა შეუძლიათ, ამიტომ ისინი მას სხაპასხუპით ამბობენ და მნიშვნელობაზე არ ფიქრობენ.

10. ეს ლოცვა როგორ გვეხმარება გავიგოთ თუ როგორ ვილოცოთ უკეთ?

    შეხვედრა დაასრულეთ იესოს ლოცვით. ასევე შეგიძლიათ ილოცოთ საკუთარი სიტყვებით მაგრამ იგივე მნიშვნელობა ჩადეთ მასში.

25.მუდამ ილოცეთ და არ მოგბეზრდეთ

დისკუსიის დასაწყისი

რატომ სჭირდება ღმერთს რომ გვწამდეს?

წაიკითხეთ 18:1-8

1. რატომ უთხრა იესომ ეს იგავი? (მუხლ 1)
   გბეზრდება ხოლმე? განსაკუთრებით მაშინ, როცა ლოცვაზე ვერ იღებ პასუხს უცბად?
2. ეს იგავი საუბრობს მოსამართლეზე და ქვრივზე? როგორ აღწერს იესო მოსამართლეს?
3. იესოს დროს ქვრივებს არანაირი უფლება არ ჰქონდათ. ბოროტი ადამიანები ხშირად სარგებლობდნენ ამით. ამ ისტორიაში უსუსურ მდგომარეობაში მყოფი ქვრივი მიდის ისეთ მოსამართლესთან, რომელსაც არც ხალხის რცხვენოდა და არც უფლის ეშინოდა. დღეს რომ მსგავსი რამე მომხდარიყო, რამე იმედი გექნებოდა, რომ მოსამართლე ქვრივს დაეხმარებოდა?
4. დასაწყისში მოსამართეემ არც კი მიაქცია ყურადღება ქვრივს, მაგრამ საბოლოოდ ყურად იღო მისი თხოვნა. რატომ? (მუხლ 4,5)
5. წაიკითხეთ 6-8 მუხლები. იესოს საუბარი უსამართლო მსაჯულიდან ღმერთზე გადააქვს. ღმერთიც უსამართლო მსაჯულს გავს თუ განსხვავებულია?
   შენი სიტყვებით და გამოცდილებიდან გამომდინარე აღწერე როგორ განსხვავდება ღმერთი უსამართლო მსაჯულისგან.
6. ვინ მიდის უფალთან თხოვნით? (მუხლ 7). რამდენად ხშირად მიდიან ისინი თხოვნით?
   როგორ ექცევა მათ უფალი? (მუხლ 8) რამდენად ხშირად ექცევა მათ სამართლიანად?
7. იგავს იესო შეკითხვით ამთავრებს. როგორ ჟღერს ეს შეკითხვა? (მუხლ 8)
   რატომ სვამს იესო ამ შეკითხვას?
8. მოდით დავუბრუნდეთ 1-ელ მუხლს. რა მიზნით მოყვა იესო ამ იგავს?
   უფრო თავდაჯერებული იქნები ლოცვის დროს ამ იგავის შესწავლის შემდეგ?

9. გაკვეთილის ბოლოს წაიკითხეთ ებრაელთა 4:14-16. რამდენიმე წუთი ჩუმად იფიქრეთ წაკითხულზე და შემდეგ ერთმანეთს გაუზიარეთ თუ რას ნიშნავს ეს მუხლები შენთვის.

წაიკითხეთ ნელა და იფიქრეთ იმ არაჩვეულებრივ საჩუქარზე, რაც ღმერთმა ჩვენ მოგვცა იესო ქრისტეს სახით.

ჩვენ, ვისაც გვწამს იესოსი, როგორც მხსნელისა გვჯერა, რომ მან მოგვაშორა სირცხვილი და შეგვარიგა ღმერთთან იმით, რომ თავისი სიცოცხლე მსხვერპლად გაიღო ჩვენთვის. გახსოვდეს ეს როცა ლოცულობ. ვერავინ მივა უფალთან თავისი სიმართლით. ჩვენ უფალთან მისვლა შეგვიძლია მხოლოდ მაშინ, თუ ვიწამებთ და მივიღებთ მის მიერ გაღებულ მსხვერპლს. ჩვენ შეგვიძლია მტკიცე რწმენით ვილოცოთ, რომ უფალს ძალიან ვუყვარვართ და ესმის ჩვენი ლოცვა. ის უსამართლო მოსამართლეს არ ჰგავს. მას სურს, რომ გულდაჯერებულნი და გაბედულნი ვიყოთ ლოცვისას, რადგან უფალი ძალიან კეთილია.

რაზე გინდა, რომ ილოცო ჯგუფთან ერთად?

26.დრო დაუთმე შეიცნო უფალი

დისკუსიის დასაწყისი

რაზე ლოცულობ ხოლმე?

წაიკითხე ლუკა 10:38-42

1. 38-ე მუხლში რას აკეთებს მართა? სტუმართმოყვარეობა სიყვარულის გამოვლენა არ არის შენი აზრით?
   მისი და, მარიამი რითი იყო დაკავებული? (მუხლ 39)
2. როგორია მართას დამოკიდებულება 40-ე მუხლში? რაზე ზრუნავდა იგი?
   რა უთხრა იესოს? რა განწყობა ჰქონდა თავისი დის, მარიამის მიმართ?
3. იესომ აღნიშნა, რომ მართა ბევრ რამეზე წუხდა. (მუხლ 41-42), რას ამბობს, რამდენზე ზრუნვა იყო საკმარისი?
   რაზე ზრუნვა იყო საჭირო?
   რომელი უფრო მნიშვნელოვანი იყო იესოსთვის: სასიამოვნო სადილი თუ მშიერ კუჭზე საუკუნო სიცოცხლეზე საუბარი?
4. **წაიკითხე მათე 5:6.** მარიამი როგორ გამოხატავს ჭეშმარიტების შესაცნობად შიმშილს და წყურვილს? რა მიიღო მან ამ საკითხავიდან გამომდინარე?
5. ამ ორი ქალიდან, რომელს უფრო გავხარ? ხშირად გიშლის ხელს სხვა საზრუნავი? თუ შეგიძლია ყველაფერი გვერდზე გადადო და დრო იესოსთან გაატარო? გწყურია მასთან საუბარი და მისი სიტყვის შესწავლა?
6. იესო ხშირად ატარებდა დროს მამასთან ერთად განმარტოებით. წაიკითხეთ მარკოზი 1:35-39. როდის გავიდა იესო ლოცვისთვის? სად ილოცა?
   რატომ აირჩია იესომ ლოცვისთვის ეს ადგილი და დრო? რამდენად მნიშვნელოვანია რომ სამყაროს სრულიად გამოვეთიშოთ და მარტომ გავატაროთ დრო ღმერთთან?
7. ვინ ეძებდა იესოს? (მუხლ 36) რა უთხრეს იესოს? (მუხლ 37)

იესოს გარშემო მუდამ უამრავი ხალხი იყრიდა თავს. ფიქრობ რომ ადვილი იყო მისთვის დრო გამოენახა ღმერთისთვის?

8. თუ დიდ ქალაქში ან მრავალსულიან ოჯახში ცხოვრობ, მაშინ ადვილი არ იქნება ღმერთთან ურთიერთობისთვის ადგილის და დროის გამონახვა.
   მასთან დროის გატარებისთვის ღირს მსხვერპლის გაღება?
9. სახარებაში ბევრგან წერია როცა იესო ლოცულობდა მარტო ან მოწაფეებთან ერთად.
   წაიკითხეთ ლუკა 6:12-13. რა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო იესომ მე-13 მუხლში? მანამდე რას აკეთებდა? (მუხლ 12)
   სანამ რამე გადაწყვეტილებას მიიღებ, დროს თუ უთმობ ღმერთთან ურთიერთბას და რჩევას თუ ითხოვ მისგან?
10. წაიკითხე ლუკა 5:15-16. რისთვის ეძებდნენ იესოს?
    წარმოიდგინე რამდენად დამღლელი იქნებოდა იესოსთვის ყოველდღიურად ამდენი ხალხის მომსახურება. როგორ ახერხებდა იესო ძალის განახლებას? (მუხლ 16)
    თუ იესოს, რომელმაც არ იცოდა ცოდვა, ასე სჭირდებოდა ლოცვისთვის დროს, არ ფიქრობ რომ ჩვენთვისაც ძალზე მნიშვნელოვანია დრო დავუთმოთ ლოცვას?
11. გადახედე შენს ცხოვრებას. რამდენად გჭირდებათ უფალთან ერთობა? გჭირდებათ დროდადრო გათიშოთ ტელევიზორი და ტელეფონი რომ დრო დაუთმოთ უფალთან ურთიერთობას სიწყნარეში?
12. შეამჩნევდით ალბათ, რომ იესო არ იძლევა მითითებას იმაზე, თუ როდის და რამდენი ხანი უნდა ილოცოთ. მასთან მიდიხართ რადგან გიყვართ და გსურთ მისი უკეთ გაცნობა? მასთან მიდიხართ რადგან იცით რომ იგი გჭირდებათ? გწყურიათ მასთან ურთიერთობა?
    იფიქრე და ილოცე იმ ცვლილებებზე, რომელიც გინდა რომ მოხდეს შენს ცხოვრებაში უფლის უკეთ გასაცნობად.

27.იყავით რწმენის ხალხი

დისკუსიის დასაწყისი

ვინმეს განკურნებისთვის თუ გილოციათ? ან ვინმეს თუ ულოცია სხვის გამოჯანმრთელებისთვის შენი თანდასწრებით? გაგვიზიარეთ.

შესავალი: იესოს მსახურების უდიდესი ნაწილი მოიცავდა ავადმყოფების განკურნებას და ბოროტი სულების დევნას. წაკითხეთ შემდეგი ადგილები: **მათე 4:23-25; მათე 10:1; მათე 10:5-8; და მათე 15:29-31.**

იესომ უამრავი ადამიანი განურნა. ყველა ისტორია გნსხვავებულია, რადგან განსხვავებულები იყვნენ განკურნებული ინდივიდები. დღეს შევისწავლით ერთ ისტორიას, რომელიც აღწერილია როგორც მათეში ასევე მარკოზის სახარებებში.

წაიკითხეთ მათე 17:14:21

1. აღწერეთ რა მდგომარეობაშია ამ კაცის ვაჟი (მუხლ 15). როგორ ცდილობს მამა დაეხმაროს თავის ძეს? (მუხლ 16). განიკურნა მისი ძე? რატომ არა?
2. როგორ მიმართავს იესო საზოგადოებას მე-17 მუხლში? რატომ მიმართავს ასე?
3. როგორ იქცევა იესო მე-18 მუხლში?
4. მე-19 მუხლში იესოს განცალკევებით ეკითხებიან მოწაფეები თუ რატომ ვერ შეძლეს მათ მისგან ეშმაკის განდევნა. როგორ პასუხობს მათ იესო 20-ე მუხლში? რამხელა რწმენაა საჭირო მთების გადასაადგილებლად?
5. რისი გაკეთებაა საჭირო ზოგიერთ შემთხვევაში 21-ე მუხლის მიხედვით?
6. **წაიკითხეთ მარკოზი 9:17-29.** ამ ისტორიაში ვუსმენთ იესოს და მამის საუბარს. წაიკითხეთ 20-24 მუხლები. რას ითხოვს მამა 22-ე მუხლში? მას დიდი რწმენა ჰქონდა?
7. წაიკითხეთ 23-ე მუხლში როგორ პასუხობს იესო. რამდენად ემთხვევა იესოს განცხადება მათეს 17:20-ში გაკეთებულ განცხადებას?
8. რას პასუხობს მამა მაშინვე? (მუხლ 24). იესოს ნათქვამი 23-ე მუხლში, როგორ ეხმარება მამას შეცვლილიყო მისი ეჭვები რწმენით?

9. ყურადღება გაამახვილე 24-ე მუხლზე, მამა რამდენად თავმდაბლურად აღიარებს დახმარების საჭიროებას.

   გქონია თუ არა ცხოვრებაში მსგავსი გამოცდილება, როცა ძალიან გინდოდა, რომ გერწმუნა, მაგრამ ეჭვი გტანჯავდა? უარყო იესომ მამაკაცი თვისი ურწმუნოების გამო ანდა ხაზი გაუსვა მის რწმენას, მიუხედავად იმისა, რომ მისი რწმენა სუსტი იყო? რა შეგვიძლია ვისწავლოთ 25-27 მუხლებიდან?

10. წაიკითხეთ 28-29 მუხლები თავისი კომენტარებით და შეადარეთ მათეს 17:21 მუხლს.

    მოდით რამოდენიმე რამ ვისწავლოთ განკურნებაზე ამ ისტორიიდან.

    - რა კავშირი აქვს რწმენას განკურნებასთან? (**ებრაელთა 11:6**)
    - რამხელა რწმენაა საჭირო იმისთვის, რომ ნახო თუ რამდენად შეუძლებლის კეთება შეუძლია ღმერთს შენით? (**მათე 17:20**)
    - რატომ არის ზოგი ადამიანის განკურნება უფრო რთული? რატომ არის საჭირო დაჟინებით გავაგრძელოთ ლოცვა და მარხვაც კი, მიუხედავად იმისა რომ შედეგს ვერ ვხედავთ? (**მათე 17:21+კომენტარები**)
    - რა ვქნათ თუ ეჭვი გვეპარება? (**მარკოზი 9:24**)

რა ვქნათ იმ შემთხვევაში თუ ვლოცულობთ ვინმესთვის და შედეგს ვერ ვხედავთ?

გთხოვთ არ დანებდეთ და მუდამ ილოცოთ ავადმყოფებისთვის, მიუხედავად იმისა განიკურნა ის თუ არა. ბევრი განკურნებულა. სახარებაშიც უამრავი ადგილია, რომელიც გვამხნევებს, რომ ავადმყოფებისთვის და შეპყრობილებისთვის ვილოცოთ. ჩვენ ხშირად ვერ ვხდებით სასწაულის მოწმენი, რადგან არ ვლოცულობთ მათთვის. ილოცეთ მამის ლოცვით მარკოზის 9:24-ის მიხედვით. შემდეგ ილოცეთ ავადმყოფისთვის და გაჭირვებულებისთვის. ხშირად იფიქრეთ მათე 17-20 და მარკოზის 9:23-ზე.

ჯგუფის შეხვედრის დროს ცალკე გამოყავით დრო ავადმყოფებისთვის ლოცვისთვის.

„ჰოდა, როგორი სიუხვეც გაქვთ
ყველაფერში– რწმენასა და სიტყვაში,
ემეცნებასა და ყოველგვარ სწრაფვაში,
და თქვენდამი ჩვენს სიყვარულში, –
ასევე იუხვეთ ამ მადლშიც.“
2 კორინთელთა 8:7

გაცემა

ყოველნაირად გიჩვენეთ, რომ ასეთი შრომით უნდა ეხმარებოდეთ უძლურებს და გახსოვდეთ უფალ იესოს სიტყვა, როგორც თქვა: "გაცემა მეტი ნეტარებაა, ვიდრე მიღება". საქმეების 20:35

იესომ გვასწავლა, რომ არ ვიდარდოთ ხვალინდელ დღეზე. ის თავის მიმდევრებს ასევე ასწავლის, რომ ვიყოთ გულუხვები გაცემაში.

გაცემაში დიდი კურთხევაა. ადამიანი, რომელიც გასცემს, ორი რამის დემონსტრირებას ახდენს. ისინი აჩვენებენ, რომ მართლა ადარდებთ გაჭირვებულები და ასევე უფალს ანდობენ ყველაფერს, რასაც ფლობენ.

ჩვენ უნდა ველოდოთ რომ სულიწმინდა ხშირად შეგვახსენებს იესოს სწავლას გაღებაზე. ჩვენს იესოს მიმდევრები ვართ. იესო არის ის ვინც საკუთარი ცხოვრება გაიღო ჩვენთვის. უფალს სურს რომ იესოს ცხოვრებიდან ვისწავლოთ. მას ასევე გვაჩვენა თუ როგორია ჩვენი ზეციერი მამა, რომლის შვილებიც ვართ ახლა.

როცა იესო დაბრუნდება, აღმოაჩენს რომ მისი ხალხი თავის საკუთრებაზე ზრუნავს და მომავალზე დარდობს? თუ ნახავს გულუხვ თაობას, რომელიც გაჭირვებულებზე ზრუნავს? იესომ ნათლად თქვა: ან ფულია თქვენი ბატონი ან უფალი.

შეუძლებელია ორივეს ვემსახუროთ.

გაკვეთილების თანმიმდევრობა დაგვეხმარება უკეთ დავემსგავსოთ ჩვენს ზეციერ მამას.

28.როცა გასცემ, გახსოვდეს გულუხვად გამცემი ქვრივი

დისკუსიის დასაწყისი:

ხანდახან ვფიქრობთ, რომ როცა გავმდიდრდებით (მაგალითად ბევრ ფულს მოვიგებთ) მაშინ გავცემთ გულუხვად. თუ ჩვენს სიღარიბეში არ ვიქნებით გულუხვად გამცემნი, ფიქრობთ რომ უცბად გავხდებით გულუხვები როცა გავმდიდრდებით? ახსენით თქვენი მიზეზები

წაიკითხეთ მარკოზი 12:41-44

1. ვინ აკვირდებოდა საგანძურში როგორ ყრიდა ხალხი? (მუხლ 41)
2. ვინ ჩაყარა ყველაზე ბევრი?
3. ვინ ჩაყარა ცოტა? (შენიშვნა: 2 ლეპტას დაახლოებით 3 თეთრის ღირებულება ჰქონდა)
4. რამეში გამოადგებოდა ეს თანხა ტაძარს?
   ადამიანის თვალში რამდენად დაფასებული იყო ამ რაოდენობის შესაწირი?
   რომელი შესაწირავი იქნებოდა ყველაზე შესამჩნევი ადამიანისთვის?
5. ვის დაუძახა იესომ, რომ თავისი დაკვირვება გაეზიარებინა? (მუხლ 43)
6. იესოს სიტყვების თანახმად ვინ გაიღო ყველაზე ბევრი იმ დღეს? (მუხლ 43-44), რატომ?
7. ამ მუხლში იესო ამბობს, რომ ბოლო კაპიკამდე უნდა გავიღოთ? ჩვენ უფლისგან მისაღები ვართ იმის გამო თუ რამდენი გავიღეთ მისთვის?

> ***<u>გახსოვდეთ:</u>***
>
> ახალი აღთქმა გვასწავლის, რომ გადარჩენას ადამიანი ვერ იყიდის ფულით. ჩვენ ვერ მოვისყიდით უფალს. ჩვენ ყველანი დაკარგულები ვართ მისი ხსნის გარეშე. ჩვენ უფასოდ გვეძლევა მადლი და საუკუნო სიცოცხლე მონანიების და რწმენის საშუალებით. ის უფლის კრავია, საუკუნო მსხვერპლი ჩვენი ცოდვებისთვის.

თუ ფულით შეუძლებელია გადარჩენის ყიდვა, მაშინ რა სურს რომ ასწავლოს იესომ თავის მოწაფეებს?

ფიქრობთ რომ საჩუქარს მაშინ უფრო აქვს ფასი როცა მასში მსხვერპლის გაღება გვიწევს?

8. უფალმა სამყარო ფულის გარეშე შექმნა, ასე რომ მილიონი დოლარით ვერ მოვხიბლავთ უფალს. **წაიკითხეთ მარკოზი 12:30** რათა გავიგოთ რას ელის უფალი თავისი მიმდევრებისგან.
   რამდენად შესაძლებელია რომ უხვად გაცემა იყოს ჩვენი მხრიდან უფლის სიყვარულის ჩვენება?
9. მოდით სხვა მაგალითიც წავიკითხოთ გულუხვად გაცემაზე. **2 კორინთელთა 8:1-5.** რა სიტუაცია იყო მაკედონიის ეკლესიებში, როცა გაიღეს? (მუხლ 2).
10. რა ემოციით გაიღეს? (მუხლ 2). მე-3 მუხლის მიხედვით რამდენი და როგორ გაიღეს?
    ამ სახის ხელგაშლილობა რას ამბობს მათ ნდობაზე ღმერთის მიმართ?
11. მე-4 მუხლის მიხედვით, რა განწყობით გაიღეს მათ წმინდათა მომსახურებისთვის?
12. ფულის გარდა კიდევ რა გაიღეს? (მუხლ 5). რას ნიშნავს შენთვის **„საკუთარი თავის“** გაღება?
13. წარმოიდგინე რომ ერთ-ერთი თანამსახური ხარ, ვინც ეს საჩუქარი მიიღე. რა განწყობა გექნებოდა როცა გაიგებდი რა გულიანად გამოაგზავნეს მათ ეს მხარდაჭერა? როგორ აერთიანებს დონორების და მიმღების გულებს მსგავსი გაცემა?
14. ერთმანეთს შეადარე ქვრივის მიერ გაცემული მაკედონიელების მიერ გაღებულს. შენ გასცემ თავისუფლად და სიხარულით? შენ გასცემ დაგროვილიდან (გადარჩენილი თანხიდან) თუ იმ თანხიდან, რომელიც თქვენ თვითონ გჭირდებათ?
15. შენ მარტო თანხიდან გასცემ თუ ‘საკუთარ თავსაც“ უძღვნი უფალს? ლოცულობ იმ ადამიანებისთვის ან პროექტისთვის რომლისთვისაც გაიღე? რამდენად ეხმარება ეს ადამიანს, რომ მასში გაიზარდოს სიყვარულის და ზრუნვის უნარი?

ლოცვაში სთხოვე უფალს გავიზარდოთ გაღებაში. დაიწყე დღევანდელი დღიდან, რომ ვისიამოვნოთ იმ სიხარულით და თავისუფლებით რაც ხელგაშილილობას და ღია გულს მოაქვს.

კარგი იქნება თუ ამ ადგილებს დაიმახსოვრებთ:

„რომ ვინც ძუნწად თესავს, ის ძუნწად მოიმკის, ხოლო ვინც უხვად თესავს, ის უხვად მოიმკის. თითოეულმა გაიღოს ისე, როგორც გულით განეწყო, არც მწუხარებითა და არც ძალდატანებით; ვინაიდან ღმერთს სიხარულით გამცემი უყვარს; ღმერთს კი ძალუძს სიუხვე მოგცეთ ყოველგვარ მადლში, რათა ყველაფერში ყოველივეს საკმარისად მქონენი, უხვნი იყოთ ყოველი კეთილი საქმისთვის.“ 2 კორინთელთა 9:6-8

29.გიყვარდეს უფალი და არა ფული

დისკუსიის დასაწყისი:

იესო ამბობს: „გაცემა მეტი ნეტარებაა, ვიდრე მიღება.“ (საქმეები 20:35)

გჯერად ამის? რატომ კი ან არა?

წაიკითხეთ მარკოზი 10:17-31

1. რას ეკითხება კაცი იესოს მე-17 მულში? როგორ მივიდა ის იესოსთან. რაზე საუბრობს მისი ეს ქმედება?
2. რა კომენტარს აკეთებს იესო „კეთილზე“? (მუხლ 18-20)
   იესო აკეთებს მოსეს რჯულში მოცემული მცნებების ჩამონათვალს. აქ ყველა მათგანი არ არის, მხოლოდ მის ნათქვამს აჯამებს. რა არის მამაკაცის რეაქცია?
3. რა განწყობა აქვს იესოს მამაკაცის მიმართ? (მუხლ 21). რატომ აკლდა კიდევ რამე, როცა ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო და ამდენ მცნებას იცავდა?
   რატომ ეუბნება იესო, რომ მან ყველაფერი უნდა გაყიდოს და ღარიბებს დაურიგოს? თუ საუკუნო სიცოცხლის ყიდვა შეუძლებელია და მადლი უფასოა ყველასთვის, მაშინ რისი თქმა უნდა იესოს ამით?
4. რას ამბობს იესო, რას მიიღებს იგი თუ ყველაფერს გაყიდის და დაურიგებს სხვას?(მუხლ 21). კიდევ რის გაკეთებას ურჩევს იესო ამ კაცს 21-ე მუხლში?
5. 22-ე მუხლის მიხედვით, როგორ უპასუხა მამაკაცმა იესოს გამოწვევას?
6. წაიკითხეთ მათე 6:19-21. თუ მისი საუნჯე ‘ზეცაში’ იქნებოდა, სად იქნებოდა მისი გული? თუ მისი გული ‘ზეცაში’ იქნებოდა, გაუჭირდებოდა ქონების გაცემა? სად იყო მისი გული შენი აზრით?

7. მოდით დავუბრუნდეთ იესოსა და მისი მოწაფეების საუბარს მარკოზის 10:23-27-ში. რატომ ამბობს იესო, რომ ძნელია სიმდიდრის მქონებელთა შესვლა ღვთის სამეფოში? (მუხლ 23)
8. 24-25 მუხლებში, იესო საკმაოდ საინტერესო შედარებას აკეთებს იმისთვის, რომ ნათელი მოჰფინოს საკუთარ განცხადებას.

   მათე 6:24 გვეხმარება უკეთ გავიგოთ იესოს სიტყვები. სიმდიდრე როგორ უშლის ხელს ადამიანს მთელი გულით მსახურებაში?

9. მარკოზის 10:26-27-ში მოწაფეები საკმაოდ თავგზააბნეულები არიან. ალბათ ფიქრობდნენ, რომ თუ მდიდარი და მნიშვნელოვანი ადამიანი ვერ გადარჩება, ალბათ მაშინ არც არავინ გადარჩება.

   27-ე მუხლში როგორ პასუხობს იესო მათ? რომელიმე ჩვენგანს - მდიდარს თუ ღარიბს- საკუთარი თავის გადარჩენა შეუძლია?

10. შენი აზრით, თუ ადამიანს ცოტა ფული აქვს, შესაძლებელია ის ფულის მსახური უფრო იყოს და არა ღმერთის?

    გადაშალე 1 ტიმოთე 6:6-10. მე-6 მუხლის მიხედვით რა არის დიადი შენაძენი? რა ემართებათ გამდიდრების მაძიებელთ? (მუხლ 9)

11. მე-10 მუხლის მიხედვით რა არის ყოველგვარი ბოროტების ფესვი? ეს იმას ნიშნავს რომ სიმდიდრე ცუდია? ფულია პრობლემა თუ გულის მდგომარეობა, რომელსაც აქვს ან არ აქვს ფული?

შენიშვნა: ჩვენ ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ ვინმე არ განვსაჯოთ. თუ ვინმე მდიდარია, ავტომატურად არ ნიშნავს, რომ მათ უყვართ ან დანდობილნი არიან ფულზე. ანდა თუ ვინმე ღარიბია, ავტომატურად არ ნიშნავს, რომ მისი გული თავისუფალია ფულის სიყვარულისგან. თითოეულმა ჩვენგანმა უფალს უნდა ვთხოვოთ დახმარება საკუთარი გულების გამოკვლევაში, რათა აღმოვაჩინოთ უფალი უფრო გვიყვარს თუ ფული.

12. **გადაშალეთ ფილიპელა 4:10-13**. მე-12 მუხლის მიხედვით რა ისწავლა მოციქულმა პავლემ? რა აძლევს მას სიცოცხლის გაგძელების ძალას? (მუხლ 13)
13. დაუბრუნდით მარკოზის მე10 თავს და წაიკითხეთ 28-31 მუხლები. რას ეუბნება პეტრე იესოს?

    იესოს სიტყვებიდან გამომდინარე რას ვიღებთ გაცემის სანაცვლოდ?
14. ამ გაკვეთილის მანძილზე გითხრა თუ არა უფალმა რამე შენი ცხოვრების შესახებ? შენი ცხოვრება თავისუფალია ფულის სიყვარულისგან? იცი რას ნიშნავს ყველაფრით იყო კმაყოფილი?
15. იესომ მდიდარ კაცს უთხრა, რომ ყველაფერი გაეყიდა და გაჭირვებულებისთვის დაერიგებინა. შენი აზრით როგორ გვეხმარება გაცემა ფულის სიყვარულისგან განთავისუფლებაში?

    რის გაკეთებისკენ გიბიძგებს უფალი?

    ილოცე ამისთვის.

სასურველი ადგილი დასამახსოვრებლად: ებრაელთა 13:5-6

30.დაიუნჯე ზეცაში

დისკუსიის დასაწყისი:

დარდობ როგორ უზრუნველყო შენი და შენი ოჯახის საჭიროებები?

წაიკითხე ლუკა 12:13-34

1. რას ითხოვს ეს ადამიანი? (მუხლ 13). ასრულებს იესო მის თხოვნას? (მუხლ 14)
2. მე-15 მუხლში რა გაფრთხილებას იძლევა იესო? ცხოვრება რაზე არ არის დამოკიდებული?

   როგორ ვხვდებით, რომ ანგარებიანი არ ვართ? შესაძლოა რომ ანგარება გვმართავდეს და ამის შესახებ არ ვიცოდეთ?

3. იესო მდიდარი კაცის იგავს ყვება. რა გეგმები ჰქონდა მდიდარს? (მუხლ 16-19) რას ეუბნება მას ღმერთი? (მუხლ 20)

   გაითვალისწინე...

   მდიდარი ფიქრობდა, რომ უფალმა აკურთხა, რათა საკუთარი თავით ეხარა. მას არასდროს უფიქრია, რომ შესაძლოა უფალმა მისი მოსავალი აკურთხა, რომ მას უქონელთა დახმარება შესძლებოდა. უფლის კურთხევა მან მხოლოდ საკუთარი თავისთვის გამოიყენა.

   ძველ აღთქმაში ღმერთი ებრაელებს ასწავლიდა, რომ ღატაკთათვის გაენაწილებინათ საკვები, უსახლკაროებისთვის მიეცათ თავშესაფარი და შეემოსათ უქონელი (ესაია 58:7). შენი აზრით რატომ დაავიწყდა ამ მდიდარ კაცს ეს მცნება? თავის გულს იცავდა ანგარებისგან?

4. 21-ე მუხლში კიდევ ერთ გაფრთხილებას იძლევა იესო. შენი საკუთარი სიტყვებით როგორ იტყოდი ამ მუხლს? შემდეგ კი იმსჯელეთ იმაზე თუ როგორ შეიძლება უფლის სიყვარული აჩვენოს მორწმუნემ უფლის კურთხევების გაცემით?

5. წაიკითხეთ 22-34. რას ამბობს იესო, ვინ ზრუნავს ჩასაცმელზე, საკვებზე და სასმელზე (მუხლ 30)? უფლის შვილებმა რატომ არ უნდა იზრუნონ მსგავს რამეებზე (მუხლ 27-28)? ვინც ზრუნავს რას უწოდებს მათ იესო (მუხლ 28)?
6. იესო როგორ მიმართავს თავის მოწაფეებს 32-ე მუხლში? რატომ მიმართავს ასე შენი აზრით? ადარდებს ის რასაც გვაძლევს? (მუხლ 32).
7. რა სახის ქისები უნდა გავიმზადოთ ჩვენთვის (მუხლ 33)? იგი ასევე ამბობს, რომ ზეცაში დაუნჯებული დაცულია ორი რამისგან. რისგან?
   იესო პრაქტიკული საქმისკენ გვიბიძგებს. როგორ შეგვიძლია გავიმზადოთ უცვეთელი ქისები ზეცაში? (მუხლ 33)
8. წაიკითხეთ 34-ე მუხლი ხელახლა. შენი სიტყვებით გადმოეცი მისი მნიშვნელობა.
9. დარდობთ თქვენს მომავალზე, იმაზე თუ რა მოგივათ? რა გაიგეთ დღეს უფალზე და მის ზრუნვაზე?
10. იფიქრეთ საკუთარ ცხოვრებაზე. გსურს რომ „**უფლით მდიდარი**“ იყოს შენი ცხოვრება? როგორ შეგიძლია დააგროვო შენი საგანძური ზეცაში?
    ილოცეთ, რომ იყოთ ის ხალხი, რომელიც უფლის თვალშია მდიდარი.

„სუფთა გული შეჰქმენი ჩემში,
ღმერთო, და წრფელი სული
განაახლე ჩემს სხეულში.“
ფსალმუნი 50:10

სუფთა გულით ემსახურე უფალს

„ნეტარ არიან გულით სუფთანი, ვინაიდან ისინი ღმერთს იხილავენ.“ მათე 5:8

იმდროინდელ რელიგიურ ლიდერებს, ფარისევლებს, სძულდათ იესო რადგან მან შუქზე გამოიტანა მათი თვალთმაქცობა. ისინი ხალხის მოსატყუებლად შენიღბულები იყვნენ რელიგიურობით, მაგრამ მათი გული დაბინძურებული იყო. ისინი თავს ისე აჩვენებდნენ თითქოსდა ღმერთს იცნობდნენ მაგრამ სიმანდვილეში არ იცოდნენ რა იყო უფლის ნება.

თუ ჩვენ არ ვიცით, რომ უფალი ჩვენს გულებს უყურებს, ჩვენც ფარისევლებს დავემსგავსებით. იესოს მიმდევრობა რელიგიურობით არ იწყება. იგი იწყება ღრმად, ჩვენს გულებში. რა ხდება ჩვენს გონებაში ყოველდღიურად? გულისხმა ან მრისხანება ან სიძულვილი ან შური და სიხარბე ხომ არ მართავს ჩვენს ცხოვრებას? იქნებ გვსურს, რომ ადამიანებმა მოგვაქციონ ყურადღება და თაყვანი გვცენ? ხალხს ჩვენი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ვიყენებთ? ფული ჩვენი საიდუმლო კერპია? რაზე ვფიქრობთ განუწყვეტლივ?

როგორ შევქმნათ სუფთა გული ჩვენში? მადლობა ღმერთს იესოსთვის. მან შეგვინდო ცოდვები. მან სულიწმინდა მოგვცა და ის გვასწავლის თავის გზაზე სიარულს. მის მადლში ყოველდღიური ცხოვრება ახალი სიცოცხლით გვავსებს. ვსწავლობთ გვიყვარდეს მისნარად და ასე ვხდებით ამა ქვეყნის „ნათელი და მარილი“. უფლის სიყვარულით და მშვენებით ვავსებთ ყველა მომენტს. წინ მდებარე გაკვეთილები გაგვიძღვება სიწმინდისაკენ.

31.გქონდეს სუფთა გული

უფლის თვალში რა ქმნის ადამიანს უწმინდურს?

დისკუსიის დასაწყისი:

რა ბილწავს ან რა ხდის უწმინდურს ადამიანს?

წაიკითხე მარკოზი 7:1-23

შენიშვნა: იესოს დროს ფარისევლები რელიგიური ლიდერები იყვნენ. ძალიან მკაცრად იცავდნენ მოსეს რჯულს და კიდევ სხვა უამრავ წესს. ისინი ძალიან დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ. იესომ იცოდა რა ხდებოდა მათი გარეგანი ფასადის მიღმა, მათ გულებში.

1. რამ შეაწუხათ ფარისევლები? (მუხლ 1-5), რატომ შეწუხდნენ ამის გამო შენი აზრით?

შენიშვნა: ფარისევლები არ საუბრობენ დაბანაზე, რომელიც სრულიად გაშორებს ჭუჭყს. იმ დროს არაფერი იცოდნენ მიკრობების შესახებ. მათ ტრადიცია-რელიგიური რიტუალი ადარდებდათ, რომელიც ‘წმენდა“ მათ რელიგიური თვალსაზრისით.

რას უწოდებს იესო ფარისევლებს მე-6 მუხლში?

რატომ მიმართა ასე შენი აზრით?

2. წაიკითხეთ 9-13 მუხლები. იესოს მოჰყავს მაგალითები თუ როგორ აყენებენ ფარისევლები საკუთარ ტრადიციებს ღმერთზე მაღლა. რას ასწავლიდა მოსე (ძველ აღთქმაში) ხალხს?
   ფარისევლების ტრადიცია როგორ აუქმებდა მშობლების სიყვარულს და პატივისცემას?

3. 14-20 მუხლები გადაიკითხეთ. ებრაელი ლიდერებისთვის სიწმინდე ნიშნავდა იმას, რომ არ მიჰკარებოდნენ ან არ ეჭამათ ის რაც მოსემ აუკრძალა. ის ასევე ნიშნავდა ყველა კანონის თანმიმდევრულ დაცვას. იესო სრულიად ახალი კუთხიდან ანახებს მათ თუ რას ნიშნავს წმინდა და უწმინდური. რას ამბობს იესო, რა არ ბილწავს ადამიანს? (მუხლ 15:18-19)

იესოს ნათქვამიდან გამომდინარე საიდან გამომავალი ბილწავს ადამიანს?

4. **წაიკითხეთ 20-23** მუხლები. ჩამოთვლილთაგან რომელი უსვამს ხაზს გულის მდგომარეობას? რომელი ქმედება? სადაა ყველა ბოროტების სათავე? მოდით სხვა ადგილებიც წავიკითხოთ.
5. მათე 5:21-22. რა ეთქვათ ძველად ხალხს? (ამას გვასწავლის მოსეს რჯული?). რას ამბობს იესო, რა ჰგავს მკვლელობას?
   ცოტახანი იფიქრე ამაზე. განრისხებული და უხეში სიტყვები რატომ უდრის მკვლელობას?
6. **წაიკითხე მათე 5:27-28.** რას ამბობს მცნება (მუხლ 27)? რას უწოდებს იესო მრუშობას (მუხლ 28)?
7. იესო გვასწავლის, რომ ცოდვა მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი საქციელი არ არის, ცოდვა არც მხოლოდ სიტყვებია. ცოდვა არის ჩვენი არასწორი ფიქრებიც, ჩვევებიც და მოტივაციაც. ფაქტიურად ის ჩვენი გულის მდგომარეობაა. შესაძლოა შენ არავინ მოგიკლავს, მაგარამ გძულებია ვინმე? შესაძლოა არასდროს მოგიპარავთ, მაგრამ როდისმე შეგშურებიათ და მოგდომებიათ რაც სხვას ჰქონდა?
8. **წაიკითხეთ მარკოზი 7:21-22**. სთხოვე უფალს გამოიძიოს შენი გული და დაგანახოს გულის არასწორი მდგომარეობა, რომელიც შესაძლოა დამალული იყოს. აღიარეთ ისინი უფლის წინაშე და სთხოვეთ გაწმინდოს თქვენი გული და განგწმინდოთ შიგნიდან.

32.მოერიდეთ ფარისეველთა საფუარს

დისკუსიის დასაწყისი

როგორ განსაზღვრებას მისცემ თვალთმაქცს? პატივს სცემთ თვალთმაქც ადამიანს?

წაიკითხეთ ლუკა 12:1-3

1. რას ამბობს იესო, რა არის 'ფარისეველთა საფუარი'?

> **შენიშვნა:** ფარისევლები რელიგიური ლიდერები იყვნენ იესოს დროს. ისინი მკაცრად იცავდნენ ებრაულ კანონებს და საზოგადოებაში დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ. იესო საკმაოდ მკაცრი იყო მათ მიმართ რადგან მან იცოდა მართლა რა ხდებოდა მათ გულებში.
> საფუარი, როგორც სიმბოლო, ხშირად ნახსენებია ბიბლიაში. ხანდახან ის რაღაც კარგს აღნიშნავს, ხან კი -ბოროტს. თუმცა ეს არის ძალიან კარგი სურათი იმისა თუ მცირე რამეს რამხელა გავლენის მოხდენა შეუძლია. წარმოიდგინე, ერთ პატარა კოვზ საფუარს ცომის მოცულობა რამდენად შეუძლია გაზარდოს.

   შენი აზრით თვალთმაქცობას როგორ შეუძლია იქონიოს საფუარის მსგავსი გავლენა ერთობაზე ან საზოგადოებაზე?

2. იესო სერიოზულ გაფრთხილებას აძლევს თვალთმაქცებს 2-3 მუხლებში. რატომ არის ეს გაფრთხილება საშიში?

ყურადღებით წაიკითხეთ მათე 23 თავი

3. იესოს ადგილას თქვენ რას იგრძნობდით ასეთი განცხადებების გაკეთების დროს?
4. 2-3 მუხლებიდან გამომდინარე, რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ ჩვენც ისევე ვიქცეოდეთ, როგორც სხვას ვასწავლით? ხალხი ჩვენს სიტყვებს უსმენს თუ ჩვენს საქციელს?
   რამდენად ფასეულია ვიცოდეთ ბიბლია ძალიან კარგად, მაგრამ მისგან განსხვავებულად ვცხოვრობდეთ?

5. რა მოტივები ამოძრავებთ ფარისევლებს იესოს სიტყვის თანახმად? (მუხლ 5) დაფიქრდი საკუთარ ცხოვრებაზე. შენ თუ აკეთებ რამეს ადამიანთა საჩვენებლად? რამდენად აკონტროლებს შენს ცხოვრებას იმის შიში თუ სხვა რას ფიქრობს შენზე?

6. ფარისევლები ეძებდნენ აღიარებას, რომ ისინი განსწავლულები, ავტორიტეტულები და თითქოს უშეცდომოები იყვნენ. ჩაიკითხე 8-12 მუხლები. რამდენად გვეხმარება იესოს სიტყვები სურვილის დაძლევაში, რომ გამოვიყურებოდეთ მნიშვნელოვნად? რამდენად გვეხმარება ეს სიტყვები იმაში, რომ კმაყოფილები ვიყოთ იმით, რომ თანასწორნი ვართ უფლის ოჯახში?

7. წაიკითხე 23-24 მუხლები. იფიქრე შენს ცხოვრებაზე და ურთიერთობებზე. სადმე თუ უარყოფ სამართალს, მადლს და ერთგულებას იმისთვის, რომ მიიღო რამე უმნიშვნელო? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჭეშმარიტი სიყვარული და ერთმანეთზე ზრუნვა უფრო მნიშვნელოვანია თუ რელიგიური პრაქტიკის ლეგალური დაცვა?
8. ფარისევლები თავის ფარისევლობას და სისუსტეებს კარგად ფარავდნენ გარეგნულობით (მუხლ 27-28). პრაქტიკულად თავი როგორ უნდა დავიცვათ „ფარისეველთა საფუარისგან“?
9. **1 იოანე 1:5-10. 'სინათლეში სიარული'** და უფლის წინაშე ცოდვების მონანიება როგორ გვწმენდს შიგნიდან?
10. დავუბრუნდეთ მათეს 23 თავს. 29-ე მუხლიდან იესო ფარისევლებს განკიცხავს წინასწარმეტყველთა მკვლელობისთვის. უფლის მიერ წარმოგზავნილი წინასწარმეტყველები ხალხს შეცდომების გამოსწორებისკენ მოუწოდებდნენ. მათი სიტყვა მტკივნეული იყო მათი სიამაყისთვის და რეპუტაციისთვის.

    რა იყო წინასწარმეტყველთა მკვლელობების შედეგი? (მუხლ 35) საჭიროა მივიღოთ მითითებები ჩვენი სულიერი ძმებისგან და დებისგან ჩვენს შეცდომებზე? რატომ?

11. წაიკითხეთ 37-39 მუხლები. ყველაზე ძალიან რა სურდა იესოს ხალხისთვის? რამდენად გამხნევებს იესოს ეს სიტყვები, რომ შენი ცხოვრებიდან სრულიად მოიშორო თვალთმაქცობა?

12. ილოცე, რომ უფალმა გაჩვენოს შენს გულში დამალული თვალთმაქცობა. აღიარე და მოინანიე იგი უფლის წინაშე, რათა განიწმინდო. შემდგომ სულიწმინდას სთხოვე, რომ აგავსოს განახლებით და გაგაძლიეროს რათა იცხოვრო წმინდა ცხოვებით უფლის და ხალხის წინაშე.

„გამომიკვლიე უფალო და შეიცანი ჩემი გული;
შემამოწმე და გაიგე ჩემი აზრები, ნახე, ზიანის მომტან გზაზე
ხომ არ ვდგავარ და მარადიულ გზაზე წამიძეხი.“ ფსალმუნი 138:23-24

33.აიღე ჯვარი და გაყევი იესოს

გამოითვალე იესოს მოწაფეობის საფასური

დისკუსიის დასაწყისი

გაგიგია ვინმეს ეთქვას „თუ შენ ცხოვრებას იესოს მიუძღვნი, ძალიან ადვილი და უპრობლემო ცხოვრება გექნება“? გჯერა ამის? აგვიხსენი.

მოდით ვნახოთ რას ამბობს იესო თუ რას ნიშნავს მისი მოწაფეობა.

წაიკითხეთ ლუკა 14:25-35

1. წარმოიდგინე, რომ დიდძალი ხალხი მიჰყვება იესოს. ყველა მასწავლებელს გაუხარდებოდა ამდენი მიმდევრის დანახვა, მაგრამ იესო მათ გამხნევებას არ ცდილობს (მუხლ 26-27), რას ეუბნება მათ იესო?
   ფიქრობ, რომ იცოდა იესომ ის ფაქტი, რომ ზოგიერთი მას მიყვებოდა რათა მისგან გამორჩენა მიეღო? ახსენი

2. 26 მუხლში წერია **„დედის და მამის მოძულება“**..რა თქმა უნდა უფალს არ სურს რომ მშობლები გვძულდეს. იესო სხვა ადგილას ამბობს, რომ ჩვენ პატივი უნდა ვცეთ მშობლებს, როგორც ეს მოსემ გვასწავლა. იესო ასევე ამბობს, რომ ყველა უნდა გვიყვარდეს. რას ფიქრობ, რას გულისხმობს იესო ‘**მოძულებაში**’?

3. შეამჩნიეთ, რომ აქ ყველა სახის ურთიერთობებია ჩამოთვლილი? ეს არის ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი ურთიერთობები. რატომ უნდა იყოს იესო მათზე წინ ჩვენს ურთიერთობებში?
4. გქონია თუ არა შემთხვევა, როცა უფალს მთელი გულით ვერ ემსახურე იმის შიშით თუ რას იტყოდა ამაზე შენი ოჯახის წევრი? ანდა იქნებ ეს მათთან დაშორების საფრთხეს გიქმნის? რას გეტყოდა იესო ამ შემთხვევაში?
5. 27-ე მუხლში საუბარია ‘ჯვრის ტარება’-ზე, რომელიც იესოს დროს საკმაოდ საშიში იყო. ეს სიკვდილზე წასვლას ნიშნავდა. იესო მის მიმდევრებს ეუბნება, რომ მისი გაყოლა სიკვდილზე წასვლას ნიშნავდა.
   რას იფიქრებდნენ პირველი საუკუნის ქრისტეს მიმდევრები, როცა ამას მოისმენდნენ? შენ თვითონ რას ფიქრობ ახლა?

6. 26-ე მუხლის ბოლოს რა წერია, რა უნდა გვძულდეს ანდა უმნიშვნელოდ ჩავთვალოთ იესოს სიყვარულთან შედარებით? რას ნიშნავს ეს შენთვის? გაიხსენე წამებულნი, რომლებმაც საუკუნეების მანძილზე თავი გაიღეს იესოს სახელის გულისთვის. იესოს მოწაფეობის რამდენად კარგი მაგალითები არიან ისინი ჩვენთვის?
7. **წაიკითხე მათე 16:24-26**. რამდენად ჰგავს ერთმანეთს **„თავის უარყოფა“** და **„საკუთარი სულის სიძულვილი“**?
8. რას ამბობს იესო მასზე, ვინც საკუთარი თვის გადარჩენას ეცდება? რა დაემართება მას ვინც იესოს სახელის გულისთვის დაკარგავს საკუთარ სიცოცხლეს? რომელი უფრო ბრძნულია?
9. დაუბრუნდით ლუკას 14:28-35. იესოს ორი ადამიანის მაგალითი მოაქვს, რომლებიც გადაწყვეტილების მიღებამდე ანგარიშობენ ხარჯს. ვინები არიან ისინი?

   თუ ჩვენ გვსურს, რომ იესოს გავყვეთ, რამდენად შეგვიძლია მათ მივბაძოთ ამ გადაწყვეტილებისას?
10. 33-ე მუხლის მიხედვით რა ჯდება იესოს გაყოლა?

    მზად ხარ ამ საფასურის გადასახდელად?
11. ყველა წამებული არ იქნება იესოს სახელის გულისთვის, მაგრამ ყველამ უნდა ვატაროთ მისი ჯვარი. ჩვენ უნდა დავკარგოთ საკუთარი სიცოცხლე ქრისტეს გულისთვის. რას ფიქრობ, რას ნიშნავს ეს უმეტესობა ჩვენგანისთვის?

    ილოცე, რომ უფალმა გაჩვენოს თუ რამე გეჭიდება უკან. გადაეცი იგი უფალს. იპოვე სიახრული და ჭეშმარიტი სიცოცხლე მის მოწაფეობაში.

34.თაყვანი ეცი მამას სულით და ჭეშმარიტებით

დისკუსიის დასაწყისი

გაიხსენე როცა თაყვანისცემის დროს (მსახურებისას თუ ცალკე) უფლის თანდასწრება იგრძენი. გაგვიზიარე ეს გამოცდილება ან გვითხარი რა სახით სცემ უფალს თაყვანს.

წაიკითხე იოანე 4:1-26

1. წაიკითხე 7-12 მუხლები. ქალს უკვირს ებრაელი როგორ სთხოვს სამარიელ წყალს, იესო მას ძალიან საინტერესო რამეს ეუბნება? რას ამბობს იგი? (მუხლ 10)
2. შემდეგ უხსნის რას გულისხმობდა თავის ნათქვამში. ყურადღებით ჩახედე 13-14 მუხლებს. რისი თქმა უნდოდა ამით იესოს?
   როგორ გაიგო სამარიელმა ქალმა იესოს ნათქვამი? (მუხლ 15)
3. სამარიელი ქალის პასუხის მსგავსად, ჩვენ იესოს მივყვებით მხოლოდ იმიტომ, რომ შევიმსუბუქოთ ყოფა? ამ მიდგომით რამდენად ვკარგავთ იმ სულიერ ცხოვრებას, რომელიც იესოს სურს, რომ მოგვცეს?
4. 16-18 მუხლებში იესო ქალს აჩვენებს, რომ მას უფრო მეტი საჭიროება აქვს ვიდრე წყლის ზიდვა. რა არის იგი?
5. როდესაც იესო ნათელს ფენს ქალის დაფარულ ცხოვრებას, ქალს უჩნდება სურვილი, რომ საკუთარ ცოდვილ ცხოვრებაზე ისაუბროს? (მუხლ 19-20). როცა იგი საუბრის თემას ცვლის, რაზე ამახვილებს ყურადღებას?
   ყურადღებით წაიკითხე მე-20 მუხლი. რას ფიქრობს ქალი, რა არის მნიშვნელოვანი თაყვანისცემისას?
6. იესოს პასუხი როგორ უსვამს ხაზს ქალის არასწორ შეხედულებებს? (მუხლ 21)
7. იესო უხსნის, რომ სამარიელებმა არ იციან რას სცემენ თაყვანს (მუხლ 22). უცოდინრობის გამო ადამიანები როგორ სცემენ თაყვანს უფალს? როგორ ცდილობენ იპოვონ უფალი რიტუალებით?
8. იესო უხსნის, რომ ებრაელები განსხვავებულად სცემენ თაყვანს (მუხლ 22). ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რომ იესო ეუბნება რომ ხსნა

„იუდეველთაგანაა“. ის არ ამბობს, რომ ხსნა იუდეველებისთვისაა (მუხლ 22). რატომ არის ეს ფაქტი მნიშვნელოვანი? (-სგან და არა -თვის)

9. 23-24 მუხლებში იესო ამბობს, რომ **ახალი ჟამი** დგება და ის **უკვე** აქ არის - როცა იარსებებენ ჭეშმარიტი თაყვანისმცემლები. როგორ აღწერს იესო ჭეშმარიტ თაყვანისმცემლებს? (მუხლს 24)

სამარიელი ქალი ფიქრობს, რომ შესაძლოა არასწორ ადგილას სცემს თაყვანს უფალს (იქნებ მთაზე უნდა ავიდეს თაყვანის საცემად? თუ მხოლოდ იერუსალიმშია თაყვანისცემის ადგილი, როგორც ამას ებრაელები ამბობენ?), იესომ 21-ე მუხლში უთხრა **„მერწმუნე, დგება ჟამი, როცა არც ამ მთაზე და არც იერუსალიმში თაყვანს აღარ სცემთ მამას.“** შემდეგ უხსნის, რომ მამა მხოლოდ ჭეშამრიტ თაყვანისმცემლებს ეძებს, რომლებიც სულით და ჭეშმარიტებით სცემენ თაყვანს.

10. ამ ქალის მსგავსად ჩვენც ხშირად გვგონია, რომ უფლისთვის გეოგრაფიული მდებარეობა ყველაზე მნიშვნელოვანია თაყვანის საცემად. ამ დამოკიდებულებამ როგორ შეუძლია შეგვიშალოს ხელი სულით და ჭეშმარიტებით თაყვანისცემაში?

11. რას ნიშნავს სულით და ჭეშმარიტებით თაყვანისცემა? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორია თაყვანისცემა რომელიც ღმერთს მოსწონს? ჩაუღრმავდით და ისაუბრეთ ამ მნიშვნელოვან კითხვაზე.
12. იფიქრე შენ როგორ განადიდებ უფალს პირადად. შეგიძლია თქვა, რომ ჭეშმარიტი თაყვანისმცემელი ხარ? თუ სამარიელი ქალივით დარწმუნებული არ ხარ რას ნიშნავს ჭეშმარიტი თაყვანისცემა?

ეკლესიაში ან შეხვედრებზე „თაყვანისცემისთვის“ დროს ჩვენ ვგალობთ ერთად, ვლოცულობთ და ვკითხულობთ საკითხავებს. ზოგს ურჩევნია პატარა ჯგუფებში თაყვანისცემა, ზოგს კი-დიდ შეხვედრებზე.
რათქმაუნდა არაჩვეულებრივია სხვა მორწმუნეებთან ერთად განვადიდოთ ღმერთი, მაგრამ მოდით ვიფიქროთ რას ეუბნება იესო სამარიელ ქალს: „ღმერთი არის სული და მისი თაყვანისმცემლები თაყვანს უნდა სცემდნენ სულითა და ჭეშმარიტებით. შეხვედრაზე ადამიანების რაოდენობა და ლამაზი საგალობლები უფლისთვის იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, როგორც გულწრფელად მიძღვნილი ჩვენი გულები. ყველაზე მნიშვნელოვანია გვახსოვდეს თუ ვინ არის ღმერთი და ჩვენი მხსნელი იესო ქრისტე.

13. რომაელთა მიმართ წერილი პავლემ დაწერა იესოს ამაღლებიდან 35-40 წლის შემდეგ. **წაიკითხეთ რომაელთა 12:1**.რას ამბობს პავლე თაყვანისცემის შესახებ? არაჩვეულებრივი და ხალხმრავალი თაყვანისცემა შესაძლოა რომ არ იყოს მოსაწონი უფლისთვის, რადგან ჩვენი ცხოვრება გულწრფელად არ მივუძღვენით მას?
    რა უნდა შეცვალო, რომ უკეთ განადიდო უფალი მარტომ ან სხვებთან ერთად?
14. შეხვედრა დაასრულეთ თაყვანისცემით. მადლობა გადაუხადეთ იმისთვის, რომ გვასწავლის როგორ განვადიდოთ იგი ჭეშმარიტად. სთხოვე დაგეხმაროთ ჭეშმარიტ თაყვანისმცემლად გახდომაში.

35.დაიცავი და პატივი ეცი ქორწინებას

ასევე პატივი ეცით მათ ვინც აირჩია მარტოხელობა

დისკუსიის დასაწყისი:

ერთ-ერთ მცნებათაგანი, რომელიც უფალმა მოსეს მისცა, არის „არ იმრუში“. როგორ აზიანებს მრუშობა ოჯახებს, შვილებს და საზოგადოებას?

წაიკითხეთ მათე 19:1-12

1. ფარისევლები მოსეს რჯულის ექსპერტები იყვნენ. ამ ისტორიაში მათ გადაწყვიტეს იესოსთვის ჩაეტარებინათ გამოცდა, ანუ სურდათ რომ ხაფანგში გაებათ იგი. იქნებ რამეში ჩაჭრილიყო. რას ეკითხებიან ისინი იესოს? (მუხლ 3)
2. გიფიქრიათ როდისმე საიდან მოდის ქორწინება? მოდით გავიგოთ ქორწინების საფუძვლები:

ქორწინება: მშვენიერი და წმინდა საჩუქარი უფლისგან

წაიკითხეთ 4-6 მუხლები. იესო ციტირებს ძველი აღთქმის პირველივე მუხლებიდან. უფალმა შექმნა მშვენიერი სამყარო, მან შექმნა ყველანაირი მცენარეები და ცხოველები, ბოლოს მან შექმნა მამაკაცი და დედაკაცი და თქვა რომ ეს ყველაფერი მშვენიერი იყო.

იესო მათ ახსენებს, რომ უფლის ჩანაფიქრი იყო დედაკაცად და მამაკაცად შეექმნა ადამიანი. მან შექმნა ორი სქესი (მუხლ 4) და ქორწილი (მუხლ 5).

საქორწინო ცერემონიები განსხვავდება კულტურების მიხედვით. ზოგი ძალიან ძვირია, ზოგი ძალიან უბრალო. ზოგი მათგანი ჩვენთვის უცხოა. ცერემონიების განსხვავებულობის მიუხედავად, მამაკაცისა და ქალის კავშირი ქორწინით არის ულამაზესი საჩუქარი უფლისგან. თუ რამე უფლის მიერ არის შექმნილი, ის პატივდებული უნდა იყოს ადამიანებისგან. ის უნდა ითვლებოდეს წმინდად, ღირებულად და იყოს დაცული.

3. ვინ აკავშირებს (აუღლებს) წყვილს? (მუხლ 6)

   რას ნიშნავს **„კაცი ნუ დააშორებს მათ“**?

4. ფარისევლები მიხვდნენ იესო გაყრის წინააღმდეგი იყო. ამიტომ სხვა შეკითხვა დაუსვეს (მუხლ 7). რას ეკითხებიან იესოს ახლა?

   როგორ პასუხობს იესო? (მუხლ 8)

5. რატომ მისცა მოსემ გაყრის უფლება, რას ამბობს იესო? გულქვაობა მოსაწონია უფლისთვის? 4-6 და 8-ე მუხლებიდან გამომდინარე რა სურს უფალს ქორწინებაში მყოფთათვის?
6. რას ამბობს იესო მე-9 მუხლში? რატომ ამბობს ამას?
7. ფიქრობ რომ ქორწინება უფლის საჩუქარია? გჯერა რომ ქორწინების აღთქმა სერიოზულია და ის მარტივად არ უნდა დაინგრეს?
8. როგორ პასუხობენ მოწაფეები იესოს გამოწვევას? (მუხლ 10)

მოწაფეები მიხვდნენ, რომ ქორწინება სერიოზულ აღთქმაში შესვლას ნიშნავდა, ამიტომ ისინი იესოს სწავლებას გაოცებულები შეხვდნენ. შესაძლოა ისინი ბევრ დაოჯახებულ წყვილს იცნობდნენ, რომლებიც ღალატობდნენ ერთმანეთს. შესაძლოა ისინი საკუთარი მშობლების ჩხუბს და ეგოიზმს უყურებდნე ან იცოდნენ დანგრეული ოჯახების შესახებ. ამიტომ უცბად გამოსავალი ნახეს იმაში, რომ ამას ჯობდა არც კი მოეყვანათ ცოლი რათა არ დაერღვიათ უფლის მცნება. თუმცა უნდა გვახსოვდეს იესოს სწავლება რამოდენიმე მუხლით ზევით. უფალმა მამაკაცად და დედაკაცად შეგვქმნა ჩვენ. მან აკურთხა ქორწილი. მას სურს რომ ჩვენ ვისწავლოთ მისი დაცვა. ჩვენ ვიცით, რომ ქორწინებას არღვევს ცოდვით სავსე ჩვევები და ქმედებები. მაგრამ როცა უანგარო სიყვარულია ქორწინებაში, მაშინ ის მშვენიერია. შვილები იქნებიან კურთხეულნი და საზოგადოება იქნება კურთხეული, ჯანსაღი წმინდა ქორწინების გამო.

9. როგორ პასუხობს მათ იესო მე-11 და მე-12 მუხლში? რას გულისხმობს იესო მე-11 მუხლში?

   იესო იმის ემხრობა, რომ ყველა დასაოჯახებელი იყოს?

10. მე-12 მუხლში იესო ამბობს, რომ ზოგმა მარტოხელობა აირჩია ცათა სასუფევლსითვის? რას გულისხმობს?

11. ხანდახან მამაკაცი ან ქალი ირჩევს მარტოხელობას, რადგან სურს მთელი გულით ემსახუროს უფალს. ხანდახან ისინი არ ქორწინდებიან, ვიდრე ღვთისმოსავ ადამიანს არ შეხვდებიან. ასეთ შემთხვევაში უნდა განვსაჯოთ ან დავაძალოთ მათ? როგორ შეიძლება მათი გამხნევება?

12. მოდით გამოვიყენოთ ეს უძველესი ჭეშმარიტება და ჯგუფში ვისაუბროთ ქვემოთ დასმულ კითხვებზე:
სატანა განუწყვეტლივ ცდილობს დაანგრიოს ოჯახები. ლოცულობ ოჯახების სიმტკიცისთვის შენს თემში?

ვამხნევებთ თუ არა დასაოჯახებლებს, რომ ოჯახი შექმნან მათთან ვინც საკუთარი თავი უფალს მიუძღვნა?

როგორ გავამხნევოთ ერთმანეთი ისე, რომ პატივი ვცეთ და გავაძლიეროთ ქორწინება?

იფიქრე რა რეპლიკა, კომენტარი ან 'ხუმრობა' შეიძლება ავიწროებდეს მარტოხელა ადამიანს შენს თემში? საზოგადოებაში? როგორ შეიძლება გამოხატოთ თანადგომა?

მადლობა გადაუხადეთ უფალს ქორწინებისთვის, რომელიც ღვთის საჩუქარია. ასევე მადლობა გადაუხადეთ მისი ერთგულებისთვის და წინამძღოლობისთვის მარტოხელების ცხოვრებაში.

36.უფლის სიტყვით დაძლიო ცდუნება

დისკუსიის დაწყება

რამდენად მნიშვნელოვანია ბიბლიის მუხლების დამახსოვრება? რატომ ფიქრობ ასე?

წაიკითხე მათე 4:1-11

1. გადაიკითხე 1-2 მუხლები. წარმოიდგინე იქაურობა. სად არის იესო? რას აკეთებს იქ? რამდენი ხანია?
   მე-2 მუხლის ბოლო ნაწილი რას ამბობს, თავს როგორ გრძნობდა? შენ როგორ იგრძნობდი თავს მის ადგილას?

2. ვინ არის '**მაცდური**' მე-3 მუხლში? რას ეუბნება იესოს? როგორ ცდილობს ეჭვი შეატანინოს იესოს მის ვინაობაში? (ყურადღება გაამახვიელთ სიტყვა **„თუ"**-ზე). სატანა ჩვენთან მოდის მაშინ როცა სუსტად ვართ და ცდილობს განსაკუთრებით მაშინ გვაცდუნოს როცა დაუცველნი ვართ. რა მხრივ იყო იესო დაუცველი ამ დროს?
3. მე-4 მუხლში როგორ პასუხობს იესო სატანას? რას იყენებს პასუხის გასაცემად? რა არის პურზე მნიშვნელოვანი იესოს სიტყვებიდან გამომდინარე?
   შენიშვნა: იესოს შეეძლო ქვები პურებად გადაექცია, მაგრამ ის ეშმაკისგან არ იღებს მითითებებს. ის მხოლოდ უფალს უსმენს.

4. მეორე ცდუნებაზე წაიკითხეთ 5-7 მუხლებში. სად წაიყვანა ეშმაკმა იესო? რისი გაკეთება ურჩია? (ყურადღება გაამახვიელთ, რომ მან კიდევ გამოიყენა სიტყვა **„თუ"**).
5. აქ ეშმაკიც ციტირებს წმინდა წერილიდან. **წაიკითხეთ ფსალმუნი 90:9-12** კონტექსტით. მეფსალმუნე იმას გვთავაზობს, რომ საფრთხეში შეგნებულად უნდა ჩავიგდოთ თავი რათა ვნახოთ უფლის სასწაულები?
6. როგორ პასუხობს იესო მე-7 მუხლში. საიდან ციტირებს? როგორ უსვამს ეს ხაზს იმას, რომ ეშმაკი არასწორად იყენებს უფლის სიტყვას?
7. რას სთავაზობს ეშმაკი იესოს 8-9 მუხლებში? რა უნდა გააკეთოს იესომ ამის მისაღებად?

8. წამითაც თუ ფიქრობს იესო, რომ მიიღოს ეშმაკის შეთავაზება? როგორ პასუხობს? (მუხლ 10) რატომ არის ეს პასუხი განსაკუთრებით ძლიერი?
9. როცა ეშმაკი მიხვდა, რომ იესო მას არ უსმენდა, როგორ მოიქცა? (მუხლ 11)
10. **წაიკითხეთ ებრაელთა 4:15-16.** რატომ შეუძლია იესოს თანაგრძნობა ჩვენს უძლურებაში? რას გვთავაზობს ის, როცა მასთან დახმარების სათხოვნად მივდივართ? (მუხლ 16)
11. როცა ცდუნებაში ვცვივდებით, როგორ გვამხნევებს ეს ადგილია?
12. მათეს მე-4 თავში აღწერილ სამივე ცდუნების დროს, საიდან ციტირებს იესო? რა ავტორიტეტს ეყრდნობა?
13. **წაიკითხეთ ებრაელთა 4:12 და ეფესელთა 6:17**. რა არის ყველაზე ძლიერი იარაღია მტრის წინააღმდეგ?
14. იესო სატანას **„ცრუს და სიცრუის მამას“** ეძახის (იოანე 8:44). ის ცდილობს მოგვატყუოს იმისთვის რომ ცოდვაში ჩაგვაგდოს. თუ ჭეშმარიტება გვეცოდინება, ადვილად ვერ მოგვატყუებს. იესოს დროს მხოლოდ ძველი აღთქმა იცოდა ხალხმა. მიუხედავად ამისა იესომ ისე კარგად იცოდა იგი, რომ შეეძლო მაშინვე გამოეყენებინა მისი ჭეშმარიტება, როგორც მახვილი მტრის წინააღმდეგ. რამდენად კარგად იცი წმინდა წერილის ჭეშმარიტება? ყოველდღიურად კითხულობ და ფიქრობ მასზე? იზეპირებ საკვანძო მუხლებს-განსაკუთრებით მათ, რომელიც დაგვიცავს ცდუნებიგან? პირობას დებ, რომ დღეიდან უფრო მეტად შეისწავლი და ჩაუღრმავდები ღვთის სიტყვას? მაშინ შეძლებ მყარად დაუპირისპირდე ცდუნებას.

გთავაზობთ ამ მუხლს დასაზეპირებლად: „არ შეგმთხვევიათ განსაცდელი, გარდა ადამიანურისა; ხოლო, ერთგულია ღმერთი, რომელიც არ დაუშვებს, რომ თქვენს შესაძლებლობაზე მეტად გამოიცადოთ, არამედ განსაცდელთან ერთად გამოსავალსაც გაგიჩენთ, რომ გადატანა შეძლოთ.“ 1 კორინთელთა 10:13

37.ცოდვის დაძლევაში სიყვარულით დაეხმარეთ ერთმანეთს

დისკუსიის დასაწყისი

როგორ ანგრევს ჭორაობა მორწმუნეებს შორის ურთიერთობებს?

ჭორაობით შესაძლებელია მათი დახმარება ვინც შეცოდა?

წაიკითხეთ მათე 18:15-17

1. პირველ რიგში როგორ უნდა მოვიქცეთ თუ ვინმე შესცოდავს ჩვენს წინაშე? (მუხლ 15)

   რატომ უნდა დატოვოთ ეს პრობლემა მხოლოდ თქვენს შორის?
2. **წაიკითხე გალატელთა 6:1-2**. რას უნდა ვეცადოთ? (მუხლ 1)
3. როგორ უნდა მოვექცეთ ცოდვაში ჩავარდნილს? თავმდაბლობა (სიკეთის და მადლის ჩვენება) როგორ ეხმარება ცოდვილს თვითონაც დაიმდაბლოს თავი და ზურგი აქციოს ცოდვას?

   თუ საკუთარ სამართლიანობაზე მაღალი წარმოდგენით (თვითკმაყოფილი) მიხვალ მასთან, რას შეუშლის ხელს?
4. პირველ მუხლში ნათქვამია, რომ ჩვენც **ფხიზლად** უნდა ვიყოთ, როცა ვინმეს დასახმარებლად მივდივართ, რატომ? **(ნახე 1 კორინთელთა 10:12)**
5. დაუბრუნდი მათეს 18:15. თუ ყურს დაგიგდებს, მაშინ რა ხდება?
   თუ მორწმუნეები იესოს ამ მითითებებს მიჰყვებიან, რამდენად ნაკლებად გადაიქცევიან პატარა პრობლემები დიდ პრობლემებად?
6. თუ და ან ძმა არ მოგისმენს, მაშინ როგორ უნდა მოიქცე? (მუხლ 16)
   რატომ არის მნიშვნელოვანი რომ მხოლოდ ერთი ან ორი წაიყვანო მოწმედ? (რას ამბობს მე-16 მუხლის ბოლო ნაწილი)
7. თუ არც ახლა მოგისმენთ, მაშინ როგორ უნდა მოიქცე? რატომ ჯობია რომ ეკლესიის წინაშე თქვა?
8. რითი განსხვავდება ჭორაობა მსგავსი მიდგომისგან?

შენიშვნა: თუ მორწმუნე აღიარებს დასაწყისშივე, მაშინ საჭირო აღარ არის სხვებმაც გაიგონ ამის შესახებ, მაგრამ თუ უარს იტყვის მონანიებაზე, მაშინ ჯობია მთელმა ეკლესიამ იცოდეს ჭეშმარიტება. ასეთ შემთხვევაში მას აღარ დასჭირდება თვალთმაქცურად მოიქცეს და მოატყუოს ყველა.

9. თუ ეკლესიასაც არ მოუსმენს, მაშინ როგორ იქცევა ეკლესია, რად მიიჩნევს მას? იფიქრე რას ნიშნავს ეს. ჩვენ, მორწმუნეები, როგორ უნდა მოვექცეთ წარმართებს? თუ იგი მორწმუნეთა ერთობის მიღმა დარჩა, საჭიროა მისი დაბრუნება იესოსთან. ჩვენ უნდა ვილოცოთ მისთვის, ისევე როგორც ვლოცულობთ ჩვენი ურწმუნო ოჯახის წევრებსითვის და მეგობრებისთვის და ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ მან განაახლოს თავისი ურთიერთობა ღმერთთან.
10. დაფიქრდი საკუთარ თავზე. როცა მორწმუნე და ან ძმა სცოდავს შენს წინააღმდეგ, შენ როგორ იქცევი? მიდიხარ და ამხელ პირისპირ? თუ ჯერ სხვებთან მიდიხარ ამაზე სალაპარაკოდ?
    შენი უდიდესი სურვილია, რომ მან განაახლოს სწორი ურთიერთობა უფალთან და სხვებთან თუ გირჩევნია, რომ დამცირებული იხილო სხვების თვალში? ამჩნევ რომ შენც ცოდვილი ხარ და გჭირდება უფლის მადლი და პატიება?

    თუ აქამდე შენს წინაშე შემცოდე ადამიანთან პირისპირ ლაპარაკს არჩევდი მასზე ჭორაობას, სთხოვე ღმერთს პატიება რომ ასცდი მის გზას. პირობა დადე შენს გულში, რომ მომავალში უფლის მოსაწონი გზით ივლი.

38.ანათებდეს თქვენი ნათელი ადამიანთა წინაშე

დისკუსიის დასაწყისი

როგორ ადამიანს მიიჩნევენ ცოდვილად უმეტესწილად?

წაიკითხეთ მათე 5:13-37

1. 13-16 მუხლებში იესო თავის მოწაფეებს ეუბნება, რომ ისინი ამ სოფლის მარილი და ნათელნი არიან. დღევანდელ დღეს რას ნიშნავს „ანათებდეს თქვენი ნათელი“?
2. წაიკითხე 17-20 მუხლები
   იესოს სურს, რომ მისმა მოწაფეებმა პატივი სცენ ძველი აღთქმის კანონებს? ჯგუფში ერთად **წაიკითხეთ „ათი მცნება“ (გამოსვლა 20:1-21).** ეს არის ცენტრალური მორალური კანონი, რომელიც ღმერთმა ხალხს მოსე წინასწარმეტყველის საშუალებით მისცა. ჩახედვის გარეშე თქვით ვის შეუძლია ზეპირად ჩამოთვალოს მცნებები?

   განადიდებ უფალს ამ მცნებების დაცვით და ასევე სხვების სწავლით?
3. დაუბრუნდით მათე 5:20. ფარისევლები კანონს მოჩვენებითად იცავდნენ. იესო აჩვენებს მათ, რომ მათი მოჩვენებითი რელიგიურობა არ არის მოსაწონი ღმერთისთვის. მომდევნო მუხლები გვასწავლის თუ რეალურად რას ნიშნავს დაიცვა უფლის მცნებები მთელი გულით.
4. როდისმე უტკენინებია ვინმეს გული თქვენთვის სიტყვით? შენ თუ გიტკენია ვინმესთვის გული შენი სიტყვით? (მუხლ 21-22)
5. იესო განრისხებისას ნათქვამ სიტყვას მკვლელობის ტოლფასად მიიჩნევს. როგორ შეიძლება რომ ჩვენი სიტყვა იყოს ის ბოროტი ძალა, რომელაც შეუძლია ადმაინის მოკვლა?
6. 23-26 მუხლებში იესო გვეუბნება, რომ შევურიგდეთ მას ვისაც ვატკინეთ. მოდით კიდევ გადავხედოთ ამ მუხლებს.
   არის ხალხი, ვისაც ატკინე გული შენი სიტყვებით? დაემოჩილები იესოს და მათ შესარიგებლად გადადგავ ნაბიჯს?
7. 27-28 მუხლების ეს პრინციპები მარტო კაცებზე ვრცელდება თუ ქალებზეც?

7. წაიკითხე 29-30 მუხლები. საუკუნეების მანძილზე ქრისტიანები სერიოზულად უდგებოდნენ ამ მუხლს და ბევრი მათგანი იჭრიდა სხეულის რომელიმე ნაწილს. ძალიან მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ იესო სიტყვასიტყვით არ გულისხმობდა სხეულის რომელიმე ნაწილის მოჭრას, არამედ გვასწავლიდა რომ საჭიროა რადიკალური მორალური სტანდარტების დაცვა და გადაწყვეტილებების მიღება, რათა არ ჩავცვივდეთ ცოდვაში. უნდა გვესმოდეს რამდენად ძლიერია ჩვენში ცოდვის ჩადენის სურვილი და ჩვენ ყველა შესაძლებლობები უნდა მოვუჭრათ ცოდვას სანამ ის დაგვამარცხებს.
   სად უნდა მოუჭრა ცოდვას შენს ცხოვრებაში შემოსვლის შესაძლებლობა, რათა შეძლო გულწრფელად ემსახურო ღმერთს? დააკვირდი შენს სიტყვებს, რას საუბრობ. ასევე დააკვირდი რას უყურებენ შენი თვალები ტელევიზიით თუ ინტერნეტით. ასევე დააკვირდი ხელებს (რას აკეთებენ ისინი) და ფეხებს (სად მიჰყევხარ მათ) და ა.შ.

   (**შენიშვნა:** 31-32 მუხლებს გადავახტებით, რადგან გაყრაზე სხვა გაკვეთილში ვსაუბრობთ)

8. საუკუნეების მანძილზე უამრავი ადამიანი დებს ფიცს. რატომ? (მუხლ 33-37) მოსე გვასწავლის, რომ უნდა შეასრულო ფიცი, მაგრამ რას გვასწავლის იესო? (მუხლ 34)
9. რამ უნდა შეცვალოს ჩვენი ფიცი? (მუხლ 37). რატომ უნდა იყოს საკმარისი ჩვენი 'დიახ' ან 'არა' ადამიანებისთვის?
   როცა ამბობ, რომ რამეს გააკეთებ, ხალხი ენდობა შენს ნათქვამს?
10. გადახედე ნასწავლს. რას გვასწავლის იესო მკვლელობაზე? შერიგებაზე? მრუშობაზე? ფიცზე?
11. ჩაიხედე შენს გულში. რა უნდა შეცვალო რათა ამ ქვეყნის მარილი და ნათელი იყო? მადლობა იესოს, რომ ის მოკვდა და აღდგა და მოგვცა ძალა რომ შევიცვალოთ შინაგანად. ილოცე და სთხოვე დახმარება რომ მთელი გულით იცხოვრო მისთვის.

ამიტომ ფხიზლად იყავით, რადგან
არ იცით, რომელ დღეს მოვა
თქვენი უფალი.

მათე 24:42

ინაყოფიერე და იყავი მზად მისი მოსვლისთვის

„ამით განდიდდება მამაჩემი, თუ ბევრ ნაყოფს გამოიღებთ
და იქნებით ჩემი მოწაფენი“ იოანე 15:8

„ვინ არის ერთგული და გონიერი მონა, რომელიც თავის სახლეულზე დააყენა მისმა ბატონმა, რომ დროულად აძლევდეს მათ საზრდოს? ნეტარია მონა, რომლის ბატონიც მოვა და ამგვარად მოქმედს ჰპოვებს მას.ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ მთელ თავის საბადებელზე დააყენებს მას.“ მათე 24:45-47

იცი რომ იესომ შენ საქმე მოგანდო? სამწუხაროდ ბევრია ისეთი, რომლებსაც ქრისტიანობა მხოლოდ სამოთხეში მოსახვედრად უნდათ. ბედნიერები არიან დახსნისთვის, მაგრამ უფალთა-უფალის მსახურებით მიღებულ სირთულეებზე უარს ამბობენ.

დიახ, რთულია, თუმცა ჯილდოს გარეშე არ ვრჩებით. იესომ პატივი გვცა და მსახურებაში მოგვიწოდა. მსახურების დროს ხანდახან ვხედავთ ნაყოფს. მაგრამ უმეტეს მათგანს მხოლოდ იესოს დაბრუნების შემდეგ ვნახავთ. რა ძლიერი იქნება ჩვენი სიხარული იმ დღეს!

მანამდე კი, ვემსახუროთ უფალს მიძღვნილი გულით. ის შეგვპირდა რომ დაბრუნდება. იგი ყოველთვის რჩება თავისი სიტყვის ერთგული.

მომდევნო გაკვეთილების მანძილზე მზად იყავი, რომ გაიგო როგორ ემასახურო მას განსხვავეულად ამ ბნელ სამყაროში. დარჩი უფალში ყოველდღე. მისი სინათლე და სიყვარული მიუტანე მათ ვისაც ასე ძალიან სჭირდება იგი. დაე სრულყოფილი იყოს შენი სიხარული!

39.დარჩი იესოში და მოისხი ნაყოფი

დისკუსიის დასაწყისი

შენი აზრით რას ნიშნავს ქრისტიანისთვის '**კეთილი ნაყოფის გამოღება**'?. „ნაყოფის" რა მაგალითები შეგიძლია ჩამოთვალი, რომელიც ქრისტიანმა უნდა გამოიღოს?

წაიკითხე იოანე 15:1-8

1. ვინ არის ვაზი ჭეშმარიტი? ვინ არის მიწისმუშაკი? ვინ არიან ლერწები? (მუხლ 1) რა ავალია მიწისმუშაკს?
2. წარმოიდგინე ვაზი თავისი ლერწებით. საიდან იღებენ ლერწები საკვებს? რას გეუბნება ეს იესოსთან შენს ურთიერთობებზე?
   თუ ლერწი არ გამოიღებს ნაყოფს, მას რა ემართება? (მუხლ 2) და თუ გამოიღებს ნაყოფს, მაშინ რა ემართება?

   როდესაც ვაზს ან ხეს სხლავენ, მოძველებულ და მშრალ ლერწებს აჭრიან იმიტომ, რომ ახალი ლერწები გაძლიერდნენ და ნაყოფი გამოიღონ. რას ნიშნავს ვაზის სხვლა ჩვენს ყოველდღიურობაში? როგორ გვეხმარება მშრალი ლერწების მოშორება ნაყოფიერების ზრდაში?

3. რას ნიშნავს ქრისტეში დარჩენა და იესოს ჩვენში დარჩენა (მუხლ 4-5)?
   რა მოლოდინი უნდა გვქონდეს ცხოვრებისგან თუ ჩვენ ქრისტეში დავრჩებით?
   რა მოლოდინი უნდა გვქონდეს ცხოვრებისგან თუ ჩვენ ქრისტეში <u>**არ**</u> დავრჩებით? შენთვის რას ნიშნავს 'ნაყოფის მოსხმა'? როგორ გსურს იხილო 'ნაყოფები' შენს ცხოვრებაში?

4. რას ამსგავსებს და რას ამბობს იესო მათზე ვინც მასზე არ დარჩება? (მუხლ 6)
5. რა პირობას დებს იესო მე-7 მუხლში? როგორ უნდა მოვიქცეთ ამ აღთქმის მისაღებად? რას ნიშნავს ეს შენი აზრით?
6. მე-8 მუხლის მიხედვით რა შედეგი აქვს ბევრი ნაყოფის გამოღებას? დაფიქრდი საკუთარ ცხოვრებაზე. გაქვს იესოსთან ახლო ურთიერთობა ყოველდღიურად? როგორც ვაზიდან - ლერწი, შენც თუ იღებ სიცოცხლის წყაროს იესოსგან?
   თუ ასეა, მაშინ შენ ორი სახის ნაყოფს ისხავ.

ა. მათგან ერთ-ერთი შენი სიცოცხლისთვისაა. **წაიკითხეთ გალატელთა 5:22-23.** ჩამოთვალე სულის ნაყოფები. ეს ნაყოფები ყოველდღიურად უნდა იზრდებოდეს ჩვენს ცხოვრებაში.

ბ. მეორე სახის ნაყოფი კი ვლინდება იმ ადამიანების ცხოვრებაში, რომლებიც ქრისტეს დაინახავენ შენს ცხოვრებაში, მოისმენენ მის შესახებ და მათგან ზოგიერთი მიიღებს გადაწყვეტილებას რომ ერწმუნოს უფალს.
ორივე სახის ნაყოფით განდიდდება ღმერთი.

წაიკითხეთ იოანე 19:9-17

7. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვიელთ 10-12 მუხლებზე. რა გვეხმარება იმაში, რომ დავრჩეთ ქრისტეში?
   სთხოვე უფალს გაჩვენოს ის სფეროები, რომელშიც არ ემორჩილები მას. რამე გიშლის ხელს „ნაყოფის გამოღებაში“? აღიარე ღმერთის წინაშე. დაემორჩილე მის მითითებებს.

8. რითი სურს იესოს რომ სავსე იყოს ჩვენი ცხოვრება?
   დააკვირდი საკუთარ ცხოვრებას. სავსეა იგი სიხარულით? კეთილ ნაყოფს ისხამს? თუ ასე არ არის, რა უნდა გამოასწორო? ილოცე ამ საკითხისთვის ახლა.

40.არ დამარხო, არამედ გამოიყენე ნიჭები

დისკუსიის დასაწყისი:

ფიქრობ, რომ უფალმა ყველა დაასაჩუქრა ნიჭებით (უნარებით)? შენი აზრით შენ რა უნარი გიბოძა?

წაიკითხე მათე 25:14-30

1. ამ იგავში მონებს მიანდეს ქონება. ვის ეკუთვნის ქონება?
   მე-15 მუხლში წერია, რომ თითოეულს მისი უნარის მიხედვით დაუტოვა. ფიქრობ რომ ბატონს ზოგისგან უფრო მეტის მოლოდინი ჰქონდა? რატომ ფიქრობ ასე?

2. ამ იგავში 'ტალანტი' ფულის ერთეულია და ერთი ტალანტი დაახლოებით 1000 დოლარის ექვივალენტია. დღეს 'ტალანტში' სხვადასხვა რამეს მოიაზრებენ. შენი აზრის რა არის იგი?
   ფიქრობ, რომ ტალანტი უნარებსაც აღნიშნავს და იმ ფინანსურ კურთხევასაც, რომელსაც უფალი გვაძლევს?

   წაიკითხეთ 16-17 მუხლები. თუ ტალანტი ნიჭებს და უნარებს აღნიშნავს, მაშინ როგორ შეგვიძლია ისინი მომგებიანად დავაბანდოთ უფლის სამეფოსთვის?

3. დიდი ხნის შემდეგ ბატონი დაბრუნდა და ანგარიშის ჩაბარება ითხოვა. რამდენი ტალანტი მოუტანა ხუთი ტალანტის მქონემ? (მუხლ 20)
   რა სიტყვებით აფასებს ბატონი მონას (მუხლ 21)? როგორ შეადარებთ მის ახალ დანიშნულებას (მდგომარეობას) ძველთან?

4. წაიკითხე 22-23 მუხლები. რამდენი ტალანტი დაუბრუნა მეორე მონამ? ყურადღება მიაქციეთ ბატონის რეაქციას 23-ე მუხლში. რითი გავს იგი იმ რეაქციას, რომელიც პირველ მონაზე ჰქონდა 21-ე მუხლში?

   რა უფრო მნიშვნელოვანი იყო ბატონისთვის, მოგებული თანხის რაოდენობა თუ ერთგული სამსახური?

   ბატონთან ურთიერთობის რა ეტაბზე ავიდნენ მონები (მუხლ 21 და 23)?

5. წაიკითხე 24-25 მუხლები. როგორ აღწერს მონა თავის ბატონს (მუხლ 24)? რატომ ჩამარხა მან თავისი ტალანტი?

თუ ვფიქრობთ, რომ უფალი უხეში და სასტიკია, მაშინ შიში გვამოძრავებს და გვაბრკოლებს ჩვენი უნარების გამოყენებისას?

ბიბლია გარკვევით ამბობს, რომ უფალს ვუყვარვართ და მასთან ურთიერთობის კარს გვიღებს იესოს სისხლის წყალობით. თუ მისი არ გვწამს, გავს თუ არა ჩვენი ურთიერთობა მესამე მონის დამოკიდებულებას? (**იხ. 1 იოანე 4:16-18**)

6. რა სიტყვებით აღწერს ბატონი მესამე მონას 26 და 30 მუხლში? შენი აზრით რატომ იყო სასჯელი ასეთი სასტიკი? (მუხლ 28-30)
7. ძნელად მისაღები იგავია. ბატონი მოწყალებას არ იჩენს იმ მონის მიმართ, რომელმაც იცოდა რას ელოდნენ მისგან, მაგრამ მაინც არ გააკეთა. ის შიშით ცხოვრობდა და არა რწმენით.

   დასაწყისშივე ვილაპარაკეთ ნიჭებზე და უნარებზე, რომელიც უფალმა მოგცვა. როგორ იყენებ მათ უფლის სამეფოსთვის?

   რამოდენიმე წუთით იფიქრე იმაზე თუ რის გაკეთებას ითხოვს უფალი შენგან. ჩამოწერე და შენთვის ადვილად მისაგნებ ადგილას შეინახე. ილოცე. სთხოვე პატიება უფალს, რომ ბოლო დროს ერთგული არ იყავი იმ ნიჭების გამოყენებაში, რომელიც უფალმა შენ განდო. სთხოვე დაგეხმაროს ტალანტების გამოყენებაში უფლის სახელის განსადიდებლად.

41.ემსახურე უფალს უქონელთა დახმარებით

დისკუსიის დასაწყისი

ფიქრობ რომ ღმერთს ადარდებს გაჭირვებული? ფიქრობ რომ ჩვენ გვაქვს უქონელთა დახმარების ვალდებულება? რატომ კი ან არა?

წაიკითხე მათე 25:31-46

1. იესო ყვება ჭეშმარიტების ამბავს. წაიკითხეთ მუხლ 31-32. სად ხდება მოქმედება? აღწერე მოქმედების ადგილი.
   ვინ არიან იქ (მუხლ 32)? რას აკეთებს ძე კაცისა (იესო) (მუხლ 31)?
2. ხელახლა გადაიკითხე 34-36 მუხლები. რას მიიღებენ იესოს მარჯვნივ მდგომნი (მუხლ 34)? რატომ?
   რა გააკეთეს მათ?
   ჩამოთვალე 35-35 მუხლებში იესოს მიერ დასახელებული საქმეები.
3. მარჯვნივ მდგომნი როგორ რეაგირებენ იესოს სიტყვებზე? შენი აზრით გაუკვირდათ? (მუხლ 37-39)
4. წაიკითხე რას პასუხობს იესო მათ მე-40 მუხლში. რას გულისხმობს შენი აზრით? როგორ ვემსახურებით იესოს გაჭირვებულთა დახმარებით?

დედა ტერეზა ცნობილი კათოლიკე მონაზონი იყო, რომელიც ეხმარებოდა ღარიბ და მომაკვდავ ხალხს ინდოეთის ქუჩებში. მან ინსპირირება სწორედ ამ იგავიდან მიიღო. იგი ამბობდა, რომ იესოს სახეს ხედავდა ყველა ადამიანში. როცა უპოვარს ეხმარები, ფიქრობ რომ ამით თვით იესოს ემსახურები?

5. იესო მიუბრუნდა მის მარცხნივ მყოფთ. რას ეუბნება მათ? რატომ დაისაჯნენ ისინი? (მუხლ 42-43)
6. როგორ შეადარებ 44-ე და 37-39 მუხლებს? როგორ პასუხობს მათ იესო? (მუხლ45)

გაითვალისწინე: თუ ჩვენ მხოლოდ ამ ადგილს წავიკითხავთ, ვიფიქრებთ რომ საუკუნო სიცოცხლეს ან სასჯელს მივიღებთ იქედან გამომდინარე თუ რამდენად ვზრუნავ უპოვარზე. თუმცა ბიბლიის სხვა მუხლები გვეხმარება უკეთ გავიგოთ თუ რას გულისხმობს იესოს ნათქვამი ცხვრების და თხების ისტორიის საშუალებით.

7. **წაიკითხეთ ეფესელთა 2:8-10**. რამოდენიმეჯერ გადაიკითხეთ ეს ადგილი. მე-8 მუხლი რას ამბობს ხსნაზე?
   ჩვენი საქმეებით გადავრჩებით? შეუძლია ვინმემ იამაყოს თავისი საქმეებით საუკუნო სიცოცხლის მისაღებად?
8. რწმენით ვართ დახსნილი და ახალი ქმნილებანი ვართ ქრისტე იესოში. რისთვის ვართ შექმნილი ახალ ქმნილებებად? (მუხლ 10) რას მოიცავს ეს კეთილი საქმეები შენი აზრით?
9. დაუბრუნდით მათე 25:40. როცა ხედავ ან გესმის ვინმეს გაჭირვების ამბავი შენთვის გაიფიქრებ ხოლმე **„როგორ შემიძლია ვიყო იესოს ხელები ამ ადამიანის მხარდასაჭერად?“** არავის შეუძლია ყველას დახმარება, თუმცა შეგვიძლია მათ დავეხმაროთ, ვისაც ღმერთი გამოაჩენს ჩვენი ცხოვრების გზაზე. იფიქრე იმ ხალხზე, ვისაც შესაძლოა ღმერთს სურს, რომ დაეხმარო. სთხოვე უფალს აავსოს შენი გული სიყვარულით მათ მიმართ. შემდეგ კი გაყევი მის მითითებებს.

42.მზად იყავით იესოს მეორედ მოსვლისთვის

ნაწილი 1. არ მოტყუვდეთ

დისკუსიის დასაწყისი:

ფიქრობ რომ დედამიწაზე სამუდამოდ იქნება სიცოცხლე თუ დასრულდება როდისმე?

წაიკითხე მათე 24:1-36

1. რა სურდათ მოწაფეებს რომ იესოს შეემჩნია ტაძრიდან გამოსვლის შემდეგ? (მუხლ 1) რას პასუხობს მათ იესო? (მუხლ 2)

მოწაფეები პირველ რიგში ეკითხებიან **„როდის მოხდება ეს?“**. ეს ტაძარი (ისტორიკოსები მას ჰეროდეს ტაძარს ეძახიან) დაინგრა 70 წელს, იესოს აღდგომიდან და ამაღლებიდან დაახლოებით 40 წელში. რომაელები შეიჭრნენ იერუსალიმში და მიწასთან გაასწორეს ეს ტაძარი. მოწაფეები ასევე ეკითხებიან „რა იქნება **შენი მოსვლის და საუკუნის აღსასრულის ნიშანი?**“ მათეს 24 თავის ეს წინასწარმეტყველება აერთიანებს ტაძრის დანგრევას და მის მეორედ მოსვლას.

2. იესო მომავალზე საუბარს გაფრთხილებით იწყებს მე-4 მუხლში. რას აფრთხილებს?
   მე-6 მუხლში იგი კიდევ ერთ გაფრთხილებას აძლევს: „ნუ შეძრწუნდებით“. წაიკითხეთ 6-8 მუხლები. როგორ შეიძლება რომ ჩვენ, მორწმუნეები უფრო გავძლიერდეთ და არ შევძრწუნდეთ, როცა მსგავს შემაძრწუნებელ ნიშნებს ვიხილავთ?
3. როგორ შეიძლება იესოს მეორედ მოსვლა ჰგავდეს რამის დაბადებას? (მუხლ 8)
4. წაიკითხეთ 9-10 მუხლები. მოციქულების დროს ქრისტიანები იდევნებოდნენ მათი რწმენის გამო. უმეტესი ჩვენთაგანი მსგავსი რამის გამეორებას არ ვისურვებდით.

გახსოვს რა უთხრა იესომ თავის მოწაფეებს მათე 5:11-12-ში? **„ნეტარ ხართ თქვენ, როცა გაგლანძღავენ, გაგდევნიან და ყოველგვარ ბოროტებას დაგაბრალებენ ჩემ გამო. იხარეთ და იმხიარულეთ, რადგან დიდია თქვენი**

საზღაური ცაში. ასევე სდევნიდნენ წინასწარმეტყველებს, რომლებიც თქვენზე უწინ იყვნენ.“

რამდენად გამამხნევებელია ჩვენთვის იმის გახსენება თუ როგორ აწამებდნენ უფლის შვილებს რწმენის გამო? რამდენად შესაძლებელია რწმენის გამო დევნის და ტანჯვის დროს სიხარული და მხიარულება?

5. **წაიკითხე მათე 10:28**. რამდენად გამამხნევებელია შენთვის ეს მუხლი?
6. კიდევ რა ნიშნებზე საუბრობს იესო მათეს 24:11-14-ში? როგორ შეგვიძლია დავიცვათ ჩვენი სიყვარული გაციებისგან/განელებისგან? როგორ დავიცვათ თავი ცრუ წინასწარმეტყველების ტყუილებისგან?

   რამდენად გვიცავს მსგავსი სიცრუისგან ბიბლიის შესწავლა, ლოცვა და მორწმუნეებთან ხშირი ურთიერთობა?

   მე-13 მუხლის მიხედვით, ვინ გადარჩება?
7. მე-14 მუხლში იესო ამბობს რომ აღსასრული დადგება მაშინ, როცა მთელი მსოფლიოს ყველა ხალხს ექადაგება სახარება სასუფეველზე. როგორ ხარ ჩართული შენ და შენი თემი ამ აქტივობაში?
8. წაიკითხე 15-25 მუხლები. ბევრი სწავლული ვერ თანხმდება თუ რას ნიშნავს **„გატიანების სიბილწე“** მე-15 მუხლში. ზოგი ფიქრობს რომ ეს უკვე მოხდა იერუსალიმის დაცემისას. ზოგი ფიქრობს, რომ ის მოხდება მომავალში. კარგი იქნება თუ ამაზე ბევრს არ ისაუბრებთ შეხვედრის დროს. ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ მსოფლიოში ფართოდ გავრცელებულ სიცრუეებზე. წაიკითხე 23-25 მუხლები. როგორ მოტყუვდება ხალხი?

9. ყურადღებით წაიკითხე 26-31 მუხლები. როგორ გაიგებს ხალხი დანამდვილებით, რომ იესო დაბრუნდა?
   რატომ მოყვება მოთქმას მიწის ყველა ტომი იესოს დანახვისას? (მუხლ 30)
10. ერთის მხრივ ჩვენ მუდამ უნდა ვიყოთ მისი დაბრუნებისთვის მზად და მეორეს მხრივ დრო არ უნდა დავთქვათ ამისთვის (მუხლ 32-36) რამდენად გეხმარება ამის ცოდნა იმაში, რომ ყოველი დღე იცხოვრო იესოსთვის?

11. დაუფიქრდი საკუთარ ცხოვრებას. რის გაკეთებაა საჭირო რწმენაში გასაძლიერებლად, რომ გაუძლო სირთულეებს და გადარჩე? როგორ უნდა დაიცვა თავი სიცრუისგან? დრო დაუთმე ამაზე ლოცვას.

43.მზად იყავით იესოს მეორედ მოსვლისთვის

ნაწილი 2. შეინარჩუნე სიფხიზლე და ერთგულება

დისკუსიის დასაწყისი:

შევაჯამოთ ბოლო შეხვედრა. რა თქვა იესომ, რა იქნება მისი მეორედ მოსვლის ნიშანი? როგორ ვიყოთ მზად დევნისას და სირთულეებისას? როგორ დავიცვათ თავი ცრუ მასწავლებლებისგან?

დღეს უფრო მეტად ვისაუბრებთ იმაზე თუ როგორ ვიყოთ მზად მეორედ მოსვლის დროს. ვიფიქრებთ იმაზე თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება და როგორ უნდა მოვიქცეთ სანამ ველოდებით.

წაიკითხე მათე 24:36-51

1. ვისთვის არის მხოლოდ ცნობილი იესოს მეორე დაბრუნების ჟამი? (მუხლ 36)
2. როგორ შეიძლება გავდეს ნოეს დღეებს კაცის ძის მოსვლა? რითი იქნება ხალხი დაკავებული? (მუხლ 37-41)

   ასი წელი უყურებდა ხალხი თუ როგორ აშენებდა ნოე კიდობანს, მაგრამ არავინ მოინანია. არ ფიქრობ რომ მოსახლეობის უმეტესი ნაწილი დღესაც ასე იქცევა?

3. რას წერს პავლე ტიმოთეს უკანასკნელი დღეების შესახებ **2 ტიმოთე 3:1-5**? დღესაც ასე არ არის? რანაირად?
4. დაუბრუნდი მათეს 24 თავს. 42-44 მუხლებიდან გამომდინარე, ვინაიდან არ ვიცით ზუსტად როდის მოვა იესო, როგორ უნდა მოვიქცეთ?
5. რა ავალია მონას 45-ე მუხლში? თუ მონა ერთგული და გონიერია, როგორ დახვდება უკან დაბრუნებულ ბატონს? (მუხლ 46)
   როგორ დააჯილდოვებს მას ბატონი? (მუხლ 47)
6. როგორ იქცევა ბოროტი მონა? (მუხლ 49)
   რას ფიქრობს იგი თავისი ბატონის დაბრუნებაზე? (მუხლ 48)
7. რითი გააოცებს ბატონი თავის ბოროტ მონას? (მუხლ 50)
   რა საზღაურს მიიღებს იგი? (მუხლ 51)
8. მოციქული პეტრე თავის წერილში (2 პეტრე 3) იძლევა მითითებებს, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ იესოს დაბრუნების მოლოდინში. ჩაიკითხეთ მთლიანი თავი.

წაიკითხე 3-7 მუხლები. რას იტყვიან დამცინავნი? (მუხლ 3-4) რა არის რაც მათ ავიწყდებათ? (მუხლ 5-7)

9. როგორ განსხვავდება უფლის დრო ჩვენი დროისგან? (მუხლ 8-9). რას ელის უფალი? რას ამბობს ეს მის სიყვარულზე?
10. წაიკითხე 10-13 მუხლები. აღწერე როგორი იქნება უფლის მეორე მოსვლა. როგორ უნდა გავემზადოთ ამ დღისთვის? (მუხლ 11 და 14)
11. 17-18 რა მითითებებს იძლევა პეტრე ?

ჩაუფიქრდი საკუთარ ცხოვრებას. მზად ხარ მეორედ მოსვლისთვის? რა უნდა შეცვალო რომ მზად იყო? დრო დაუთმე ამ საკითხებზე ლოცვას.

„რადგან, თუ მისი ძის სიკვდილით
შევურიგდით ღმერთს, როცა მტრები
ვიყავით, მით უმეტეს შერიგებულნი,
გადავრჩებით მისი სიცოცხლით.“
რომაელთა 5:10

ზიარება

ჭამისას, აიღო იესომ პური, აკურთხა, გატეხა, მისცა მოწაფეებს და უთხრა: "აიღეთ, ჭამეთ. ეს ჩემი სხეულია".აიღო სასმისი, მადლი შესწირა, მისცა მათ და უთხრა: "ყველამ შესვით აქედან, რადგან ეს არის ჩემი სისხლი ახალი აღთქმისა, მრავალთათვის დაღვრილი ცოდვათა მისატევებლად. მათე 26:26-18

იესო არაჩვეულებრივი მასწავლებელი იყო. მაგრამ იესო მარტო იმისთვის არ მოსულა, რომ ჩვენთვის ესწავლა. ის მოვიდა რომ ჩვენთვის მომკვდარიყო. მისი სიკვდილი და აღდგომა არის ჩვენი რწმენის ცენტრი. მისი სიკვდილი ნიშნავს ჩვენს სიცოცხლეს.

ტრაგედია იქნებოდა თუ უფლის ძე მოკვდებოდა სამყაროს ცოდვებისთვის და მილიონობით მორწმუნეს დაავიწყდებოდა ეს მოვლენა. სამწუხაროა როცა იესოს მიმდევრები უგულებელყოფენ იესოს სიკვდილის არსს ფუჭი არგუმენტების და ეგოიზმნის გამო? იესომ იცოდა რომ ჩვენ გვჭირდება ხშირად გავიხსენოთ მისი თავგანწირვა უფრო ღრმა მნიშვნელობით. ამიტომაც დაგვიტოვა ზიარება.

იესოს სიკვდილი შეუძლებელია სრულიად აღიქვას ჩვენმა გონებამ. რაღაც განსაკუთრებული ხდება, როცა ზიარების დროს ვიზიარებთ პურს და ღვინოს როგორც მისი ხორცის და სისხლის სიმბოლოს. ამით ჩვენ ვიხსენებთ, რომ იგი ჩვენთვის მოკვდა და რაღაც იდუმალი გზებით ჩვენ ვივსებით მისი სიცოცხლით და სიყვარულით. ჩვენ ხელგაშლილნი ვეგებებით მას, ჩვენს მხსნელს და უფალს. მსოფლიოს გარშემო მორწმუნეები ზიარებისას ივსებიან ახალი გაბედულებით და იმედით.

მომდევნო გაკვეთილები დაგეხმარებათ **„იგემოთ და ნახოთ რა კარგია უფალი.“** (ფსალმუნი 33:8)

44.მიიღე სიცოცხლის პური და საუკუნოდ იცოცხლებ

წინამდებარე გაკვეთილი არის მომდევნო გაკვეთილის მოსამზადებელი ეტაპი

დისკუსიის დასაწყისი

იესომ თქვა, რომ „არა მხოლოდ პურით ცოცხლობს კაცი, არამედ ღვთის პირიდან გამომავალი ყოველი სიტყვით.“ (მათე 4:4). შენი აზრით რას გულისხმობდა იგი?

წაიკითხეთ იოანეს 6:25-70

შენიშვნა ისტორიის კონტექსტთან დაკავშირებით:
ისტორიის პირველ ნაწილში იესო აპურებს 5000 კაცს ხუთი პურით და სამი თევზით. ამ სასწაულის შემდეგ იესო ტოვებს მათ, მაგრამ ხალხი მის საძებნელად მიდის.

1. წაიკითხეთ 25-29 მუხლები.
   იესო მათ ამხელს და ეუბნება, რომ ისინი მას იმიტომ კი არ ეძებენ, რომ სასწაული იხილეს და მესიისა ირწმუნეს, არამეს იმიტომ რომ ‘პური ჭამეს და გაძღნენ.“ ისინი მხოლოდ უფასო საჭმელს ეძებდნენ.

   თუ იესოს მხოლოდ იმიტომ გავყვებით, რომ მან ჩვენი ფიზიკური საჭიროებები აკურთხოს, მაშინ რა გამოგვრჩება ყურადღებიდან?

2. რა არის ის „საზრდო, რომელიც რჩება საუკუნო სიცოცხლისთვის“? (მუხლ 27)
3. შემდეგ ისინი დაინტერესდნენ თუ როგორ მოქცეულიყვნენ, რომ ღვთის საქმე გაეკეთებინათ (მუხლ 28), როგორ პასუხობს იესო ამ კითხვას? (მუხლ 29) ღვთის საქმედ რატომ ითვლება იესოს რწმენა?

4. წაიკითხე 30-40 მუხლები.

კულტურის მიმოხილვა: როდესაც მოსემ ისრაელიანები ეგვიპტის მონობიდან გამოიყვანა, მათ უდაბნოში 40 წელი დაყვეს. ამ ხნის მანძილზე უფალი ზეციდან უგზავნიდა მათ პურს ზებუნებრივად, რომელსაც მანას უწოდებდნენ. (გამოსვლა 16:4)

ვინ იძლევა ჭეშმარიტ ზეციურ პურს? (მუხლ 32) რას აძლევს ეს პური სამყაროს?

5. იესოს მოსთხოვეს, რომ მათთვის მუდამ ეძლია ეს პური. იესო 35-ე მუხლში გარკვევით ამბობს თუ რა არის ეს პური. ვინ არის ზეციური პური?
6. ხელახლა წაიკითხეთ 41-59 მუხლები. რითი განსხვავდება სიცოცხლის პური იმ პურისაგან, რომელსაც მათი მამები უდაბნოში ჭამდნენ?
   როგორ აღწერს იგი სიცოცხლის პურს 51-ე მუხლში? რას ამბობს მასზე?
   ხალხმა პირდაპირი მნიშვნელობით მიიღო მისი ნათქვამი. მათ დაებადათ შეკითხვა, რომელიც ჩვენც დაგვებადებოდა: „როგორ შეუძლია თავისი ხორცი მოგვცეს საჭმელად?“ (მუხლ 52)

7. გადაიკითხეთ 53-59 მუხლეები. რამდენად ხშირად გხვდება სიტყვა ‘სიცოცხლე’ ან ‘ცოცხალი’ ხვადასხვა ბრუნვაში? ნელა წაიკითხე ყველა წინადადება. იესო მნიშვნელოვან ჭეშმარიტებას რამოდენიმეჯერ იმეორებს სხვადასხვა გზებით. მისი სიტყვებიდან გამომდინარე საიდან მოდის ჭეშმარიტი სიცოცხლე?
8. ყურისთვის ცოტა მძიმედ მოსასმენ რამეს ამბობს იესო ამ მუხლებში. რას გულისხმოს როცა ამბობს, რომ **„რადგან ჩემი ხორცი ჭეშმარიტი საჭმელია და ჩემი სისხლი ჭეშმარიტი სასმელი“**, რატომ ამბობს, **რომ „...ჩემი მჭამელი იცოცხლებს ჩემში“ (შენიშვნა:** რამოდენიმე წუთი იფიქრეთ ამ კითხვებზე. თუ დარწმუნებული არ ხართ რა არის სწორი პასუხი, მაშინ გააგრძლეთ გაკვეთილის შესწავლა. მე-11 პუნქტი დაგეხმარებათ ამ კითხვაზე პასუხის პოვნაში)

9. წაიკითხეთ 60-65 მუხლები.
   61-62 მუხლებში იესო თავის მოწაფეებს ეუბნება, რომ ისინი ბევრად უფრო გაღიზიანდებიან როცა იხილავენ მას „იქ აღმავალს სადაც წინათ იყო“.
   შენი აზრით სად იყო იესო წინათ?

   რამ გააღიზიანა ებრაელები? სურდათ მათ ერწმუნათ, რომ ეს ვიღაც ხურო, მესია ყოფილიყო?

10. 63-ე მუხლში იესო ღიად საუბრობს და აღარ იყენებს მძიმე სიმბოლოებს. რას ამბობს იგი, საიდან მოდის სიცოცხლე?

11. ამ მუხლში იესო ნათლად ამბობს, რომ თუნდაც მართლა ვჭამოთ მისი ხორცი და დავლიოთ მისი სისხლი, ამით ჩვენ ვერაფერს მოვიგებთ. სიცოცხლე მოდის სულიდან. 63-ე მუხლიდან გამომდინარე რას ამბობს, რისი საშუალებით გადასცა იესომ თავის მოწაფეებს სიცოცხლე და სული?
    რამდენად გეხმარება ეს მუხლი იესოს სიტყვების გაგებაში?
    ყოველდღიურად იკვებები მისი „ცხოველმყოფელი“ სიტყვით?

12. 66-68 მუხლებიდან გამომდინარე რა რეაქცია ჰქონდა უმეტესობას?
    როცა მოწაფეთა უმეტესობა გაბრუნდა და აღარ მიყვებოდა მას, რა უთხრა იესომ თავის თორმეტ მოწაფეს? რა პასუხი გასცა პეტრემ? (მუხლ 68)

13. პეტრეს სიტყვებს რომ დავუბრუნდეთ, გჯერა რომ საუკუნო სიცოცხლის სიტყვები მხოლოდ იესოშია? გჯერა და შეიცანი, რომ ის ღვთის წმინდაა?

    თუ შენ უკვე მიანდე შენი სიცოცხლე უფალს, გჯერა რომ საუკუნე სიცოცხლე დაიმკვიდრე მასში? მადლობა გადაუხადე უფალს ამ არაჩვეულებრივი საჩუქრისთვის და არ დაგავიწყდეს, რომ ყოველდღე მიიღო საკვები მისი სიცოხლისმყოფელი სიტყვიდან.

45.ზიარებისას გახსოვდეს იესოს სიკვდილი

დისკუსიის დასაწყისი

რატომ ვიღებთ ზიარებას?

შესავალი:

ჯვარცმამდე ერთი დღით ადრე, იგი მოწაფეებთან ერთად აღნიშნავდა ებრაელებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დღესასწაულს (პასექს). ამ დღეს მან მოწაფეებს განსაკუთრებული და ღრმა მნიშვნელობის მოგონება დაუტოვა. ამ დღეს ჩვენ 'ზიარებას' ვუწოდებთ. მოდით კიდევ ერთხელ გავიხსენოთ რა მოხდა ამ დღეს და ვიფიქროთ თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ დღეს ჩვენთვის ზიარებისას.

წაიკითხეთ ლუკა 22:1-23

1. რას გეგმავენ ებრაელი ლიდერები იესოს წინააღმდეგ? როგორ გამოიყენა სატანამ იუდა რათა მათ თავისი გეგმა აღესრულებინათ? (მუხლ 1-6)
2. საიდან იღებს სათავეს ებრაელთა ეს ორსახელიანი დღესასწაული? (მუხლ 1,7-8)?

კულტურის მიმოხილვა: იესომდე 1500 წლით ადრე ებრაელები იმყოფებოდნენ ეგვიპტელთა მონობაში. ღმერთმა უბედურება დაატეხა თავს ეგვიპტელთა ყველა ოჯახს მონობიდან ებრაელთა დახსნისას. უფალმა მოავლინა სიკვდილის ანგელოზი, რომელმაც ყველა პირმშო გაჟლიტა. ამ უბედურებამ აიძულა ფარაონი, რომ ისრაელიანები გაენთავისუფლებინა. ამ უბედურებისგან თავდასაცავად ებრაელებს უბრძანა ყველა ოჯახს დაეკლა კრავი და მისი სისხლი კარის წირთხლზე წაესვათ. როცა სიკვდილის ანგელოზი შეამჩნევდა სისხლს, სახლს გვერდს ჩაუვლიდა და არავინ დაიღუპებოდა.

ღმერთმა ასევე მისცა მითითება, რომ ყველას საგზლად მოემზადებინათ პური საფუარის გარეშე, როცა ეგვიპტეს დატოვებდნენ. ცომის აფუების დრო აღარ რჩებოდა. ამის შემგედ ყოველწელს ზეიმობენ ებრაელები ამ დღეს რათა გაიხსენონ თუ როგორ დაიხსნა ისინი უფალმა ებრაელთა მონობიდან.

თუ გსურს უფრო მეტი გაიგო ამ ისტორიის შესახებ, წაიკითხე ამ მოვლენის მოკლე არწერილობა **მეორე რჯულის 16:1-8**-ში, ან მთლიანი ისტორია

გამოსვლის 12. უფუარობის დღესასწაული 7 დღე გრძელდება. პასექს კი ზეიმობენ უფუარობის დღესასწაულის პირველ დღეს.

3. პასექის ისტორია მრავალი წლის გასვლის შემდეგ როგორ ირეკლავს იესოს სიკვდილს?
   მრავლისმეტყველი არ არის იესოს ჯვარცმით სიკვდილი პასექის დღესასწაულის დროს? ახსენი (რას უწოდებს იოანე ნათლისმცემელი იესოს იოანეს 1:29-ში?)

4. რა შეიძლება მოემზადებინათ პასექის დღესასწაულისთვის მოწაფეებს? (მუხლ 7-13)
5. მე-14 მუხლიდან გამომდინარე ვინ ზეიმობდა პასექს იესოსთან ერთად? **(მათე 26:20** უფრო დეტალურად საუბრობს ამაზე)
   ყურადღება გაამახვილეთ რას ამბობს იესო მე-15 მუხლში.
   წარმოიდგინე რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იესოსთვის, რომ ეს დღე თავის მოწაფეებთან ერთად გაეტარებინა. რას ფიქრობ?

6. როგორ მოდის ღვთის სასუფეველი იესოს სიკვდილით და აღდგომით? (მუხლ 17-18)
7. იესოს თითოეული სიტყვა და ქმედება ძალიან მნიშვნელოვანია. (მუხლ 19).
   პურის აღებით, გატეხვით და დარიგებით როგორ აღწერა იესომ თუ რა დაემართებოდა მის სხეულს?
   რა თქვა პურზე, რა იყო ის? როგორ აღწერს ის თავის სხეულს?
8. წაიკითხეთ მე-20 მუხლი და იფიქრე ცოტა ხანს. რა თქვა ღვინოზე, რა იყო ის? რა 'ახალი აღთქმაა' მის სისხლში?
   წაიკითხეთ ებრაელთა 9:13-15. რას აღნიშნავდა ვაცთა და კუროთა სისხლის პკურება? (ძველი აღთქმის წესების თანახმად: მუხლი 13), რა შედეგი აქვს ქრისტეს სიკვდილს ჩვენთვის? (ახალი აღთქმა: მუხლი 14).

9. რატომ უნდა ვჭამოთ პური და შევსვათ სასმისი? (ლუკა 22:19)
10. რა სურს იესოს, რომ მუდამ გვახსოვდეს? (მუხლ 19, 1 კორინთელთა 11:26) რატომ უნდა გავიხსენოთ ხოლმე უფლის სიკვდილი? რატომ უნდა გვახსოვდეს, რომ მისი სხეული დაილეწა და მისი სისხლი დაიღვარა ჩვენი გულისთვის?

შენიშვნა: მხოლოდ იესო ქრისტეს სიკვდილით მივიღეთ პატიება ჩვენი ცოდვებისთვის და მოგვეცა უფლება ურთიერთობები ავაშენოთ მამა ღმერთთან. სწორედ ეს ჭეშმარიტება განგვასხვავებს სხვა ნებისმიერი რელიგიის მიმდევრებისგან.

ის რასაც იესომ საძირკველი ჩაუყარა პასექის დროს პატარა სასტუმრო ოთახში, გახდა ქრისტეს მიმდევრების ტრადიცია. ორი ათასი წლის მანძილზე მსოფლიოში ქრისტიანები ერთად იკრიბებიან, რათა გაიხსენონ და ერთად გატეხონ პური და შესვან სასმისი (ღვინო ან ყურძნის წვენი). ზიარებისას ისინი იხსენებენ, რომ მათი ცოდვები ნაპატიებია იესო ქრისტეს მსხვერპლში. მათი რწმენა გამყარებულია და ხსნის სიხარული - განახლებული. ამ ჭეშმარიტების წინაშე სატანა დადუმებულია.

11. კარგი იქნება თუ ჯგუფი ერთად ეზიარებით. მადლობა გადაუხადეთ უფალს მისი მსხვერპლისთვის და არასდროს დაუშვათ, რომ ზიარება იქცეს თქვენთვის არაფრისმთქმელ რიტუალად.

46.გამოიკვლიე საკუთარი გული ზიარებისას

დისკუსიის დასაწყისი:

ზიარებისას განსაკუთრებით რა არის შენთვის ღირებული? (მაგ: ერთამანეთის მომსახურება, ერთმანეთზე ლოცვა, ლოცვა სიჩუმეში ზიარების დაწყებამდე და ა.შ.)

წაიკითხეთ 1 კორინთელთა 11:17-34

1. რას ამბობს პავლე კორინთელთა ეკლესიაზე მე-18 მუხლში?
2. რას ამბობს პავლე, რა არ მოსწონს მას ზიარების მიღებისას? (მუხლ 20-22) მართლა იღებდნენ ისინი ზიარებას?

   რაში გამოიხატებოდა ის რომ ისინი არ იყვნენ სიყვარულის და ურთიერთ ზრუნვის მაგალითები?

3. წაიკითხეთ 23-ე მუხლი. როგორ ხსნის პავლე, საიდან მოდის ზიარება?

   სად აღინიშნა ზიარება პირველად, როდის დაუდგინა იესომ მოწაფეებს რომ ზიარებით გაეხსენებინათ მისი მსხვერპლი?

4. 24-25 მუხლებში რას უწოდებს იესო პურს? რას უწოდებს იგი სასმისს?
   რას აღიარებენ ზიარებით 26-ე მუხლის მიხედვით? ვის იხსენებენ?
5. 17-22 მუხლებში კარგად ჩანს კორინთელთა ეკლესიის წევრების არასწორი საქციელები. 23-26 მუხლებში ჩვენ ვხედავთ იესოს თავმდაბალ საქციელს სანამ გაიცემოდა. ეს გვეხმარება გავიგოთ თუ რას ამბობს პავლე შემდეგ მუხლებში. წაიკითხეთ 27-34 მუხლები. რას გულისხმობს პავლე როდესაც საუბრობს ზიარების უღირსად მიღებაზე?
6. რას ნიშნავს **„ვერ არჩევს უფლის სხეულს“** 29-ე მუხლში? კორინთელთა ეკლესიაში ზიარება რა მხრივ ვერ არჩევდა უფლის სხეულს?
   იჩენენ თუ არა ისინი ისეთივე თავმდაბლობას, როგორც ეს იესომ აჩვენა გაცემის წინა დღეს?

7. პავლეს სიტყვებიდან გამომდინარე (მუხლ 28-32), კარგია როცა განვიკითხავთ საკუთარ გულებს?
   ამ აგდილიდან გამომდინარე, რას ვაღწევთ თუ საკუთარ თავს განვიკითხავთ (მუხლ 31)? რა ხდება თუ უფალი განგვიკითხავს (მუხლ 32)?

როგორ უნდა მოვიქცეთ თუ ჩვენს გულებში და საქციელში აღმოვაჩენთ ცოდვილ თვისებებს? (ნახე 1 იოანე 1:9)

8. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ პავლეს საბლოო დასკვნა 33-34 მუხლებში. როგორი ქცევისკენ მოუწოდებს ეკლესიას?
9. ზიარების მიღებისას რისკენ უნდა იყოს მიმართული თქვენი ფიქრები?
10. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ პავლე არ ლაპარაკობს იმაზე თუ როგორი ფორმა უნდა ჰქონდეს ზიარებას და არც იმაზე, თუ ვინ უნდა ჩამოატაროს იგი. პავლე საუბრობს მხოლოდ ჩვენი გულის მდგომარეობაზე ზიარებისას. გახსოვდეს ამიერიდან ზიარებისას 'გაარჩიო უფლის სხეული' და გახსოვდეს ყველაფერი რაც მან შენთვის გააკეთა.

ზიარებამდე გამოიკვლიე შენი გული, აღიარე ცოდვები უფლის წინაშე და ის განგწმენდს შენ. შემდეგ მიიღე უფლის დამტვრეული სხეული და შესვი შენთვის დაღვრილი სისხლი მადლიერებით.

„ასწავლეთ მათ ყოველივეს
დაცვა, რაც მე გამცნეთ.“

მათე 28:20

წადი და მოიმოწაფეთ ყველა ერი

გამომყევით მე და ადამიანთ მებადურებად გაგხდით (იესო მოუწოდებს პეტრეს და ანდრიას მარკზი 1:17)

ამრიგად შენ, ჩემო შვილო, გაძლიერდი მადლით, რომელიც ქრისტე იესოშია. და რაც მოისმინე ჩემგან მრავალ მოწმესთან ერთად, გადაეცი სარწმუნო ადამიანებს, რომელთაც სხვების სწავლების უნარი ექნებათ. (პავლე ტიმოთეს, 2 ტიმოთე 2:1-2)

დაფიქრდით, იესომ მსახურება დაიწყო იმით, რომ ასწავლიდა 12 ადამიანს რათა ერწმუნათ და მინდობოდნენ მას. დღესდღეობით კი მილიონობით მოწაფე ჰყავს იესოს მთელს მსოფლიოში. უფლის სამეფო იზრდება უკვე 2000 წელია რადგან მისმა მოწაფეებმა უფრო მეტი მოწაფე გაზარდეს.

დღეს, 21-ე საუკუნეში, უკვე ჩვენი ჯერია რომ დავიმოწაფოთ. მილიონობით ადამიანს სჭირდება გაიგოს ახალი სიცოცხლის შესახებ. მათ სჭირდებათ გაიგონ რომ იესო მოკვდა მათი ცოდვებისთვის და აღსდგა მკვდრეთით. მათ სჭირდებათ იცოდნენ რომ იესოა ჩვენი იმედი და საუკუნო ხსნა. მათ უნდა იცოდნენ რომ უნდა იყვნენ მისი ერთგულნი.

გაკვეთილების ეს ნაწილი დაგვეხმარება გავიგოთ თუ როგორ შევიძინოთ მოწაფეები რომლებიც მის გზას გაჰყვებიან.

47.წადით და მოიმოწაფეთ ყველა ერი

დისკუსიის დასაწყისი

იესოს მოწაფეები სუპერ ძალას ფლობდნენ თუ ისინიც ჩვენნაირები იყვნენ? რა გაბრკოლებს რომ გაყვე იესოს მთლიანად?

წაიკითხე მარკოზი 1:14-20

1. სად წავიდა იესო საქადაგებლად და მოსაწოდებლად? (მუხლ 16), რითი იყვნენ დაკავებულები პირველი მოწაფეები? ისინი განსწავლული რელიგიური ლიდერები იყვნენ?
2. როდესაც იესომ მოუწოდა მათ, რომ მას გაჰყოლოდნენ, რა უთხრა, რად აქცევდა მათ? (მუხლ 17)
   სანამ გააგრძელებთ კითხვას, ისაუბრეთ იმაზე თუ იესო როგორ „იჭერდა ადამიანებს“ დედამიწაზე ყოფნის დროს.

როგორ ისწავლეს მოწაფეებმა ‘ადამიანების დაჭერა’?

მიუხედავად იმისა, რომ მოწაფეები განსწავლული რელიგიური ლიდერები არასდროს ყოფილან, იესომ მათ ბევრი რამე ასწავლა ერთად გატარებული სამი წლის მანძილზე. მოწაფეებმა ბევრი რამ გაიგეს ცათა სასუფევლის შესახებ. მათ საკუთარი თვალით ნახეს განკურნების და შეპყრობილების განთავისუფლების სასწაულები. ისინი ისმენდნენ თუ როგორ ეწინააღმდეგებოდა იესო თვალთმაქც რელიგიურ ლიდერებს და ამხელდა მათ. ისინი ხედავდნე როგორ ზრუნავდა და უყვარდა იესოს ცოდვილები, მათ მოწყალებით ექცეოდა და მოუწოდებდა, რომ მოენანიებინათ. თავისი სიცოცხლის პერიოდში იესომ მოწაფეები გააგზავნა მთელ შემოგარენში რათა მათაც იგივე გაეკეთებინათ რასაც თვითონ აკეთებდა. როცა იესო ამაღლდა, მოწაფეებმა უკვე იცოდნენ თუ როგორ „დაეჭრათ ხალხი“ ცათა სასუფევლისთვის.

წაიკითხეთ მათე 28:16-20

3. ამ მოვლენას ადგილი ჰქონდა იესოს ჯვარცმის და აღდგომის შემდეგ. მას მალე უნდა დაეტოვებინა დედამიწა და წასულიყო ცათა სასუფეველში.

რა ჰქონდა მას მიცემული? (მუხლ 18) შენთვის რას ნიშნავს იესოს ავტორიტეტი? რამდენად გმატებს ეს თავდაჯერებულებას?

4. მე-19 მუხლში რისკენ მოუწოდებს იესო მოწაფეებს?
   ვისი სახელით უნდა მოენათლათ ხალხი?
5. მე-20 მუხლის მიხედვით, როცა მოვიმოწაფებთ, რისკენ უნდა მოვუწოდოთ მათ? ვინ ითვლება იესოს მოწაფედ, ის ვინც ეკლესიაში დადის ყოველ კვირას?
   ამ გაკვეთილების მიზანია ვისწავლოთ თუ როგორ გავყვეთ იესოს. **იოანეს 14:15**-ში ის ამბობს **„თუ გიყვარვართ, ჩემი მცნებები დაიცავით.“** დაფიქრდი შენს ცხოვრებაზე. ფიქრობ, რომ იესოს მოწაფე ხარ?
6. იესოს მოწაფეობის ერთ-ერთი ნიშანია სხვებსაც ასწავლოთ მისი გზები. ჩვენ ვაგრძელებთ საქმეს, რომელიც პეტრემ და იოანემ ისწავლეს. 2000 წლის მანძილზე იესოს მოწაფეები აგრძელებდნენ და აჩვენებდნენ იესოსკენ მიმავალ გზას. სწორედ ასე ვრცელდებოდა ხსნის სახარება მთელს მსოფლიოში. მან ჩემამდე და შენამდეც მოაღწია იმიტომ, რომ ვიღაცამ შეასრულა იესოს მცნება. უკვე დაიწყე სხვების დამოწაფება? გაიხსენე შენი მეგობრები და ოჯახის წევრები, ან ახალი ნაცნობები. ვისთან დაიწყებდი იესოზე საუბარს? ისაუბრეთ ამის გარშემო.
   დამოწაფების დროს ყოველთვის გამოიყენეთ ახალი აღთქმა, ან რომელიმე ბიბლიის შემსწავლელი მასალა/წიგნი.
7. ამაღლებამდე რა აღუთქვა იესომ მოწაფეებს? (მუხლ 20) როგორ გამხნევებს და გავსებს ეს აღთქმა?
   ილოცე, რომ უფალმა მოგცეს მასზე საუბრის და სხვების დამოწაფების შესაძლებლობა.

48.ახარე სახარება შენს ახლობლებს

დისკუსიის დასაწყისი

პირველად ვისგან გაიგე იესოზე, როგორც შენი მხსნელის შესახებ?

შესავალი: იოანე ნათლისმცემელი ღმერთმა გამოაგზავნე იესომდე, რათა მას მოემზადებინა გზა მესიისთვის. მან დაიწყო მონანიებაზე და ნათლობაზე საუბარი სანამ იესო თავის მსახურებას შეუდგებოდა. უამრავი ხალხი მიდიოდა მასთან მოსანათლავად და ზოგი მათგანი დარჩა მის მოწაფედ.

წაიკითხე იოანე 1:29-34

1. როგორ ესალმება იოანე იესოს? (მუხლ 29)
   რას ამბობს იოანე იესოზე, თუ ვინ არის ის (მუხლ 34)? რითი ცნობს იოანე იესოს? (მუხლ 32-33)

ახლა წაიკითხე 35-53

2. როცა იოანეს ორ მოწაფეს ესმათ, როგორ უწოდა იოანემ იესოს „ღვთის კრავი“, როგორ მოიქცნენ? (მუხლ 36-37)
   იოანე მოუწოდებდა ხალხს, რომ მოენანიებინათ ცოდვები რადგან ახლო იყო ცათა სასუფეველი. შესაძლოა, რომ მისმა ქადაგებამ მოამზადა მისი ორი მოწაფე, რომ იესოს გაჰყოლოდნენ?

3. წაიკითხე იესოს და ამ ორი მოწაფის საუბარი 37-39 მუხლებში. როგორ იწვევს იესო მათ 39-ე მუხლში?
   რამდენად მნიშვნელოვანია, რომ დრო დაუთმო იმ მეგობრებს და ოჯახის წევრებს, ვისაც არ სმენია იესოს ხსნის შესახებ, რათა უთხრა მათ მასზე?
   ისაუბრეთ.

   მათ შეუძლიათ დაინახონ იესო შენს ცხოვრებაში?

4. წაიკითხეთ 40-42 მუხლები. როგორ იქცევა ანდრია, როდესაც გადაწყვეტს, რომ გაჰყვეს იესოს?

შენიშვნა: უამრავმა იწინასწარმეტყველა მესიაზე. ებრაელები ასობით წელი ელოდებოდნენ მესიის გამოჩენას. სიმონისთვის (პეტრესთვის) ეს უნდა

ყოფილიყო ძალზედ სასიხარულო ამბავი! დღეს უამრავი ადამიანი არ ელოდება მესიას, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა მათგანს სჭირდება ცოდვებისგან განთავისუფლება. ისინი ფიზიკურად ცხოვრობენ მაგრამ მათ სულიერი სიცოცხლე სჭირდებათ, რომელიც მხოლოდ იესოშია.

რა გიშლის ხელს იმაში, რომ გააცნო მათ იესო?

5. წაიკითხე 43-46 მუხლები. როგორ მოიქცა ფილიპე, როგორც კი იესომ უთხრა, რომ მას გაყოლოდა (მუხლ 45)? რას ამბობს ფილიპე იესოს შესახებ? როგორ უპასუხა ნათანაელმა? რა გრძნობაა როცა უარყოფენ შენს შეთავაზებას?
6. ფილიპე ნათანაელს ასე პასუხობს „წამო და ნახე“ შენ თვითონ. როგორ შეიძლება ისე გავუზიაროთ სახარება, რომ ვუთხრათ ‘წამო და ნახე“ ვინ არის იესო?
7. წაიკითხე 47-51 მუხლები. როგორ შეიცვალა ნათანაელის ურწმუნოება რწმენით? როცა ვინმეს ახარებ იესო ქრისტეზე გჯერა, რომ იესოს შეუძლია ამ ადამიანის ცხოვერბაში შესვლა და შეცვლა? რატომ არის მნიშვნელოვანი ამის დაჯერება ეფექტური ევანგელიზაციისთვის?
8. ჩახედეთ 44-ე მუხლს კიდევ ერთხელ. საიდან იყვნენ იესოს პირველი ოთხი მოწაფე? რა უპირატესობა აქვს სიტყვის გაზიარებას ერთი ჯგუფის შიგნით? მაგალითად ოჯახში, თანამშრომლებში და ა.შ.
9. მარკოზის 5:1-20. იესომ ადამიანი გაანთავისუფლა უწმინდური სულებისგან. როცა ტოვებდა ამ ადგილს, ყოფილი ეშმაკეული შეევედრა იესოს, რომ თან გაყოლოდა მას. რა უთხრა იესომ მას, რომ გაეკეთებინა? (**წაიკითხეთ მარკოზი 5:18-20**)
10. არიან შენს გარშემო ახლობლები, ვისთვისაც არასდროს გითქვამთ იესოს შესახებ? რა გაბრკოლებთ?
    იფიქრე კონკრეტულ ადამანზე, ვისაც გსურს, რომ ესაუბრო იესოზე მომდევნო კვირის განმავლობაში. ილოცე, რომ უფალმა მოგცეს გაბედულება, სიბრძნე და შესაძლებლობა, რომ შეძლო იესოზე საუბარი.

49.ასწავლე ბავშვებს იესოს სიყვარული და მსახურება

დისკუსიის დასაწყისი

თქვენი აზრით რა ასაკიდან უნდა გაიგონ ბავშვებმა იესო ქრისტეს შესახებ? აქვთ თუ არა მათ უნარი მიხვდნენ სულიერ ჭეშმარიტებას პატარა ასაკში თუ უნდა ველოდოთ ვიდრე გაიზრდებიან?

წაიკითხეთ მარკოზი 10:13-16

1. წაიკითხე მე-13 მუხლი. როდესაც ბავშვები მოჰყავდათ იესოსთან, რა რეაქცია ჰქონდათ მოწაფეებს?
   რატომ ჰქონდათ მათ ასეთი რეაქცია შენი აზრით?
2. როგორ უპასუხა იესომ მოწაფეების რეაქციას? (მუხლ 14), წაიკითხეთ იესოს პასუხი (მუხლ 14-15). როგორ განსხვავდება იესოს დამოკიდებულება მოწაფეების დამოკიდებულებისგან?
3. შენი აზრით რას გულისხმობდა იესო, როცა თქვა „მაგათნაირებისაა ღვთის სასუფეველი.“ (მუხლ 14-15)
   რაში უნდა ვგავდეთ ბავშვებს რათა დავიმკვიდროთ ღვთის სასუფეველი?
4. როგორ ექცევა იესო ბავშვებს? (მუხლ 16). რა დამოკიდებულება აქვს იესოს ბავშვების მიმართ?
5. ახლა წაიკითხეთ **მარკოზი 9:36-37**. როგორ გამოხატავს იესო თავის პატივისცემას ბავშვების მიმართ. როგორი ღირსებით ექცევა მათ?
6. გადაშალეთ მათე 21: 14-17. რელიგიურ ლიდერებს რისი ხმა მოესმათ? რა რეაქცია ჰქონდათ მათ ამის გამო?

შენიშვნა: იესომდე ასობით წლის წინ წინასწარმეტყველები ამბობდნენ, რომ მხსნელი დავითის შტოდან იქნებოდა. თუ ვინმე ახსენებდა „დავითის ძეს“, ყველამ იცოდა, რომ ისინი მესიას/მხსნელს გულისხმობდნენ, რომელიც უფლისგან იქნებოდა გამოგზავნილი. რელიგიურ ლიდერებს არ სჯეროდათ, რომ იესო, ხურო ნაზარეთიდან, შესაძლოა მესია ყოფილიყო, ამიტომაც ბრაზობდნენ, რომ ბავშვები მას „დავითის ძეს’ ეძახდნენ. ბავშვები მიხვდნენ თუ ვინ იყო იესო, მიუხედავად იმისა, რომ ამას რელიგიური ლიდერები ვერ ხვდებოდნენ.

7. იესო ბავშვების მოსყიდვას ცდილობდა? (მუხლ 16) თვითონ იესოს რა გრძნობა დაეუფლებოდა მათ ხმას რომ მოისმენდა?
   ფიქრობ, რომ ბავშვები უნდა იყვნენ ჩართულნი იესოს თაყვანისცემაში? მათთვის კარი გაქვთ ღია თქვენი თაყვანისცემის გუნდში?

8. ტიმოთე პავლე მოციქულის მოსწავლე იყო. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ტიმოთე სათავეში ჩაუდგა ეკლესიას.
   წაიკითხე 2 ტიმოთე 1:5. ვისგან ისწავლა საღვთო წერილი ტიმოთემ პირველად?
9. წაიკითხე 2 ტიმოთე 3:14-15. რა ასაკში შეიცნო ტიმოთემ უფლის გზები? როგორ მოამზადა ამან მისი გული გამხდარიყო ეკლესიის წინამძღოლი?
10. თუ შვილები გყავს, როგორ ასწავლი მათ/მას უფლის გზას? ყოველდღიურად კითხულობთ და ლოცულობთ ერთად?
    თუ გყავს ძმიშვილები, დიშვილები, შვილიშვილები ან სხვა ბავშვები, რომლებიც ახლოს არიან შენთან, როგორ ასწავლი მათ უფლის გზებს?

11. ბავშვებისთვის არის კარი ღია თქვენს თემში, თუ მშობლები იკავებენ თავს ბავშვების წამოყვანისგან მსახურებაზე? გამოყოფილია თუ არა დრო იმისთვის, რომ ბავშვებმა გაიგონ უფლის შესახებ თუ მათ სხვა ოთახში ვაგზავნით სათამაშოდ? როგორ ეხმარებით ბავშვებს ღმერთის უკეთ გაგებაში?
    ილოცე იმ ბავშვებისთვის ვისაც იცნობ. სთხოვე ღმერთს დაგანახოს თუ როგორ დაეხმარო ბავშვებს უფლის უკეთ შეცნობაში.

50. იქადაგე გაბედულად ცათა სასუფეველზე და გჯეროდეს უფლის სასწაულების

დისკუსიის დაწყება

ფიქრობ, რომ განკურნების სასწაულებით უფალი თავის სიყვარულს და ზრუნვას აჩვენებს? ახსენი

შესავალი:

როცა იესო თავის მსახურებას შეუდგა აქ, დედამიწაზე, მან 12 მოწაფე აირჩია. მათ გარდა კიდევ ბევრი მოწაფე ჰყავდა, რომელიც მიჰყვებოდნენ და ემორჩილებოდნენ მას, თუმცა ეს 12 გამორჩეული იყო. ისინი იესოსთან ერთად მოგზაურობდნენ და მისგან სწავლობდნენ. როცა იესო მამასთან დაბრუნდა, მათ გააგრძელეს იესოს გზა. არჩევიდან რამოდენიმე ხნის შემდეგ იესომ ისინი იუდას სხვადასხვა ქალაქებში გააგზავნა. მოდით ვადევნოთ თვალი მის მითითებებს:

წაიკითხე მათე 10:7-8

1. რის შესახებ უნდა ექადაგათ მათ? რას ნიშნავდა ეს შენი აზრით?
   იესოს მოსვლით რატომ მყარდებოდა ცათა სასუფეველი დედამიწაზე?
2. კიდევ რისი გაკეთების მითითება მისცა იესომ მათ მე-8 მუხლში? ეს სასწაულები როგორ ამოწმებდა, რომ ცათა სასუფეველი ახლოს იყო? წარმოიდგინე რამდენი ადამიანის გული აივსებოდა იმედით.
   როგორ მოწმობდნენ სასწაულები იმაზე, რომ იესო ერთ-ერთი რიგითი რელიგიური მასწავლებელი არ იყო? დღევანდელ დღესაც, სასწაულები როგორ მეტყველებენ იმაზე, რომ იესო მხოლოდ რელიგიური ლიდერი არ არია?

შენიშვნა: იესო თავისი მსახურების სამი წლის მანძლზე უამრავ სასწაულს ახდენდა. ხშირად კურნავდა უამრავ სნეულს. შეეძლო ათასების გამოკვება მცირე რაოდენობის საკვებით. მან სიკვდილიდან აღადგინა მიცვალებულები. მას შემდეგ რაც იესო დაბრუნდა ცათა სასუფეველში, მისმა მოწაფეებმა გააგრძელეს და უამრავ სასწაულებს ახდენდნენ.

3. წაიკითხეთ საქმეთა 3:1-10. საით მიდიან პეტრე და იოანე? აღწერე რა გადახდა თავს საპყარს? (მუხლ- 2-8)

4. რა რეაქცია ჰქონდა ტაძარში შეკრებილ ხალხს როცა დაინახეს, რომ საპყარი განიკურნა?
5. როცა პეტრემ ამდენი ხალხი დაინახა, მან ქადაგება დაიწყო. **წაიკითხეთ მისი სიტყვები (მუხლ 11-26)**
6. როგორ ხსნის პეტრე დავრდომილის განკურნებას?
   წაიკითხეთ **საქმეები 4:4.** რამდენმა ირწმუნა იმ დღეს პეტრეს სიტყვების?

შენიშვნა: ცოტა ხნის ადრე დაახლოებით სამი ათასმა ირწმუნა (საქმეები 2), ახლა კი საბოლოო ჯამში შეადგინა ხუთი ათასი, ანუ ორი ათასმა კაცმა ირწმუნა მისი სიტყვის ამ დღეს. ჩვეულებისამებრ ბავშვებს და ქალებს არ თვლიდნენ ხოლმე, ასე რომ მორწმუნეთა რიცხვი ამ დღეს ბევრად აჭარბებდა ხუთი ათას ადამიანს.

რელიგიურ ლიდერებს რათქმაუნდა არ მოსწონდათ, რომ პეტრე და იოანე იესოს სახელით ქადაგებდნენ. ამიტომ დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს. მათ სურდათ რომ ისინი დაესაჯათ მაგრამ არ იცოდნე როგორ მოქცეულიყვნენ. იერუსალიმში ყველამ იცოდა რომ სასწაული მათი ხელით მოხდა, ამიტომ დაემუქრნენ და იესოს სახელით ლაპარაკი აუკრძალეს მათ, თუმცა პეტრე და იოანე ამან არ შეაშინა.

7. წაიკითხე რა ლოცვით ილოცეს მათ **საქმე 4:23-30**-ში.
   რისი გაკეთება სთხოვეს მათ უფალს იესოს სახელით? (მუხლ 29-30)
   ჩამოთვალე. რამდენად ხშირად სთხოვ უფალს მსგავს რამეს?
8. **წაიკითხე 31-ე მუხლი.** როგორ უპასუხა უფალმა მათ ლოცვას?
   თუ გსურს უფრო მეტი გაიგო იმაზე თუ როგორ პასუხობს ღმერთი ლოცვებს წაიკითხე:

   საქმეები 5:12-
   16 საქმეები
   8:4-7

9. იფიქრე შენს ცხოვრებაზე. უფრო მეტი გაბედულება გჭირდება საუბრისას? გსურს იხილო სასწაულები ჭეშმარიტების და უფლის ძალის გამოსავლენად? გსურს გამოგიყენოს უფალმა, რათა ვინმეს სულიერი და ფიზიკური განკურნება აჩუქო?

მოციქულების მსგავსად შენც შეგიძლია ილოცო (საქმეები 4:29-30). იგივე სულს შეუძლია აგავსოს და ყოველდღიურად მოგცეს ძალა ცათა სასუფევლის გასავრცელებლად შენს გარშემო.

„ცა და დედამიწა გადავლენ, ჩემი
სიტყვები კი არ გადავლენ.“

მარკოზი 13:31